

წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელის უცნობი ქადაგება

"სიტყუაჲ ჯუარისათჳს და წმიდათა ხატთა, კელითქმულთა და კელითუქმნელთათჳს, მწვალებელთა მათ მიმართ, რომელნი ჯუარსა ხოლო თაყუანის-სცემენ და ხატთა არა"

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო იოსებ გელუკაშვილმა

საქართველოში პირველად ქვეყნდება VII-VIII ს-ის სახელგანთქმული მოძღვრის, წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელის სახელით ცნობილი ქადაგება, რომელიც ბერძნულ ორიგინალში დაკარგულია. ძველში ეკლესიური პოზიციიდან არის მხილებული ხატმებრძოლთა ერესი და, სავარაუდოდ, ამ თემისადმი მიძღვნილ ჰომილიებს შორის უძველესია. მისი ძველი ქართული თარგმანი შესრულებულია XI ს-ში დიდი ქართველი მოღვაწის, წმინდა ეფრემ მცირის მიერ.

გვსურს ქედადრეკით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ეს, ვისი ლოცვა-კურთხევითაც, სხვებთან ერთად, საშუალება მოგვეცა თბილისის სასულიერო აკადემიაში სწავლა-განათლების მიღებისა; ასევე, სასწავლებლის მთელს პროფესურას, განსაკუთრებით, სემინარია-აკადემიის ლექტორებს: პროფ. ედიშერ ჭელიძესა და პროფ. დოდო (მარიამ) ლლონტს, რომლებმაც წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას ფასდაუდებელიდახმარება გაგვიწიეს; აგრეთვე, თბილისის ხელნაწერთა ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს და უანგარო მორწმუნეს, ბატ. ამირან გაფრინდაშვილს.

რედაქტორი დოდო (მარიამ) ლლონტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტი ედიშერ ჭელიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ვუძღვნი მამაჩემის, კაკო გელუკაშვილის, ნათელ ხსოვნას

წმინდა გერმანე I კონსტანტინეპოლელი

წმინდა გერმანე I კონსტანტინეპოლელი პატრიარქის (ბერძნ. ὁ ἅγιος Γερμανός Α΄ ὁ πατριάρχης Κωνσταντινουπόλεως) სახით ჩვენ წინაშეა ეკლესიის დიდი მოძღვარი და მართლმადიდებლობისთვის დაუღალავი მებრძოლი. მისი დაბადებისა და მიცვალების თარიღები პრობლემატურია. სავარაუდოდ, გერმანე დაიბადა VII ს-ის 30-40-იან წლებში. თუ დავუჯერებთ რომის პაპის, წმინდა გრიგოლ II-ის († 731 წ.) ცნობას, რომელიც გამოთქმულია იმპ. ლეონ III-სადმი (717-741 წ.წ.) 727 წელს გაგზავნილ წერილში (რომლის ავთენტურობას ზოგიერთი მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს), სადაც პაპი იუწყება, რომ გერმანე 95-ე წელს მითვლის, მაშინ გამოდის, რომ მომავალი პატრიარქი 631/2 წ. დაბადებულა¹.

მომავალი პატრიარქის შესახებ ცნობები, განსაკუთრებით აღსაყდრებამდე, გვიანდელია. ძირითადი წყარო გერმანეს ცხოვრებაზე არის წმინდა თეოფანე (ისააკი) აღმსარებლის († 818 წ.) "ქრონოგრაფია"², ასევე მამათა

თხზულებებში აქა-იქ დაცული მწირი ინფორმაცია. წარმოშობით ბერძენი წმინდა გერმანე დაიბადა კონსტანტინეპოლში, მდიდარი პატრიკიუსის, "კაცისა სახელოვნისა და განთქმულისა"³, იუსტინიანეს ოჯახში. გამოთქმულია მოსაზრებები მისი ნათესაური კავშირისა იმპერატორებთან: იუსტინიანე I-თან (527-565 წ.წ.), ჰერაკლესთან (610-641 წ.წ.) და იუსტინიანე II-თან (685-695 და 705-711 წ.წ.). ყოველ შემთხვევაში, გერმანეს ოჯახი დედაქალაქის უმაღლეს არისტოკრატიას მიეკუთვნებოდა.

660-670-იან წლებში მათ უბედურება ეწვიათ. იმპ. კონსტანტინე IV პოგონატის (668-685წ.წ.) წინააღმდეგ პოლიტიკურ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის იუსტინიანე სიკვდილით დასაჯეს, ხოლო გერმანე (არცთუ ისე სანდო მისი გვიანდელი სვინაქსარული "ცხოვრებით") გამოასაჭურისეს. "ხოლო მან, ვითარცა შესამინელი შეიწყნარა განსაცდელი იგი და მისცა თავი თვისი წურთასა საღმრთოთა წერილთასა. ვინადაც სიმახლითა გონებისადათა და მოსწრაფებითა სწავლისადათა ფრიადი მეცნიერებად შეიკრება და ცხორებად თვისი კეთილად შეზღუდა"⁴. მალევე გერმანემ თავი ღმერთს მიუძღვნა და კონსტანტინეპოლის საკათედრო ტაძრის, "აია სოფიის", ღვთისმსახური გახდა. დაახლ. 705/6 წ. მას მცირე აზიაში, კიზიკის მიტროპოლიტად დაასხეს ხელი, რომელშიც 12 საეპისკოპოსო შედიოდა.

712 წლით დათარიღებულ ცნობაში წმინდა თეოფანე იუწყება: "ფილიპიკეს (ვარდან ფილიპიკე ისავროსი; ბიზანტიის სომეხი წარმოშობის იმპ. 711-713 წ.წ., ი. გ.) არ შერცხვა, აღმდგარიყო წმინდა VI მსოფლიო კრების წინააღმდეგ და განექიქებინა მასზე (კრებაზე, ი. გ.) მიღებული ყველა საღვთო დოგმატი. მან მონახა თანამზრახველები: კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი იოანე (პატრ. იოანე VI 712-715 წ.წ., ი. გ.), რომელიც დაადგინა მისი წინამორბედის, დამხოზილი კიროსის (პატრ. წმინდა კიროსი 706-712 წ.წ., ი. გ.) ნაცვლად, რომელიც (კიროსი, ი. გ.) ხორასას მონასტერში გადაასახლა; გერმანე, შემდგომში კონსტანტინეპოლის საყდრისმპყრობელი, ახლა კი კიზიკის ეპისკოპოსი; კრიტელი ეპისკოპოსი ანდრეა (წმინდანი; VII-VIII სს., ი. გ.)... რომლებმაც წერილობით გადასცეს ანათემას წმინდა VI კრება"⁵. აქ საუბარია ფილიპიკეს ინიციატივით მოწვეულ კრებაზე, სადაც, მისი დაჟინებული მოთხოვნით, მონოთელიტობა⁶ რეანიმირებული იქნა.

ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ ამ სხდომის გადაწყვეტილებაში მონაწილეობდნენ ეკლესიის ესოდენ აღიარებული მამები. თანაც, იმავე გრიგოლ პაპის თქმით, გერმანე იყო თანაშემწე და თანამჭობელი პატრიარქ წმინდა გიორგი I-ისა (679-686 წ.წ.) VI კრების მოწვევისას⁷. თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ ეს ხატმებრძოლთა გვიანდელი ინტერპოლაციაა და გადაუმოწმებლად არის შეტანილი "ქრონოგრაფიაში". ასეა თუ ისე, ამ მოვლენებიდან უახლოეს წლებში უკვე გერმანეს მიერ მოწვეულმა კრებამ (რომლის ჩატარებაც, ასევე მეცნიერულ დასაბუთებას მოითხოვს) საჯაროდ ამხილა და დაგმო ყველა ერესი, მათ შორის, მონოთელიტობაც (ამის შემდეგ ეს მწვალებლობა საბოლოოდ განიდევნა ეკლესიიდან).

იოანე VI-ის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინეპოლის ეკუმენურ პატრიარქად, "ვითარცა ბრძენი და წმიდა და შემძლებელი და სიტყვით და საქმით განმტკიცებული"⁸, აკურთხეს კიზიკის კათედრიდან გადმოყვანილი წმინდა გერმანე. თუკი მისი მოღვაწეობის სხვა თარიღები რთულად დგინდება, სამაგიეროდ, საპატრიარქო ზეობის დრო ზედმიწევნით ცნობილია (11 აგვ. 715 წ. - 17 (7) იანვ. 730 წ.). იმ დროს კათედრის გამოცვლა უიშვიათესი მოვლენა იყო; ამიტომაც, წმინდა თეოფანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანეს არჩევას დაეთანხმა პაპის აპოკრისიარი⁹ მიქაელიც, უწმინდესი სინოდიც და მთელი კლიროსიც (სამღვდელოება), ასევე სინკლიტიც (სენატი) და ქრისტესმოყვარე ერიც¹⁰, ანუ ყველა, ვისაც თეორიულად ამის უფლებამოსილება ჰქონდა.

გერმანეს მამამთავრობა მოუწია პოლიტიკური ანარქიის ჟამს (20 წლის მანძილზე 7 იმპ. შეიცვალა). აჯანყებისას ორი იმპერატორის (ანასტასი II - 713-716 წ.წ. და თეოდოსი III - 716-717 წ.წ.) უსაფრთხოების გარანტიად თავად სამეფო ქალაქის მწყემსმთავარი გამოვიდა. საბოლოოდ, რომის (ბიზანტიის) ტახტზე დამკვიდრდა ისავრიელთა დინასტიის დამფუძნებელი, ლეონ III ისავრიელი. აქედან იწყება საუკუნეზე მეტი ხნის ხატმებრძოლობის ისტორიაც. თუმცა, მანამდე ლეონმა მოიგერია კონსტანტინეს ქალაქზე არაბთა ურიცხვი ჯარისა და ფლოტის შეტევა (717-718 წ.წ.) და გვირგვინოსნის ერეტიკული მიდრეკილება დრომდე დაფარული დარჩა.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ლეონი კი არა, არამედ მცირე აზიელი რამდენიმე ეპისკოპოსი იყო ახალი ერესის ინიციატორი. კერძოდ, ესენი გახლდნენ: სინადის სამიტროპოლიტოში (ფრიგიამში) კონსტანტინე ნაკოლიელი, თომა კლავდიოპოლელი (პონტოში) და დამხოზილი იმპერატორის, ტიბერიუს II აფსიმარის (698-705 წ.წ.) უკანონო შვილი, ეფესოს მიტროპოლიტი თეოდოსი. მათმა მოსაზრებებმა, წმინდა გამოსახულებების შესახებ, მყარი ნიადაგი პოვეს ისავრიელი მმართველის გულში. ამ ტენდენციათა გამჟღავნებისას უმაღლეს მოახდინა რეაგირება ახალი რომის მწყემსმთავარმა. უწმინდესმა გერმანემ კონსტანტინე და თომა დაიბარა და მათი

გადარწმუნება სცადა. თითქოს კონფლიქტი ამით ამოიწურა, მაგრამ უკან დაბრუნებულმა ეპისკოპოსებმა გადაჭრით აკრძალეს თავიანთ ეპარქიებში ხატების თაყვანისცემა.

726 წელი ხატთაყვანისცემაზე იერიშის დაწყების თარიღად არის მიჩნეული. რთულია ბიზანტიის მთავრობის მამოძრავებელი ამოცანების დადგენა. ამის მიზეზად სახელდება როგორც ლეონის ისავრიული წარმოშობა (სადაც მრავალი ერესი ბუდობდა), ისე ისლამის შემოტევა და იმპერიის "სასიცოცხლო" ინტერესები. მთავარი მოტივი კი, ალბათ, იყო საზოგადოებაზე ეკლესიური ზეგავლენის, ზოგადად, კლერიკალური თავისუფლების შესუსტება, რაც წარმოაჩენდა ბიზანტიური "ცეზაროპაპიზმის"¹¹ მკვეთრ გამოვლინებას; ხატმორკინალთა მოძრაობა გახლდათ "ამა სოფლის" ბარბაროსული საერო სულის აჯანყება საეკლესიო სულიერების, მისი არაამქვეყნიური წარმომავლობისა და არსების წინააღმდეგ. ამგვარი აბსოლუტში აყვანილი სეკულარული კულტურის იდეა (თავისი მახინჯი და სასტიკი ფორმებით), რაც ასე დამღუპველია კაცობრიობის ზნეობრივი სრულყოფისათვის, იყო ამ ეპოქის ბიზანტიური სახელისუფლებო მოღვაწეობის ძირითადი მახასიათებელი, რითაც ისავრიელები ერთგვარი წინამორბედები იყვნენ ფრანგული "განმანათლებლობისა" და გერმანული "Kulturkampf"-ისა.

ხელისუფლებისთვის "საცდელ ქვად" იქცა მაცხოვრის ჯვარცმა ხალკუპრატის მოედანზე (იხ. შენ. XXI). მალე ლეონმა გადაჭრით მოითხოვა ხატების, ვითარცა კერპების, აკრძალვა, მაგრამ მხცოვანი პატრიარქის სახით შუდრეკ წინააღმდეგობას წააწყდა; წმინდა გერმანეს დაუშვებლად მიაჩნდა მსოფლიო კრების გარეშე ესოდენ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა. უკეთურმა ბასილევსმა თანამოაზრე იპოვა თვით პატრიარქის მოწაფისა და სვინკელის¹², ანასტასის (კონსტ. პატრ. 730-753 წ.წ.) პიროვნებაში. 730 წლის 17 (ან 7) იანვარს იმპერატორმა მოიწვია საიდუმლო საბჭო (ე. წ. ბერძნ. Σιλέντιον; ლათ. შილენტიუმ), სადაც კვლავ გაიმეორა თავისი მოთხოვნა. ღვთისმოსავმა მღვდელმთავარმა, ყველანაირი საშუალების ამოწურვის შემდეგ, თავად მოიხსნა საპატრიარქო რეგალიები ("დადვა ომფორი თვისი წმიდასა საკურთხეველსა ზედა")¹³ და "დამრიგებლური სიტყვები წარმოთქვა: «თუ მე იონა ვარ, გადამაგდეთ ზღვაში»"¹⁴ (შდრ. იონა 1:12).

ამის შემდეგ წმინდა გერმანე გადასახლდა საკუთარ მამულში, პლატანიონში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იკონოკლასტური მოძრაობის საწყის ეტაპზე მთავრობის მიერ მიღებული ნახევარზომები სწორედ გერმანეს ბიბლიურმა ფიგურამ განაპირობა. მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია - ყველაზე ხშირად 733 ან 740 წლები სახელდება. მისი წმინდა ცხედარი კონსტანტინეპოლში, ხორას (ბერძნ. Χώρα; თანამ. სტამბულის "კარიესის" მუზეუმი) დიდებულ მონასტერში დამარხეს.

უწმინდესი გერმანეს პიროვნება მიცვალების შემდგომაც აქტუალური იყო. 754 წლის ხატმებრძოლთა კრებაზე (ე. წ. "უთავოთა" კრება - "უთავოთა" იმიტომ, რომ მასზე არამცთუ არც ერთი პატრიარქი, არამედ მათი არც ერთი წარმომადგენელი არ იმყოფებოდა) წმინდა გერმანე, წმინდა იოანე დამასკელთან (VII-VIII სს.) და წმინდა გიორგი კვიპრელთან (+ VIII ს-ის 50-იანი წ.წ.) ერთად, ანათემას გადასცეს. ეკლესიამ საკადრისი პატივი ქრისტეს ღვაწლმოსილ მხედარს VII მსოფლიო კრებაზე მიაგო; 787 წ. კრების მამებმა გერმანე (იმავე იოანესთან და გიორგისთან ერთად) წმინდანად შერაცხეს (ხს. დღე ძვ. სტ. 12 მაისი), სადაც მისი ავტორიტეტი სხვა დიდი მამების დარად მოიხმობოდა (ხატმებრძოლი ეპისკოპოსებისადმი გერმანეს მიერ მიწერილი სამი ეპისტოლე (იხ. ქვემოთ) საგანგებოდ წაიკითხეს კრების ერთ-ერთ სხდომაზე). 843 წლის "მართლმადიდებლობის ზეიმის" შემდეგ წმინდა მეთოდე პატრიარქმა (842-846 წ.წ.) წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელ იერარქთა განსასვენებელში, მოციქულთა სახელობის ტაძარში, პატივით გადაასვენა.

წმინდანის ნეშტს ამის შემდეგაც არ ეღირსა მოსვენება. ლათინ ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის (1204 წ.) შემდეგ გერმანეს წმინდა ნაწილები საფრანგეთში, ე. ბორის (თან. ბორ-ლეზ-ორგი) სააბატოში აღმოჩნდა. აქ კიდევ ერთხელ მოუწია მას უღმერთოთა მხრიდან დევნა; 1793 წლის რევოლუციონერებმა სახალხოდ შეურაცხვეს და ნაწილობრივ გაანადგურეს სათაყვანებელი მამის წმინდა ძვლები. მისი გადარჩენილი ნაწილები ე. ვენეციაში ინახება.

მნიშვნელოვანია ის სასწაულები, რომლებიც გერმანეს მიეწერება. მაგალითად, როდესაც ინათლებოდა მომავალი იმპ. კონსტანტინე V კოპრონიმი (741-775 წ.წ.), მან წმინდა ემბაზში ჩაისვარა, რაც გერმანეს განმარტებით დიდ უბედურებას უქადდა ეკლესიასა და მორწმუნეებს¹⁵ (მართლაც, ლეონის პირმშო მამამისზე სასტიკი მტარვალის აღმოჩნდა); მეფესთან სადარბაზოდ შესულებმა იუდა გამყიდველს, ანასტასი სვინკელოზს (გაიგო რა მისი ინტრიგების შესახებ), სულიწმინდით სახალხოდ უწინასწარმეტყველა: "ნუ ჩქარობ, კიდევ მოასწრებ ჰიპოდრომზე გავლას"¹⁶, რაც ქალაქის ცენტრში საჯარო შეურაცხყოფას ნიშნავდა. მართლაც, 742 წ. მას სიტყვასიტყვით აუსრულდა დანაპირები, როდესაც იმპ. კონსტანტინემ, შეთქმულებაში მონაწილეობისთვის, სამარცხვინოდ

დაამცირა პატრ. ანასტასი; ის, ნახევრად შიშველი, ვირზე უკულმა მჯდომარე, ხალხის დასანახად ჩამოატარეს ჰიპოდრომზე¹⁷ (თუმცა, ესოდენ აბუჩად აგდების მიუხედავად, საყდარი შეუნარჩუნეს). ხატთაყვანისმცემელთა დიდი ბურჯის, წმინდა მოწამე სტეფანე ახლის (+ 767 წ.), მშობლებს ვაჟის გაჩენას დაჰპირდა¹⁸; აგრეთვე, აპოკრიფული თხრობა გერმანეს მიერ პალესტინაში ლიდის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის ასლის დამზადების შესახებ¹⁹; ასევე, გადმოცემა, რომ საყდრის დატოვების შემდეგ გერმანემ საპატრიარქოში დაბრძანებული მაცხოვრის ხატი ზღვას მისცა წარწერით: "მოდვარო, იკსენ თავი შენი და ჩუენცა" (ლუკა 23:39); ხატი კი მალე სასწაულებრივად მიცურდა რომში, სადაც ის, საღვთო გამოცხადებით, გრიგოლ პაპმა გამოაბრძანა²⁰; ცნობილი დიალოგი პატრიარქსა და იმპერატორს შორის²¹ და სხვა.

წმინდა გერმანე იყო პირველი მართლმადიდებელი მამა, რომელიც საქმიტაც და სიტყვიტაც წინ აღუდგა ხატმებრძოლობის საზარელ მწვალებლობას (ცხადია, რომ მას მოღვაწეობის გეოგრაფიული ადგილიტაც და იერარქიული მდგომარეობიტაც, ევალეზოდა კიდეც); ამიტომაც, მისი ყველა გვიანდელი ნაშრომი ერეტიკოსების მხილებას ეძღვნება. თუმცა, პატრიარქის ლიტერატურული მემკვიდრეობა ბევრად მრავალფეროვანია და მას, ხელნაწერულ ტრადიციამი, არაერთი თხზულება მიეწერება, სადაც "ღრმანი და დაფარულნი სიტყუანი წერილისანი განჰმარტან კეთილად თარგმანებითა, რამეთუ აქუნდა მას გულისჰმისყოფად საღმრთოდ ფრიადი"²². ორიგინალზე შემორჩენილი გერმანეს შრომები მოთავსებულია J.-P. Migne-ის ცნობილ გამოცემაში: *Patrologiae graecae cursus completus. Series Graeca*, Paris, 1857-1866; Vol. 98, col. 40-384.

პატრიარქს ეკუთვნის შემდეგი ძეგლები:

"ანთიმოზ დიაკონის მიმართ... კრებებისა და ერესების შესახებ" (იქვე, col. 40-88; შესაძლოა ინტერპოლაცია);

"ცხოვრების ზღვარის შესახებ" (col. 89-132), სადაც ძირიტადი აზრის გარდა, რომ ყველა ადამიანის ამქვეყნიური არსებობის დასასრული ერთხელ და სამუდამოდ არის დადგენილი ღვთის მიერ, გერმანე გადმოგცემს თავის შეხედულებას წმინდა მამათა ავტორიტეტის მიმართ; მისი თქმით, მამათა გამონათქვამები ჩვენთვის სასურველ ჭრილში კი არ უნდა განვმარტოთ, არამედ უნდა მივიღოთ ზუსტად ისე, როგორც ისინი ჩვენდამია უწყებული;

ეპისტოლეები: "იოანე სინადელისადმი" (col. 156-161), "კონსტანტინე ნაკოლიელისადმი" (col. 161-164), "თომა კლავდიოპოლელისადმი" (col. 164-188), სადაც ხატთაყვანისცემის შესახებ მართლმადიდებლური აპოლოგიაა გადმოცემული;

"საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ჰვრეტა" (ბერძნ. Ἱστορία ἐκκλησιαστικὴ καὶ μυστικὴ θεωρία; col. 384-454), რომელშიც ლიტურგიის სახისმეტყველებითი განმარტებაა უწყებული; ქართულად თარგმნილია სამეზის, თუმცა, ისევე, როგორც ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში, აქაც სხვადასხვა მოღვაწეს მიეწერება²³;

ასევე, არაერთი ქადაგება: განზოგებაზე "ჯვრის თაყვანისცემის შესახებ" (col. 221- 244), დიდ შაბათს "ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ღვთისსხეულის (Θεόσωμον) საფლავის შესახებ" (col. 244-289) და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი კორპუსი (col. 292-384); განსაკუთრებით საინტერესოა ხარების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ჰომილია, რომელიც არაჩვეულებრივი არქიტექტონიკისაა - ის, ერთი მხრივ, დედაღვთისა მარიამსა და, მეორე მხრივ, მთავარანგელოზ გაბრიელსა და იოსებ დამწინდველს შორის დიალოგის ფორმითაა გადმოცემული, სადაც ყოველი ახალი აზრაცი ბერძნული ანბანის შემდგომი ასო-ნიშნით იწყება.

ერთი ამ ქადაგებატაგანი ქართულადაც არის ნათარგმნი ("სიტყუად სატფურებისატვს ტაძრისა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, რომელ არს ხალკუპრატას"; col. 372-384; ხელნ. Jer. 21, 38; S 449).

სამწუხაროდ, დაკარგულად ითვლება დიდი განმანათლებლის ერთი მნიშვნელოვანი თხზულება Ἀνταποδοτικὸς ("ნაცვალგებითი"), რომლის რეზიუმე შემორჩენილია წმინდა ფოტი პატრიარქის (858-867 - 877-886 წ.წ., + 891 წ.) "ბიბლიოთეკაში"²⁴. წმინდა გერმანე ეკამათება აპოკატასტაზის²⁵ მომხრეებს, რომელტაც არგუმენტად წმინდა გრიგოლ ნოსელის (დაახლ. + 394 წ.) ციტატები მოჰყავდათ "დიდი კატეხიზმური ქადაგებიდან" და "მოსე რჯულმდებლის ცხოვრებიდან" (გრიგოლის ორივე ეს ნაშრომი თარგმნილია ძვ. ქართულად წმინდა გიორგი (+ 1065 წ.) და წმინდა ექვთიმე (+ 1028 წ.) ათონელების მიერ). სწავლული პატრიარქი მეცნიერულად ამტკიცებს, რომ დიდი კაპადოკიელის შესაბამისი სიტყვები ერეტიკოსტა გვიანდელი ჩანართია და მეტი არაფერი. იქვე წმინდა გერმანე გადმოსცემს მართლმადიდებლურ სწავლებას სადავო საკითხზე.

წმინდა მამა, აგრეთვე, ითვლება სრულმყოფელად ე. წ. "არეოპაგიტული კორპუსის"²⁶ კომენტარებისა. მანამდე ეს დიდი საღვთისმეტყველო საქმე წამოიწიეს იოანე სკვითოპოლელმა (VI ს.) და წმინდა მაქსიმე აღმსარებელმა († 662 წ.). "არეოპაგიტიკა" სრულად ითარგმნა წმინდა ევრემ მცირის (XI ს.) მიერ²⁷. სამწუხაროდ, ქართული სქოლიოების მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული²⁸.

წმინდა გერმანეს სახელთან დაკავშირებულ ფსევდოეპიგრაფიკის ნიმუშს წარმოადგენს "ეპისტოლე სომეხთა მიმართ" (Epistola ad Armenios; col. 135-146), რომელიც სომხურადაა მოღწეული (ისევე, როგორც მასზე სომეხთა პასუხი); თუმცა, მანასკერტის კრებაზე (726 წ.), სადაც საბოლოოდ გადაწყდა სომეხების სარწმუნოებრივი აღმსარებლობა, "როგორც ვიცით, ირჩეოდა გერმანე პატრიარქის წინადადება (ბერძნებთან შეერთების საკითხი)"²⁹. ყოველ შემთხვევაში, მისი ხსოვნა სომხურ ეკლესიაშიც იხეიმა. ასევე, სახელნატყუარად მიიჩნევა გერ-მანესადმი გრიგოლ II მიერ მიწერილი ე. წ. "დოგმატური ეპისტოლე" (Epistolae dogmaticae; col. 148-156).

ცალკე კვლევის თემაა ის დიდძალი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა, რაც წმინდა მღვდელმთავრის სახელითაა წარწერილი, სადაც "წმიდათა შესხმითა ეკლესიამ განაბრწყინვა და საგალობელთა და იბაკოთა გამოთქუმითა ღამისთევათა სიფიცზე (=სიმძაფრე, ი. გ.) და სიმყვრტე (=გარდამეტებულობა, ი. გ.) მოატკბო და შეანელა"³⁰. ხოლო თვითონ კათოლიკე ეკლესია ასე უგალობს წმინდა მამას (წმინდა ეპიფანე კვიპრელთან († 403 წ.) ერთად, რომლის ხსენებაც 12 მაისზე მოდის): "მღუდელთმთავართა საკვრველთა ერთობით ვადიდებდეთ, მორწმუნენო, ჯერისაებრ, გერმანეს თანა დიდებულსა ეპიფანეს, რამეთუ ამათ შესწუნეს უღმრთოთა ენანი, და რწმენითნი სჯულნი (=დოგმატები, ი. გ.) ბრძენნი უქადაგნეს ყოველთა მართლმადიდებლობით მგალობელთა მარადის კეთილმსახურებისა დიდსა საიდუმლოსა" (სადღესასწაულო კონდაკი).

ზემოხსენებული ძეგლების გარდა ("საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ჭვრეტა" და "სიტყუად სატფურებისათჳს"), ძველმა ქართულმა მწერლობამ შემოგვინახა წმინდა გერმანე პატრიარქის სახელით ცნობილი კიდევ სამი საკითხავი, რომელთაც ბერძნული ორიგინალები არ ეძებნებათ: "თხრობად სასწაულთათჳს და საკვრველებათა დიდებულისა მთავარანგელოზისა მიქაელისათა და სხუათა მათ წმიდათა ანგელოზთათჳს"³¹ (წმ. ექვთიმე მთაწმინდლის თარგმანი, ხელნ. A 1103, 137-180; Sin. 91, 91-136), "საკითხავი მთავარანგელოზთა"³² (A 70, 278-281) და დიდმარხვის პირველი კვირის ქადაგება "წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გერმანოს კონსტანტინეპოვლელ მთავარეპისკოპოსისა და სიტყუად ჯუარისათჳს და წმიდათა ხატთა, ჳელითქმნულთა და ჳელითქმნელთათჳს, მწვალებელთა მათ მიმართ, რომელნი ჯუარსა ხოლო თაყუანის-სცემენ და ხატთა არა"³³. ქვემოთ სწორედ ამ უკანასკნელზე გვექნება საუბარი.

1 - "რომის პაპ გრიგოლის პირველი ეპისტოლე იმპერატორ ლეონ ისავრიელისადმი წმინდა ხატთა შესახებ"; Деяния Вселенских Соборов, Т. IV. Казань, 1908. С. 325.

2 - Theophanis. Chronographia, I-II. Ed. C. De Boor. Lipsiae, 1883, 1885. P.G. t. 108. «Летопись византийца Феофана», в переводе с греческого В. И. Оболенского и Ф. А. Терновского, с предисловием О. М. Бодянского, Москва, 1884.

3 - "დიდი სჯაქსარი", წმ. გიორგი ათონელის თარგმანი, საქართველოს საეკლესიო კალენდარი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის წმ. დავით აღმაშენებლის ტაძარი, 2003, გვ. 97.

4 - იქვე.

5 - «Летопись византийца Феофана», С. 280, დასახ. გამოცემა.

6 - VI მსოფლიო კრების (680-681 წ.წ.) მიერ ანათემირებული ცრუმოდღვრება ქრისტეში ერთი მოქმედებისა და ერთი ნების შესახებ.

7 - "რომის პაპ გრიგოლის...", დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

8 - "დიდი სჯაქსარი", დასახ. გამოცემა, გვ. 97.

9 - დიპლომატიური თანამდებობა რომის იმპერიაში. მოგვიანებით საეკლესიო-ადმინისტრაციული მნიშვნელობით აპოკრიფი (ბერძნ. "ἀποκρισιάρχιος", პირ. "პასუხის მომტანი"; ლათ. responsalis) იყო დანარჩენი საპატრიარქოების წარმომადგენელი კონსტანტინეპოლის სამეფო კარზე. მაგ., დედაქალაქში რომის პაპის ასეთ წარმომადგენლად 579-586 წლებში მოღვაწეობდა წმ. გრიგოლ I დიდი, შემდგომში თავად პაპი (590-604 წ.წ.).

10 - «Летопись византийца Феофана», ც. 282.

11 - საერო ხელისუფლის, ამ შემთხვევაში იმპერატორის, მიერ საეკლესიო საკითხებში უხეში ჩარევა და მისი საქმეების მართვა-გამგეობა.

12 - ბერძნ. ὁ σύγκελλος (პირ. "თანაშემწე"; ძვ. ქართ. "სჯნკელი, სჯნგელოზი") - საეკლესიო თანამდებობა; პატრიარქთან მცხოვრები სასულიერო პირი, რომელიც მისი თანაშემწე და უბიწო ცხოვრების მოწმე იყო; ჰქონდა დიდი გავლენა და ხშირად პატრიარქის თანამოსაყდრედაც მოიაზრებოდა პროტოსვინკელის ხარისხში.

13 - "დიდი სჯნაქსარი", დასახ. გამოცემა, გვ. 98. წმ. გერმანეს მიერ საყდრის დატოვების ამბავს იუწყება მისი თანამედროვე წმ. იოანე დამასკელიც. იქ, სადაც საუბარია ძველ დროში მეფეთა ძალმომრეობის ფაქტებზე წმ. იოანე ბრძანებს: "და ახლაც, ნეტარი გერმანე (ბერძნ. ὁ μακάριος Γερμανός), რომელიც ბრწყინავს ცხოვრებითაც და სიტყვითაც, დაისაჯა და დევნილად იქცა" ("მეორე სიტყვისგება ხატმებრძოლთა წინააღმდეგ", P.G. 94, col. 1297A). ერთი შეხედვით, თეოფანესა და სხვა წყაროთა ნაუწყებში, რომ გერმანე ნებაყოფლობით გადადგა საპატრიარქო ტახტიდან, და იოანეს ცნობას შორის, პატრიარქზე ძალის გამოყენების თაობაზე, წინააღმდეგობა შეიმჩნევა. მაგრამ, ალბათ, აქ იგულისხმება ხელისუფლების მხრიდან პერმანენტულად წარმოებული ის ზეწოლა, რამაც უწმინდესი გერმანე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა და მიაღებინა ესოდენ უკიდურესი გადაწყვეტილება.

14 - «Летопись византийца Феофана», ც. 299.

15 - იქვე, გვ. 292.

16 - იქვე, გვ. 298.

17 - იქვე.

18 - "სტეფანე ახლის ცხოვრება", Bibliotheca hagiographica Graeca, N 1666, p. 159. 21-23; Ed. Fr. Halkin, Brux., 1957.

19 - Homilia de Maria Rhomaia; Dobscütz E., von. Christusbilder. Lpz., 1899, 242.7-26.

20 - Жития византийских святых. Перевод Софьи Поляковой, СПб., 1995, с. 334-335.

21 - «Летопись византийца Феофана», ც. 297-298.

22 - "დიდი სჯნაქსარი", დასახ. გამოცემა, გვ. 97.

23 - იხ. ორი ძვ. ქართ. თარგმანი: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2004, გამომ. "ნათლისმცემელი", თბილისი, 2003, გვ. 117-164; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა; ასევე, ახალ ქართ.: თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიეროსაღვთისმეტყველო შრომები, II, თარგმანი ედიშერ ჭელიძისა, თბილისი, 2004, გვ. 60-68. გამომცემლთა წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე კვლევა ძველის ავტორობას სწორედ წმ. გერმანეს განუკუთვნებს.

24 - Photius. Bibliothèque, 223; Ed. R. Henry.

25 - ალექსანდრიის კატეხიზმური სკოლის წინამძღოლის, ორიგენეს (180/5 - 254/5 წ.წ.), ცრუმოდვრება საყოველთაო (მათ შორის, ბოროტი ძალებისაც) აღდგომის (ბერძნ. ἡ ἀποκατάστασις; ძვ. ქართ. "კუალადგება") შესახებ.

26 - წმ. პავლე მოციქულის მოწაფის, ათენის პირველი ეპისკოპოსის, წმ. დიონისე არეოპაგელის (I-II სს.) სახელით ცნობილი თხზულებების ერთობლიობა, ე. წ. *Corpus Areopagiticum*.

27 - შრომები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბილისი, 1961.

28 - იხ. ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი "ანგელოზურ ძალთა შესახებ"; განმარტებათა ძველი ქართული (წმ. ეფრემ მცირისეული) ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ბერძნულ კომენტარებთან შეაჯერა, გამოკვლევა და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო ანა ჭუმბურიძემ, თბილისი, 2001.

29 - ვ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1980, გვ. 139.

30 - "დიდი სვნაქსარი", დასახ. გამოცემა, გვ. 97.

31 - ვ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 207. მისივე, "ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", თბილისი, ტ. II, 1945, გვ. 237-268. მისივე, "უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში", ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1941, დამატება, გვ. 585 და "ეტიუდები" ტ. V, თბილისი, 1957, გვ. 23.

32 - იქვე.

33 - ქვემოთ ყველგან "სიტყუად ჯუარისათჳს".

გამოყენებული ლიტერატურა

1. Дворкин А. Очерки по истории Вселенской Православной Церкви; Н. Новгород, 2005.

2. Карташев А. В. Вселенские Соборы; Клин, 2002.

3. Православная энциклопедия. Т. IX; Москва, 2005.

4. Православная энциклопедия. Т. XI; Москва, 2006.

5. Успенский Ф. И. История Византийской Империи, т. 2; Москва, 2005.

6. Шмеман А, прот. Исторический путь Православия; Москва, 2003.

7. The Catholic Encyclopedia, Volume VI. Published 1909; New-York.

* * *

"სიტყუა ჯუარისათჳს" გამოცემები

"სიტყუა ჯუარისათჳს" ჰომილია შემოგვინახა ძვ. ქართულმა და ძვ. სლავურმა თარგმანებმა. კრიტიკულად დადგენილი ქართული ტექსტი, პარალელურ ფრანგულ თარგმანთან ერთად, გამოცა აწ განსვენებულმა ბელგიელმა ორიენტალისტმა, ღვაწლმოსილმა ქართველოლოგმა, მიშელ ვან ესბრუკმა¹.

XVII ს-ის ერთადერთ ხელნაწერში შემორჩენილი სლავური ტექსტი, ესბრუკისეული გამოცემიდან ლ. გიგინეიშვილის რუსული თარგმანითურთ, გამოაქვეყნა ვ. ბარანოვმა². ქართულ-სლავური ტექსტები ერთი და იმავე რედაქციისაა; ყოველ შემთხვევაში, მათ შორის რაიმე არსობრივი სხვაობა არ შეიმჩნევა. ამიტომ, სლავურ თარგმანს მხოლოდ ნაწილობრივ ვეხებით, განსხვავებით ჩვენთვის საინტერესო გამომცემლისეული დასკვნებისა.

"სიტყუა ჯუარისათჳს" ავთენტურობის საკითხი

"სიტყუა ჯუარისათჳს" შემცველი ქართული ხელნაწერები მის ავტორად ერთხმად წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელს ასახელებენ. მსგავსი ქადაგება კი, ბერძნულ ორიგინალზე, პატრიარქის ნაშრომებს შორის არ მოიძებნება. ამიტომაც, რთულია, a priori დადგინდეს ჰომილიის ავტორი მართლაც წმინდა გერმანეა, თუ ის სახელნატყუარი ძეგლია. მაგრამ, "სიტყუა ჯუარისათჳს" ავთენტურობის სასარგებლოდ არსებობს რამდენიმე არგუმენტი, რომელთა წარმოჩენასაც ქვემოთ თანმიმდევრულად შევეცდებით.

ძეგლის გასაყალბებლად საჭიროა სათანადო მოტივაცია. ძველად, დამხობილი და დევნილი ქრისტიანული დენომინაციების მიმდევრები საკუთარი იდეების გავრცელებას ცდილობდნენ ავტორიტეტულ მართლმადიდებელ მოძღვართა სახელით, რომელსაც წააწერდნენ ხოლმე თავიანთი მოძღვრების შემცველ ტექსტებს³. ერეტიკოსთა მიზანი იყო, რათა, ერთი მხრივ, სიწმინდით მოსილი პიროვნებით შეენიღბათ მწვალებლობა და მისთვის სიცოცხლე გაეგრძელებინათ, მეორე მხრივ კი, სარწმუნოებაში გაუწაფავი მკითხველი დაეზინათ და, მისდა გაუცნობიერებლად, ფსევდოსწავლების აღმსარებლად ექციათ. რამდენადაც "სიტყუა ჯუარისათჳს" მართლმადიდებლობის უმწიკვლო გადმოცემას წარმოადგენს, მის მწვალებლისეურ ავტორობაზე საუბარიც ზედმეტია.

ამასთან, XII ს-მდე ("სიტყუა ჯუარისათჳს" ქართულად თარგმნის მიჯნა) კონსტანტინეპოლელი პატრიარქის გარდა გერმანეს სახელის მქონე სხვა სახელგანთქმულ იერარქსა და მწერალს ეკლესიის ისტორია არ იცნობს. ამდენად, ვერც გადამწერისეულ სახელთა აღრევასთან გვექნება საქმე.

თუმცა, მთავარი "სიტყუა ჯუარისათჳს" ტექსტზე დაკვირვებაა, რასაც საგულისხმო დასკვნებამდე მივყავართ. უპირველესად, თვალში საცემია ხატთაყვანისცემისადმი წაყენებული ბრალდებების დოგმატური დაუხვეწაობა. ისინი არ სცდებიან იმ თავდაპირველ თეზისებს, რითაც ოპერირებდნენ იკონოკლასტები ეკლესიურ სწავლებასთან დაპირისპირების საწყის ეტაპზე (ამგვარი ბრალდებებია: ძველადთქმისეული აკრძალვები კერპთაყვანისცემის შესახებ და ხატის კერპთან იდენტობა, ხატის ხელითქმნილობა და მატერიალურობა, ნივთიერებისადმი თავყვანისცემა და ადამიანთა გაღმერთება, უხილავი ღმერთის ხილულად გამოსახვის შეუძლებლობა და სხვა). ცნობილია, რომ ქრისტოლოგიური სახის საბუთები ხატმებრძოლებმა მხოლოდ მოგვიანებით, 754 წლის კრებაზე გააჟღერეს (იხ. ქვემოთ).

აგრეთვე, აშკარაა არგუმენტების ის არქაულობა, რასაც ქადაგების ავტორი მიმართავს (რაც კარგად უდგება გერმანეს მწყემსმთავრობის ეპოქას). ჰომილიაში დოგმატური სიღრმით არ არის გაშლილი ქრისტოლოგიური საკითხი; ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული თაყვანისცემისა და მსახურების მცნებები; სათანადოდ არ არის განხილული ხატისა და პირველსახის ურთიერთმიმართების თემა (იხ. ქვემოთ). ხოლო, თუკი მოქადაგე რიგ შემთხვევებში განკაცების რჯულდებით ხელმძღვანელობს, ესეც გერმანეს სასარგებლოდ მეტყველებს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 720-იანი წლების დასაწყისში დაწერილ ეპისტოლეებში (იხ. ზემოთ) კონსტანტინეპოლის მღვდელმთავარი სწორედ ღვთის განკაცების დოგმატით ასაბუთებს ხატების გამოსახვის მართებულობას.

ამასთან, წინამდებარე ძეგლში გვხვდება ერთი ფრაზა, რომელიც, ფაქტობრივად, სიტყვასიტყვით იმეორებს წმინდა გერმანეს ცნობილი ნაშრომის - "საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ჭვრეტა" - სიტყვებს. ამ თხზულების დასაწყისშივე ავტორი გვთავაზობს ეკლესიის ამგვარ განსაზღვრებას (მოგვყავს ორი ძვ. ქართული თარგმანი): "ეკლესია არს ცაჲ ქუეყანასა ზედა" და "ეკლესია არს ქუეყანისა-ზედაჲ ცაჲ"⁴. აქ მინიშნებულია საღვთისმეტყველო დებულებაზე, რომ ზეციური, ე. წ. "მოზიემე", და ამქვეყნიური, ე. წ. "მებრძოლი", ეკლესია თავისი არსით არის ერთიანი და ერთმანეთისგან სხვაობს მხოლოდ მოღვაწეობის ფორმითა და ადგილით⁵. ეკლესიის იდენტური დეფინიცია არის მოცემული ჩვენთვის საინტერესო ქადაგებაშიც. იქ, სადაც საუბარია მწვალებელთა მიერ ხატის ზეციური ნიშნის მოთხოვნაზე, ვკითხულობთ: "ესე მუნ არა ეცეს მას, გარნა ქუეყანისსა ამას შინა ცასა ჩემსა, რომელ არს ეკლესიაჲ" (თ. 23-ე). ვფიქრობთ, თანხვედრა აშკარაა.

ძეგლის ავთენტურობას შეამოწმებს სლავური ტექსტის გამომცემელიც⁶ (ვან ესბრუკს ამ საკითხზე საგანგებოდ არ უმსჯელია). ბატ. ბარანოვი, სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით, მიდის დასკვნამდე, რომ "სიტყუაჲ ჯუარისათჳს" დაწერილია 754 წლის "უთავოთა" კრების შემდეგ და ინტერპოლირებულია 787 წლის მსოფლიო კრების შემდგომ. ამდენად, მისი თქმით, წმ. გერმანე ქადაგების ავტორი ვერ იქნება. საინტერესოა, რა არგუმენტაციას ეფუძნება რუსი მეცნიერის ესოდენ თამამი განაცხადი.

ბატ. ბარანოვი ეთანხმება ესბრუკისეულ აზრს ჰომილიაში გამოთქმულ არქაულ მოტივთა შესახებ⁷ (ზემოთ ჩვენც გვქონდა ამაზე საუბარი) და ამის დასტურად "სიტყუაჲ ჯუარისათჳს" დამასკელის "სიტყვისგებებთან" მსგავსებას ასახელებს; მაგრამ, მაინც ცდილობს, თხზულებაში დაინახოს გვიანდელ ავტორებზე მითითებანი. კერძოდ, ის გულისხმობს წმ. ნიკიფორე პატრიარქის (806-815 წ.წ., † 828 წ.) მიერ განვითარებულ "გარეშემოწერილობის" არგუმენტს და წმ. თეოდორე სტუდიელის (759-826 წ.წ.) მიერ მოხმობილ მოსესეულ ანალოგიას.

რა შეიძლება ითქვას? ჩვენი დაკვირვებით, მქადაგებელი საერთოდ არ უნდა იცნობდეს ხატთაყვანისცემის შესახებ დაწერილ წმინდა იოანე დამასკელის სახელგანთქმულ და საყოველთაოდ გავრცელებულ "სიტყვისგებებს"; არამეტუ მის II და III ნაწილს, რომლებიც 729/30 წლის მერეა შედგენილი, არამედ პირველ თავსაც კი, რომელიც 726 წლის მახლობლად თარიღდება (რაც საეჭვოა, მალევე არ მიეტანათ მოვლენების შუაგულსა და განსაცდელში მყოფი კონსტანტინეპოლელი მწყემსმთავრისთვის)⁸. მაგალითად, ამაზე მიგვანიშნებს ზემონახსენები "თაყვანისცემისა" და "მსახურების" ტერმინოლოგიური განუსაზღვრელობა. ხოლო, თუკი დამასკელისეულ "სიტყვებსა" და "სიტყუაჲ ჯუარისათჳს" შორის თანხვედრად ადგილებს ვპოვებთ (როგორც მაგ.: ბიბლიის შესაბამისი მუხლებისა და წმ. ბასილი დიდის ციტირება, ძველი და ახალაღმთქმისეული ნიმუშებით ოპერირება,), ისინი მაინც სპორადულ ხასიათს ატარებენ და მომდინარეობენ არა ერთმანეთის შრომების სარგებლობით, არამედ საერთო წყაროების გამოყენებით.

რაც შეეხება "გარეშემოწერილობის" არგუმენტს, ის, ქრისტოლოგიური კამათების დროს, გერმანემდე კაი ხნით ადრე იყო უკვე დამუშავებული ეკლესიაში და პატრიარქ ნიკიფორემდე მას დეტალურად ეხება წმ. იოანე დამასკელიც (იხ. შენ. VIII; ცხადია, იოანე ნიკიფორეზე დამოკიდებული ვერ იქნებოდა). ასევე, მოსეს მიერ "ხელთა განპყრობის" (იხ. თ. მე-11) ჯვარცმასთან ანალოგია და, ამის საფუძველზე, გერმანეს მიერ ხატისა და ჰიპოსტასის გაიგივებაც, უძველეს ეგზეგეზაზე არის დასაძირკვლებული⁹. ამდენად, "სიტყუაჲ ჯუარისათჳს" გვიანდელ მწერლებზე დამოკიდებულება არაფრით არ მტკიცდება.

რუს მკვლევარს ანაქრონიზმად ესახება ქადაგების სათაური (იხ. შენ. I), თუმცა თავადვე ამოწმებს, რომ ქადაგებაში ამის დასტური არ იპოვება. უნდა ითქვას, რომ როდესაც "სიტყუაჲ ჯუარისათჳს" ლიტურგიკული საჭიროებისთვის ითარგმნა (ყოველ შემთხვევაში ქართულად), იმ დროისთვის "მართლმადიდებლობის ზეიმი" დიდი ხნის დაწესებული იყო და, ცხადია, ანტიხატმებრძოლური ქადაგების ეკლესიაში წაკითხვაც სწორედ ამ დღისთვის განეჭინა.

თუმცა, ბატ. ბარანოვის მთავარი მოსაზრებანი ამის შემდგომ არის ჩამოყალიბებული რამდენიმე პუნქტად: 1) ex

silentio; 2) VII მსოფლიო კრების "ოროსიდან" მოყვანილი ციტატა; 3) მინიშნება ხატების კანონიკური აკრძალვისა; 4) განსხვავებული ინტერპრეტაცია ხატის ონტოლოგიური გაგებისა, რაც შეიმჩნევა პატრიარქის ავთენტურ შრომებსა და "სიტყუად ჯუარისათვს" შორის.

დავიწყით პირველი. მკვლევარს უნდა ახსოვდეს, რომ silentium არ არის argumentum. ამ კრიტიკიუმით რომ ვიხელმძღვანელოთ, II ს-ის უდიდესი საღვთისმეტყველო ტრაქტატი, "მკვდართა აღდგომის შესახებ"¹⁰, ფსევდოეპიგრაფულ ძეგლად უნდა გამოვაცხადოთ; წმ. ათენაგორა ათენელის ამ ნაშრომს ძველი ავტორებიდან ხომ არავინ ახსენებს¹¹? ასევე, სახელნატყუარად უნდა შეგვერაცხა ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობის გვირგვინი - წმ. გრიგოლ ხანცთელის "ცხოვრებაც". X ს-ში დაწერილი ძველი მხოლოდ XIX-XX სს-ში გახდა ცნობილი და იქამდე მას არავინ იმოწმებდა.

"სიტყუად ჯუარისათვს" 34-ე თავში უწყებულება, რომ "კედელთა ზედა და ფიცართა და სამდღელოთა ჭურჭელთა ზედა გამოხატულთა წმიდათა ხატთა... ქრისტეანებრითა ამბორს-უყოფდეთ სიტყვერებითა". ბატ. ბარანოვს მოჰყავს ციტატა VII მსოფლიო კრების "ოროსიდან" (სადაც საუბარია წმინდა გამოსახულებათა ტაძრებში, საეკლესიო ჭურჭელსა და შესამოსელზე, კედლებსა და დაფებზე, სახლებსა და გზებზე გამოხატვის მართებულობაზე)¹² და მიიჩნევს, რომ ის დამოწმებული აქვს ქადაგების ავტორს. ამდენად, ჰომილია დაწერილი თუ არა, რედაქტირებული მაინც უნდა იყოს VII კრების შემდეგო, - აცხადებს რუსი გამომცემელი.

ჯერ ერთი, აქაც (როგორც ზემოდაწმინდებულ ნიმუშებში) სახეზეა ზოგადი მართლმადიდებლური რჯულდება და არა ზუსტი ციტაცია. მეორეც, უკვე VII ს-ში ანტიიუდეური პოლემიკისას სიტყვასიტყვით ეგვეს ამტკიცებს ნეაპოლის ეპისკოპოსი ლეონტი კვიპრელიც¹³. ზუსტად ასევე მსჯელობს წმინდა იოანე დამასკელიც უკვე ხსენებულ "სიტყვებში"¹⁴ (იხ. ქვემოთ). მათ კი ვერავინ დასწამებს "ოროსის" გამოყენებას, რადგან ხსენებული კრებისას ორივე მოძღვარი უეჭველად გარდაცვლილია. ამიტომ, თუკი საუბარია ვინმეს მხრიდან დამოწმებაზე, "ჯერ-არს" ვიფიქროთ, რომ სწორედ ნიკეის კრების მონაწილეები მოიხმობენ წინარე მამათა ნააზრევს და არა პირუკუ.

მესამე არგუმენტი ეხება 31-32-ე თავებს, სადაც ცრუდაფიცების სასჯელზეა საუბარი (მსგავსი დაფიცების რიტუალი მართლაც არსებობდა იმპ. კონსტანტინეს პირადი ინიციატივით; იხ. შენ. XXXVIII). ბატ. ბარანოვის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს კრებითი, კერძოდ, "უთავოთა" კრების რჯულდება. ჩვენ კი გვგონია, რომ აქ საუბარია სწორედ კერძო შემთხვევაზე და არა საეკლესიო განჩინებაზე. ავტორის სიტყვები, "უკუეთუ თქუან ვითენიმე მათგანთა ფუცვად ვისდამე მიმართ", უფრო ცალკეული ფაქტისკენ მიგვითითებს, ვიდრე პირიქით. ეს "ვინმე" შეიძლება იყო იმპ. ლეონი, ანდა რომელიმე მწვალებელი ეპისკოპოსი. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ხატმებრძოლობის აღმოცენების საწყისი ეტაპის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს ხელთ. ბოლოს და ბოლოს, ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევრები იმაშიც კი ვერ შეთანხმებულან, საერთოდ იყო თუ არა ამ წლებში ხელისუფლების მხრიდან გამოცემული სპეციალური ედიქტი ხატების აკრძალვის თაობაზე.

ამასთან, თუკი "სიტყუად ჯუარისათვს" 754 წლის შემდგომ დაიწერა, რატომ არაფერია მასში უწყებული თავად ამ კრებისა და მისი გადაწყვეტილებების შესახებ? რატომ არსად არ არის ხსენებული თუ არა მინიშნებული მაინც, ამ სინოდის სულისჩამდგმელი იმპ. კონსტანტინე? რაც მთავარია, რატომ არაფერია თქმული მწვალებელთა კრების ძირითად, ქრისტოლოგიურ არგუმენტზე? ქადაგებაში მოყვანილი განქიქებანი ხომ აშკარად არასაკმარისი იქნებოდა 754 წლის შემდგომ? მაშ, უკვე ადრე გაჟღერებული და, ამასთან, არააქტუალური დოქტრინების კვლავ ოპერირებით, რატომ უნდა დამშვრალიყო ე. წ. ფსევდოავტორი? ასე რომ, "სიტყუად ჯუარისათვს" გვიანდელი დათარიღება არაფრით დასტურდება და არის მხოლოდ რუსი მეცნიერის ოპინიო პრაესუმპტა.

სულ ბოლოს, ბატ. ბარანოვი შეუსაბამოდ რაცხს "სიტყუად ჯუარისათვს" 29-ე და 35-ე თავებში გადმოცემულ სწავლებას ხატთაყვანისცემის არა მხოლოდ საამქვეყნო, არამედ სამერმისო ღირებულებასა და წმ. გერმანეს ეპისტოლის ერთ ეპიზოდს შორის. აი, ეს ამონარიდიც: "ხატებზე ხორციელი სახით საუფლო ხატის გამოსახვა ემსახურება მწვალებელთა ცრუ წარმოსახვის განქიქებას, რომლებიც ყბედობენ, რომ, თითქოს, ის სინამდვილეში არ განკაცებულა; ასევე, იმათ დასამოდვრად, რომლებსაც არ ძალუძთ სულიერი ჭვრეტის სიმალლეზე ასვლა, არამედ საჭიროებენ მოსმენილის ერთგვარ ხორციელ აღქმას, რამდენადაც ეს სასარგებლოა და დასაშვები"¹⁵.

ბატ. ბარანოვის ინტერპრეტაციით, პატრიარქი ხატთაყვანისცემას ყველასთვის სავალდებულოდ არ მიიჩნევს, უფრო კი იმათთვის, რომლებმაც სულიერ სიმალლეზე ასვლა შეძლეს. ამგვარი დასკვნა საკმაოდ ნაძალადევაა. ჯერ ერთი, გერმანე სრულიადაც არ ამტკიცებს ხატების მხოლოდ უბირთათვის საჭიროებას, არამედ მსჯელობს უპირატესად გაუნათლებელთათვის წმინდა გამოსახულებათა მართებულობაზე. აქაც, კონსტანტინეპოლის

მთავარეპისკოპოსი ეფუძნება ოდენ წინარე საეკლესიო ტრადიციას (ამას რუსი მკვლევარიც აღიარებს) უწიგნურთათვის ვიზუალური ხატის აუცილებლობის თაობაზე, რაც გამოთქმულია ეკლესიის უდიდეს მოძღვართა, წმ. ბასილი დიდის (+ 379 წ.), წმ. ნილოს სინელის IV-V სს.), წმ. გრიგოლ დიდის (+ 604 წ.) და სხვათა, ბაგეებით¹⁶.

ამასთან, ეგვე დიდაქტიკური მოტივი ("უფროსდა მსოფლელთათვის, რომელნი უსწავლელ იყვნენ წიგნისკითხვისა") პირდაპირ არის გაჟღერებული წინამდებარე ქადაგების მე-9 თავშიც, რაც კვლავ გერმანესკენ მიაქცევს ჩვენს ყურადღებას, რადგან ეს არგუმენტი მოგვიანებით მართლაც არასაკმარისი იყო. ამდენად, ამ მხრივაც, სარწმუნოდ დასტურდება "სიტყუა ჯუარისათვის" ღრმა არქაულობა.

"სიტყუა ჯუარისათვის" ავტორი ეყრდნობა რა უძველეს ტრადიციას, თავის მხრივ დაუმატებს, რომ "მსახურებად, პატივი და თაყუანისცემად, რომელი ამის (ხატთაყვანისცემის, ი. გ.) მიერ შევწირეთ ჩუენთვის განკაცებულისა ღმრთისა, არა წარწყმდეს, არამედსასყიდელი მისგან მოვიღოთ" (თ. 29-ე). ეს არის პასუხი მწვალებელთა შეკითხვაზე: "ვითარ ანუ სადა გამოჩნდეს მაშინ (მეორედ მოსვლისას, ი. გ.) ნივთიერი ესე ხატი, რომელსა აწ გუასწავებ ჩუენ, ჰ კაცო, თაყუანისცემად"; რაზეც გერმანე სავსებით მართლსაწმუნოდ უპასუხებს: "კულადა ვიტყოდი მეცა, ვითარმედ, ვითარცა-იგი აჩრდილი შჯულისადა წარჯდა, ძმანო, მოსლვითა მადლისადათა, ეგრეთვე ქალწულისაგან მიღებულისა რად პირმშობსა სახისადა სიკეთე ღმრთეებისა ნათლითა საშინელად ბრწყინვიდეს, მაშინ ნივთიერისა ამის და ყოვლადპატიოსნისა ხატისა ხილვად წარჯდეს".

თავის მხრივ, ეს სრულიად მართლმადიდებლური სწავლება ეფუძნება საღვთო წერილის სიტყვებს, რაც გადმოცემულია წმ. პავლე მოციქულის მიერ: "რამეთუ ვხედავ აწ, ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ (ანუ "მერმესა მას საუკუნესა", ი. გ.) - პირსა პირისპირ" (I კორ. 13:12). გერმანეს დასაბუთებაში აშკარად შეიმჩნევა ტრულის მსოფლიო კრების 82-ე კანონის გავლენაც, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. თუ დამოწმებული სწავლებანი მართლაც ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგინდია. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ პატრიარქის მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული მოძღვრება წინააღმდეგობაში კი არ მოდის, არამედ ავსებს ერთურთს.

ამასთან, როგორც ყველა სხვა პოლემისტი, გერმანეც ძიების, არგუმენტაციათა დახვეწის, სულიერად განჭვრეტილის სიტყვიერად გადმოცემის ურთულეს პროცესში იყო ჩაბმული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მის გვიანდელ ნაშრომში უფრო სიღრმისეულმა დოქტრინებმა იჩინა თავი, რადგან თავად საბაბი უცთომელი მოძღვრების ფორმოზივი ჩამოყალიბებისა - ერეტიკული სწავლება - ერთ ადგილზე არ იყო დაგუბებული და მართლმადიდებელ აპოლოგეტთაგან საღვთისმეტყველო რესურსის მაქსიმალურ გამოვლენას მოითხოვდა.

ერთადერთი დამაფიქრებელი ბარანოვისეულ მთელს მსჯელობაში გახლავთ VII მსოფლიო სინოდზე "სიტყუა ჯუარისათვის" მოუხსენებლობა. მართლაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კრების მეოთხე სხდომაზე, მამათა სხვა ნაშრომებთან ერთად, წაიკითხეს მწვალებელი ეპისკოპოსებისადმი გაგზავნილი წმ. გერმანეს სამი ეპისტოლე¹⁷.

აქ გასათვალისწინებელია თუ რა ჟანრის თხზულებანი მოიხმობოდა ნიკეის კრებაზე. პატრისტიკიდან სინოდზე კითხულობდნენ დისკურსიული ტიპის ეპისტოლეებს, ანდა ხატებთან დაკავშირებულ ნაწყვეტებს, ძირითადად, ჰაგიოგრაფიიდან და, ნაწილობრივ, ჰომილეტიკიდან. ასე რომ, უკვე წაკითხულ წერილებში გერმანეს პოზიცია გასაგები იქნებოდა კრების მამებისთვის და ქადაგების ციტირებაც აღარ იქნებოდა საჭირო.

ესეც რომ არა, ნაშრომის ავთენტურობაზე კრების მიერ წაკითხვა-არწაკითხვის კრიტერიუმით მაინც ვერ ვიხელმძღვანელებთ. ცნობილია, რომ ზუსტად გერმანეს ეპისტოლეებამდე მისდამი გაგზავნილი გრიგოლ პაპის "დოგმატური ეპისტოლეც" დაიმოწმეს, მაგრამ თანამედროვე კვლევა ამ ატრიბუციას სრულიად უარყოფს¹⁸. ასევე, სათუთა იმავე პაპის სახელით ლეონ მეფისადმი გაგზავნილი ორი ეპისტოლის ატრიბუციაც. უფრო მეტიც; მიუხედავად თავისი უდიდესი მნიშვნელობისა, ნიკეელ მამებს საერთოდ არც უხსენებიათ წმ. იოანე დამასკელის სამი "სიტყვისგება", მაგრამ ამით არავინ აყენებს ეჭვქვეშ მათ უტყუარობას.

ამდენად, სანამ ჩვენი თვალსაზრისის დასარღვევად რაიმე ფასეული სამხილი არ აღმოჩნდება, მანამდე argumentum ad rem ძალით შეგვიძლია, ვამტკიცოთ "სიტყუა ჯუარისათვის" ნამდვილობა.

"სიტყუა ჯუარისათვის" წარმოთქმის დრო და ადგილი

"სიტყუა ჯუარისათჳს" ავტორი 730 წ-მდე კონსტანტინეპოლის პატრიარქია. ამდენად, ქადაგებაც ამ დრომდეა წარმოთქმული. რამდენადაც ის მიმართულია ხატმებრძოლობის წინააღმდეგ, ნაშრომის ჩაწერის¹⁹ თარიღიც VIII ს-ის 20-იანი წლებით უნდა განისაზღვროს, რადგან ამ პერიოდში წარმოიშვა ზემოხსენებული ცრუსწავლებაც. მკვლევართა დასკვნით, გერმანეს ზემოდამოწმებული პოლემიკური ეპისტოლეები სწორედ 20-იანი წლების შუამდეა დაწერილი. მაგრამ, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია ამ თარიღის უფრო დაკონკრეტებაც.

როგორც ითქვა, ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ იკონომახების მწვალებლობა გაცხადებული ხდება 726 წლიდან. "სიტყუა ჯუარისათჳს" შესავალში კი თქმულია, რომ "ყოვლად ბრმანი იგი წინააღმდეგომითნი სიტყვსგებანი სამსახურებელთა ხატთათჳს არამცირედ აღშფოთების-მნებებელ არიან აღზრდილთა ამათ კათოლიკე ეკლესიისათა" (თ. I); ასევე, უფრო ქვემოთ ვკითხულობთ: "მრავალგზის თქუენცა ყოველი ხატი დაჰლექეთ და დასწვთ, ამას თანა კადნიერებით ჰწერწყუევდით და დასთრგუნევდით" (თ. 21-ე); ანუ საუბარია არა რაიმე კერძობით, ცალკეულ შემთხვევაზე, არამედ საყოველთაოდ გავრცელებულ ფაქტზე. ამდენად, "სიტყუა ჯუარისათჳს" უეჭველად თარიღდება 726 წლიდან 730 წლის 7 ან 17 იანვრამდე (გერმანეს საყდრიდან გადადგომის დღე) პერიოდით²⁰.

რაც შეეხება ნაქადაგების ადგილმდებარეობას, - ცხადია, ის, დიდი ალბათობით, უნდა წარმოთქმულიყო კონსტანტინეპოლში, კერძოდ, "აია სოფიის" საკათედრო ტაძარში, სადაც, ჩვეულებრივ, მსახურებდნენ და ქადაგებდნენ კიდევ ბიზანტიის პირველიერარქები.

დასკვნის სახით თამამად შეიძლება ითქვას, რომ "სიტყუა ჯუარისათჳს" არის ეკლესიის ისტორიაში ხატმებრძოლობის საწინააღმდეგოდ წარმოთქმული (ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეული) უძველესი ქადაგება, რაც მის წარუვალ ღირსებაზე მეტყველებს.

"სიტყუა ჯუარისათჳს" რაობა

"სიტყუა ჯუარისათჳს" გახლავთ მამხილებელ-პოლემიკური (ბერძნ. ἀποδ ἑλεγκτικὸς) ძეგლი. იგი მიმართულია VIII ს-ში ბიზანტიაში აღმოცენებული ხატმებრძოლობის ერესის წინააღმდეგ და, როგორც ზემოთ ითქვა, ეკუთვნის ისეთ ავტორიტეტულ მოძღვარს, როგორც გახლდათ წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელი.

"სიტყუა ჯუარისათჳს" არის ჰომილეთიკური ჟანრის თხზულება, რომელიც მიმართულია მრევლისადმი და, ცხადია, წარმოთქმულია ამბიონიდან. მასში კარგად შეიგრძნობა ცოცხალი მეტყველების რიტმი (არაიშვიათია მრევლისადმი პირდაპირი მიმართვები). ქადაგება ჩამონაკვეთულია მწყობრ კომპოზიციაში, სადაც თანმიმდევრულად არის განქიქებული მწვალებელთა დებულებები. მისი ენა, არის რა პათეტური და ამაღლებული, ამავედროულად (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) არის მარტივი წასაკითხი და ყველასათვის გასაგები. ავტორი ღრმად მცოდნეა წმინდა წერილისა, რომელსაც, ზუსტი ციტაციის, პერიფრაზისა თუ ალუზიის სახით, ხშირად იმოწმებს კიდევ. ქადაგება საცნაურყოფს წმინდა გერმანეს მჭევრმეტყველებას, რაც მის რიტორულ ხელოვნებაში ზედმიწევნით განსწავლულობასაც გააცხადებს.

ერთი სიტყვით, "სიტყუა ჯუარისათჳს" სახით ჩვენ ხელთა გვაქვს ბიზანტიური ჰომილეთიკის ერთი-ერთი შესანიშნავი და მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელმაც პატროლოგიაში თავისი ღირსეული ადგილი უნდა დაიმკვიდროს.

"სიტყუა ჯუარისათჳს" ქართული თარგმანი

"სიტყუა ჯუარისათჳს" გადმოქართულება კიდევ ერთი უტყუარი დასტურია მისი ავთენტურობისა. როგორც ირვევა, გერმანესეული ქადაგება ძველ ქართულზე გადმოუღია ისეთ აღმატებულ ღვთისმეტყველს, როგორც იყო წმინდა ეფრემ მცირე (XI ს.). ცნობილია, თუ როგორი რუდუნებითა და გამოწვლილვით არჩევდა სათარგმნ თხზულებებს²¹ შავმთელი²² მოღვაწე. ასევე, ცნობილია ისიც, რომ ანტიოქიის პატრიარქთა (რომლებთანაც ეფრემს ახლო ურთიერთობა ჰქონდა)²³ ლოცვა-კურთხევით ეფრემს ხელი მიუწვდებოდა საქრისტიანოს ერთ-ერთ უმდიდრეს ბიბლიოთეკაზე - "სვიმეონწმიდის" წიგნსაცავზე²⁴.

მის ნამუშავეს გააცხადებს "სიტყუა ჯუარისათჳს" შემცველი ორი უძველესი ხელნაწერი (A 162 და ქუთ. 8; იხ.

ქვემოთ), სადაც, სათაურის გასწვრივ, მთარგმნელად სწორედ ეფრემი სახელდება. ამ მონაცემზე დაყრდნობით, ეგვიპტე თვალსაზრისის იზიარებენ აკად. კორნელი კეკელიძე²⁵ და ეფრემის მთარგმნელობითი მემკვიდრეობის მკვლევარი თამარ ბრეგაძე²⁶. ამას მხარს უჭერს უძველესი ხელნაწერის XI ს-ით დათარიღებაც და ძეგლის ენაც, რომელიც არაფრით განსხვავდება ეფრემისეული სხვა ნაშრომებისგან მისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიისა და ძვ. ქართული ენის ნორმების კუთხით; აგრეთვე, უძველესი A 162 კრებული, სადაც დიდი უმრავლესობა ეფრემისეული შრომებია მოთავსებული. ამდენად, არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ ხელნაწერთა ატრიბუციას არ ვერწმუნოთ.

რომელი ენიდან და როდის უნდა ეთარგმნა წმინდა ეფრემს "სიტყუა ჯუარისათჳს"? ზოგადად, ვიცით, რომ ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ეფრემი მხოლოდ ბერძნულიდან თარგმნიდა. როგორც თავად გვეუბნება, ის ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა ორიგინალიდან თარგმნას. ერთგან, სადაც საუბარია სომხურიდან უკვე გადმოღებულ ბერძნულ ნაშრომზე, ეფრემი ბრძანებს: "ხოლო მე სომხურის წილ ბერძნულისაგან კუალად მეორედ ვიძიულე თარგმნად, რამეთუ სომეხისა შვილსა და ბერძნისა შვილის-შვილსა, ნუჲკუე და არა უეჭუელსა თვთ უეჭვი და საკუთარი შვილი აღვირჩიე"²⁷. ამას ამოწმებს ის ბერძნობებიც, რომლებსაც ჰომილიაში ვხვდებით (ესენია: კათოლიკე, ელენი (ტრადიციული "წარმართის" მაგივრად), ორდანი ("საჭურვლის" მაგივრად), ბელიარი, სკიპტრა).

ეფრემ მცირე ცხოვრობდა XI ს-ის მეორე ნახევარში. მისი უგვიანესი ანდერძები 90-იანი წლებით თარიღდება. ხოლო რუის-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრების "ძეგლისწერაში" (1103/05 წ.წ.) ეფრემი უკვე "დაუსრულებსა ნეტარებისა მკვდრთა", ანუ გარდაცვლილთა, შორის მოიხსენიება²⁸. მამასადამე, "სიტყუა ჯუარისათჳს" თარგმნის terminus post quem XI-XII სს-ის მიჯნით უნდა განისაზღვროს. შევეცადოთ, ეს ვადა უფრო შემოვფარგლოთ.

ჩვეულებრივ, ნებისმიერი ავტორის მთარგმნელობითი მოღვაწეობა მარტივიდან რთულისკენ მსვლელობაა; თავდაპირველად მოღვაწისაგან ითარგმნება დოგმატურად ლიტონი, ნაკლებტერმინოლოგიური ძეგლები (როგორცაა "სიტყუა ჯუარისათჳს"), ხოლო საღვთისმეტყველო-ტერმინოლოგიური აკრიზისის სიმწიფისას - რთული ფილოსოფიურ-დოგმატური შრომები. გამონაკლისი არც წმინდა ეფრემია.

მართლაც, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია გამორკვეული, ორიგინალთან მაქსიმალური სიახლოვეთა და ტერმინქმნადობის კუთხით ცნობილი ეფრემისეული შედეგები - წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ე. წ. სადღესასწაულო, ანუ საღვთისმსახურო, 16 სიტყვა და არეოპაგიტული კორპუსი - მის მიერ ითარგმნა ცხოვრების მიწურულს, ანუ 90-იან წლებში²⁹. თვით ამ დრომდეა თარგმნილი (დაახლ. 80-იან წლებში) წმ. იოანე დამასკელის ეპოქალური მნიშვნელობის ფილოსოფიურდოგმატური სახელმძღვანელოები: "დიალექტიკა" და "გარდამოცემა", გრიგოლ ღვთისმეტყველისვე არალიტურგიკულ, ე. წ. აპორეტულ, 19 სიტყვასთან ერთად. საფიქრელია, რომ გერმანე პატრიარქის ქადაგება ამ ღვაწლის უწინარეს იყოს თარგმნილი.

შესაძლებელია, უფრო განვაზოგადოდ ზემონათქვამი. დიდი ხანია გამორკვეულია, რომ ეფრემმა ხატთაყვანისცემისადმი მიძღვნილი მთელი კორპუსი გადმოთარგმნა. "სიტყუა ჯუარისათჳს" გარდა მასში ერთიანდება: სამი თხრობა მაცხოვრის ხატის მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ (ხელნ. A 162, A 5, A 70, ქუთ. 8 და სხვა) და წმ. იოანე დამასკელის ორი "სიტყვსაგებელი" (ხელნ. ქუთ. 8 და სხვა). ისინი ხელნაწერებშიც, ფაქტობრივად, ერთმანეთის მიყოლებით არიან განლაგებულნი. ამიტომაც, ჩვენი აზრით, შესაძლოა, მთელი ამ კორპუსის გადმოქართულება ერთი მთარგმნელობითი ეპოქით, კერძოდ, XI ს-ის 60-70-იანი წლებით შემოისაზღვროს.

არსებობს ერთი ტერმინოლოგიური მონაცემიც. როგორც პროფ. ედიშერ ჭელიძე გვაუწყებს, ბერძნული ტერმინები "ἀρχέτυπος" და "πρωτότυπος" ადრეულ ეტაპზე ეფრემისგან (წინარე ტრადიციის კვალობაზე) ითარგმნებოდა, როგორც "პირმშობი სახე" და "პირმშობი ხატი", განსხვავებით მისგან დამკვიდრებული გვიანდელი (90-იანი წ.წ.) "სახისდასაბამისა"³⁰. ეს ლექსიკური ერთეული ("პირმშობი სახე") ორგონის გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტექსტშიც, თანაც ერთი მათგანის ბერძნული შესატყვისი (πρωτότυπος) უჭველად დადგენილია (იხ. თ. 29-ე). ამ ნიშნითაც, "სიტყუა ჯუარისათჳს" 90-იან წლებამდე უნდა იყოს დაწერილი.

მიუხედავად ბერძნული ორიგინალის უქონლობისა, თუ გავითვალისწინებთ წმინდა ეფრემის მთარგმნელობით მსოფლმხედველობას³¹, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ "სიტყუა ჯუარისათჳს" სიტყვასიტყვითი თარგმანია. ის თუმცა მეტაფრასულ კრებულებშია მოთავსებული, ქადაგებას გამშვენებულობისა არაფერი ემჩნევა (მასში თითქმის არ გვხვდება განყენებული თეოლოგიური მსჯელობანი). თანაც, ეფრემის თქმით, გარდაკაზმვა სჭირდებოდა

ლიტონი კაცის აღწერილს (და არა იმ რანგის ავტორიტეტულ პირს, როგორც გერმანე იყო), "ხოლო წმიდათა თქუმულსა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილსა ვერვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმიდა სახარებასა და ებისტოლეთა პავლე მოციქულისათა, რაოდენცა ლიტონითა სიტყვთა აღწერილ იყოს, ბრძენთა და მართლმადიდებელთაგანი ვერვინ შეეხების, არათუ ვინმე იყოს სულელ, უფროდსა მწვალებელ და განვრდომილ ეკლესიისაგან"³².

"სიტყუა ჯუარისათჳს" შემცველი ხელნაწერები და მისი რედაქციები

"სიტყუა ჯუარისათჳს" ეფრემისეული თარგმანი შემოგვინახა შვიდმა ქართულმა ხელნაწერმა: A 162, Q 39, Q 652 და ქუთ. 8, 35, 64, 89³³. პირველი სამი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ მუზეუმში, ხოლო დანარჩენები - ქუთაისის სახელმწიფო-ისტორიულ მუზეუმში. ამათგან ჩვენს დაინტერესებას წარმოადგენს მხოლოდ პირველი ოთხი ხელნაწერი, ხოლო ბოლო სამ ქუთაისურ ნუსხას, როგორც გვიანდელ, XVIII ს-ის მიწურულის პირებს, კრიტიკული ტექსტის დასადგენად არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია და ჩვენს გამოკვლევაში არ შევხებით.

"სიტყუა ჯუარისათჳს" შემცველი ხელნაწერები უზარმაზარი ჰომილეტიკური კრებულებია. მათ შორის A 162 უძველესია³⁴. მას პალეოგრაფიული ნიშნებით XI საუკუნეს მიაკუთვნებენ, ანუ ის, სავარაუდოდ, მთარგმნელის თანადროულია. A 162 დაწერილია ქაღალდზე, ნუსხური ანბანით, ხოლო სათაურები - წითელი მეღვინით, ანუ სინგურით; ყოველი ახალი აბზაცი იწყება მთავრული ასოთი. მასში "სიტყუა ჯუარისათჳს" ჰომილიას უკავია 136v-140r გვერდები.

Q 39-ის მომგებელი, ანუ დამკვეთია, მოქველი მთავარეპისკოპოსი ექვთიმე საყვარელიძე³⁵ (488v), ხოლო გადაწერი - ნავკრატოზს ციმცამე (182r)³⁶. ამდენად, ხელნაწერი თარიღდება 1560-1578 წლებით, რადგან ექვთიმე ამ დროს მწყემსმთავრობდა მოქვის კათედრას. ნაწერია ქაღალდზე, ნუსხურით, ასევე, სათაურები - სინგურით და საზედაო ასოები - მთავრულით. გერმანეს ქადაგება მოთავსებულია 457r-462v-ზე. წიგნი მოპოვებულია მარტვილის მონასტრის წიგნსაცავიდან.

Q 652-ის შედგენის ეპოქა განისაზღვრება XVII ს-ის მეორე ნახევრით³⁷. ხელნაწერი ჭვირ-ნიშნინია: გვირგვინი ვარსკვლავითა და ნახევარი მთვარით. მისი გადაწერნი არიან: დავით (141v), თევდორე (169v), იოანე (180v), ნიკოლოზ (182v), ხოლო დამკვეთი - გულქან ლორთქიფანიძე (243r). დაწერილია ქაღალდზე, ნუსხურით, სინგური სათაურებით და მოხატული, მთავრული, საზედაო ასოებით. პატრიარქის ნაშრომს დათმობილი აქვს 125r-128r. ხელნაწერი ეკუთვნოდა მღვიმის მონასტერს (საწერეთლოში).

Q 39-ის მსგავსად ქუთ. 8 ხელნაწერის შემკვეთიც ექვთიმე საყვარელიძეა (986r), ოღონდ უკვე როგორც აფხაზეთის კათოლიკოსი³⁸. როგორც ცნობილია, ექვთიმე I დასავლეთ საქართველოს საყდარს ფლობდა 1579-1612 წლებში და, ცხადია, ქუთ. 8 ამ დროს არის გადაწერილი. მისი მნუსხველები არიან მონაზონი ონოფრე (7r) და მანოელი (746v). ეს ნუსხაც დაწერილია ქაღალდზე, ნუსხურით, სინგური სათაურებით და მთავრული საზედაო ასოებით. გერმანეს ძეგლი მოთავსებულია 111v-117v-ზე. წიგნი იყო გელათის მონასტრის საკუთრება.

ყველა ზემოჩამოთვლილ მანუსკრიპტში "სიტყუა ჯუარისათჳს" ტექსტი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გადაწერისეულ ლაფსუსებს) თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ერთმანეთს. სხვაობა მხოლოდ ზოგიერთი მათგანის (უფრო სწორედ მათი არქეტიპის, ან არქეტიპების) დეფექტურობაშია. ქადაგების სრული ტექსტი მხოლოდ A 162 და ქუთ. 8 ხელნაწერებშია შემონახა, ხოლო Q 39 და Q 652 ნუსხები ნაკლებია (საინტერესოა, რომ ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩენილი სამი ქუთაისური ხელნაწერი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი (ქუთ. 35) გელათშია გადაწერილი, მისდევს არა ქუთ. 8 ტექსტს, არა-მედ Q 39, Q 652-ის ჩვენებებს). ამიტომ, მათ რედაქციულ სხვაობაზე მხოლოდ პირობითად თუ ვისაუბრებთ³⁹.

Q 39 და Q 652 ნუსხათა ძირითადი ნაკლებობა მდგომარეობს შემდეგში: ქადაგების ტექსტი წყდება 23-ე თავის სიტყვიდან "ყრმისგონებანი" და გრძელდება 28-ე თავის სიტყვით "კაპანთა", ასევე, მოულოდნელად წყდება 34-ე თავის დასაწყისში და დანარჩენი ორი ხელნაწერისგან განსხვავებული ეპილოგით მთავრდება. ეს ორი ხელნაწერი იმდენად ჰგავს ერთმანეთს თავისი დეფექტებით და იკითხვისებით, რომ თუ Q 652 არ არის პირდაპირ Q 39-დან გადაწერილი, ყოველ შემთხვევაში მათ მნუსხველებს წყაროდ საერთო არქეტიპი მაინც უნდა ჰქონოდათ ხელთ.

რაც შეეხება ქუთ. 8 ხელნაწერს, ის თუმცა დიდი ნდობის ღირსია, მას მაინც ვერ მივიჩნევთ A 162-ის პირად, არამედ რომელიღაც ჩვენამდე მოუღწეველი მანუსკრიპტის ცალად.

1 - Van Esbroek M. Un discours inédits de saint Germain de Constantinople sur la Croix et les Icônes// *Orientalia Christiana Periodica*, 65, 1999, p. 19-51. უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე გამოკვლევაზე მუშაობისას (რაც წარმოადგენს თბილისის სასულიერო აკადემიაში დასაცავ სადიპლომო ნაშრომს), ჩვენ ხელთ არ გვქონდა ესბრუკის გამოცემა და ის, ფაქტობრივად, არ გავითვალისწინებია. ამასთან, წარმოდგენილი გამოცემა მაინც გამართლებულად მიგვაჩნია, რადგან, ჯერ ერთი, დასავლეთში გამოქვეყნებულ წიგნზე ქართულ მორწმუნე და სამეცნიერო წრეებს ხელი არ მიუწვდება (ცოტა ხნის წინ ჩვენც მხოლოდ მისი ერთადერთი ეგზემპლარის მოძიება შევძელით); მეორე მხრივ, პატივცემული მეცნიერის გამოქვეყნებულ ტექსტში უამრავი ლაფსუსია გაპარული, რომელთა აღრიცხვასაც აქ არ შევუდგებით. აგრეთვე, ბელგიელი მკვლევარი მხოლოდ ზოგადი შენიშვნებით შემოიფარგლა და ჰომილიის არსობრივ მხარეს არ შეხებია.

2 - Баранов В. А. Неизданный славянский перевод антииконоборческого полемического трактата «Слово о Кресте и святых иконах»; *История и теория культуры в вузовском образовании*. Выпуск 3. Новосибирск, 2006, с. 160-181. ორივე უცხოენოვანი გამოცემის მოწოდებისთვის უღრმეს მადლობას მოვასხენებთ მედიევსტიკის დოქტორს, ბატ. ლევან გიგინეიშვილს.

3 - იხ. მაგ., წმ. იოანე დამასკელი, "პირველი სიტყვისგება ხატმებრძოლთა წინააღმდეგ"; P.G. 94, col. 1257.

4 - დასახ. გამოცემა, გვ. 117, 138. იხ. შენ. XXIV.

5 - ამ განსაზღვრებაში აშკარად იგრძნობა არეოპაგტიკის გავლენა, რომლის ერთ-ერთი კომენტატორიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გახლდათ წმ. გერმანე პატრიარქი.

6 - Баранов В. А. დასახ. გამოცემა, გვ. 180-181.

7 - Van Esbroek M. დასახ. გამოცემა, გვ. 23-24.

8 - ამ დროისთვის კი, სპეციალურად ხატმებრძოლთა გასაკიცხად დაწერილი სხვა არც ერთი ნაშრომი არ არსებობდა, რომ წმ. გერმანეს რომელიმე ცნობილ მოღვაწეზე დაყრდნობა შეძლებოდა. თანაც, იმპერატორის მხრიდან შურისძიების შიშითაც არ ეგებოდა გერმანესგან გაჩუმება, რადგან წმ. იოანე სხვა იმპერიის მოქალაქე იყო და მისი დასჯაც ვერ ხელეწიფებოდა გამძვინვარებულ ბასილევსს. თანაც, როგორც ეს ჭეშმარიტ მორწმუნეს შეჰფერის, ამგვარ საფრთხეს თავად დამასკელი მამაც არ ერიდება, რომლის მხილებაც პირდაპირ ლეონისადმი არის მიმართული (იხ. წმ. იოანე დამასკელი, "მეორე სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1296-1297).

9 - იხ. მაგ., წმ. გრიგოლ ნოსელი, "მოსეს ცხოვრება", წმ. ექვთიმე მთაწმინდლის თარგმანი, ხელნ. А 108, 372v. იხ. რუს. გამოცემა, *О жизни Моисея Законодателя*; Пер. с древнегреческого: А. С. Десницкий; Москва, 1999, с. 62.

10 - იხ. ემაოსი, #2, თბილისი, 2004, 36-76.

11 - იქვე, გვ. 22, 24.

12 - Mansi 13, 377D. Деяния VII Собора, с. 589-591.

13 - იხ. Георгий Флоровский. Восточные отцы церкви, Москва, 2003, ст. 617.

14 - იხ. "პირველი სიტყვისგება", P.G. 94, col. 1240; "მესამე სიტყვისგება", P.G. 94, col. 1329.

15 - "ეპისტოლე თომა კლავდიოპოლელისადმი", P.G. 98, col. 173B. Mansi 13, 116A.

- 16** - იხ. Георгий Флоровский. იქვე, გვ. 616. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ხატმეტყველების თვისობრივად ახალ ეტაპზე აყვანისა, ზუსტად ეგვეს იმეორებს წმ. იოანე დამასკელიც ("პირველი სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1248C. იხ. ქვემოთ).
- 17** - იხ. Православная энциклопедия. Т. IX, Москва, 2005, с. 650.
- 18** - იქვე.
- 19** - ძველად, როგორც წესი, ცოცხალ ქადაგებას "წარმოთქმის დროს ჩასწერდნენ მაშინდელი სტენოგრაფები, გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწმობით, როგორც ოფიციალურად, ისე ფარულად" (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 551).
- 20** - ლოგიკურად სხვაგვარად ვერც ვიფიქრებთ, რადგან რაიმე ახალსწავლების სახალხოდ, ამბიონიდან მხილება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ამ უკანასკნელის გავრცელებულობის, მისი საჯარო განსჯის საგნად ქცევის შემთხვევაში.
- 21** - იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 224 (რეპრინტი, თბილისი, 2004) და II, ტფილისი, 1897, გვ. 39-40; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 254, 257, 259; ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტ. VIII, თბილისი, 1977, გვ. 162-164. აკად. ივ. ჯავახიშვილის პირუთვნელი დასკვნით, "ეგრემ მცირე თავის სამწერლობო მოღვაწეობას საკვირველის წინდახედულობითა და ნამდვილი მეცნიერული სიფრთხილით ეკიდებოდა" (იქვე, გვ. 164).
- 22** - როგორც ეგრემისვე ანდერძ-მინაწერებიდან ირკვევა, წმინდა მამა სირიაში, ანტიოქიის მახლობლად, შავ, ანუ საკვირველ, მთაზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, სადაც ის კასტანას მონასტრის წინამძღვარიც იყო. იხ. მაგ., ქრონიკები, I, გვ. 33, 214-228.
- 23** - იხ. ე. ჭელიძე, "წმ. დიადოქოსის ასკეტურ სწავლებათა ძველი ქართული თარგმანის შესახებ", მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, თბილისი, 2001, გვ. 392-393.
- 24** - იხ. ქრონიკები, I, გვ. 217; კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 252; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.
- 25** - იხ. კ. კეკელიძე, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, I, ტფილისი, 1918, გვ. XX; მისივე, "ეტიუდები", დასახ. გამოცემა, ტ. V, გვ. 23; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 266.
- 26** - თ. ბრეგაძე, ეგრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები, მრავალთავი, I, თბილისი, 1971, გვ. 433.
- 27** - კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 264. ქრონიკები, I, გვ. 227.
- 28** - "დიდი სჯულისკანონი", ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, დ. ნინუამ, თბილისი, 1975, გვ. 559.
- 29** - იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბილისი, 1996, გვ. 542-558.
- 30** - ე. ჭელიძე, "მართლმადიდებლური ხატმეტყველება", თბილისი, 2001, გვ. 38-39 (იხ. შენ. XXXIII). თუმცა, მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ ზოგჯერ ადრინდელი ლექსემა ეგრემის გვიანდელ ტექსტებშიც გვხვდება.
- 31** - "წყაროვ ცოდნისაჲს" სახელგანთქმულ შესავალში წმ. ეგრემი აქებს წინასწარმეტყველთა წიგნების მთარგმნელს, სადაც "სიტყუაჲ სიტყუაჲ ნაცვალის შედარებულთა ბერძულისა" და სიმდაბლით ბრძანებს: "მე დაღაცათუ უმრავლესი ამათ თავთაგანი ჯერეთ ვერ გამიგონებია, არამედ... სიტყუაჲ შედარებულთა ბერძულისა და მართებითი არა აკლს" (წმ. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფაევამ, თბილისი, 1976, გვ. 66). ეგრემი იქვე დასძენს: "ხოლო მე... ბერი ჩუენი

(საბა თუხარელი, ი. გ.) ამას მიბრძანებდის, რადთა წმიდისა სიტყუად მარტივად და შეუზავებელად და შეუხებელად ვსთარგმნო"-ო (იქვე, გვ. 67).

32 - იქვე, გვ. 68.

33 - იხ. თ. ბრეგაძე, დასახ. გამოცემა, გვ. 433-434.

34 - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I, 2, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1976.

35 - ამ დიდი მოღვაწის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1980, გვ. 109.

36 - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1957.

37 - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1958.

38 - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, რედაქტორი კ. კეკელიძე, თბილისი, 1953.

39 - ეგვევ დეფექტურობის არგუმენტით "სიტყუად ჯუარისათვს" ხელნაწერებს ორ ჯგუფად ჰყოფს ბატ. ესბრუკი. იხ. Van Esbreek M. დასახ. გამოცემა, გვ. 30-31.

* * *

"სიტყუად ჯუარისათვს" და ხატმებრძოლთა არგუმენტაცია

"სიტყუად ჯუარისათვს" წარმოადგენს ხატთაყვანისცემის შესახებ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების გადმოცემის უადრეს ეტაპს. თუმცა, მასში მოცემულია ყველა ის წანამძღვარი, წეს-ჩვეულებით-დიდაქტიკური თუ დოგმატური, რაზეც შემდგომში დაემუნა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ პოლემიკა. ცხადია, წმინდა გერმანეს დროისთვის ორივე მხარის არგუმენტაცია ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით, "სიტყუად ჯუარისათვს" განხილვის ფონზე გადმოვცეთ დაპირისპირებულ ბანაკთა ძირითადი მოსაზრებები.

სათაურიდანვე ცხადი ხდება, რომ ხატმებრძოლობა (ბერძნ. εἰκονομαχία, εἰκονοκλαστικά) კატეგორიულად უარყოფდა ხატისა (ბერძნ. ἡ εἰκών; ლათ. იკონ, იკონის) და, მასთან ერთად, ყველანაირი საღვთო გამოსახულების თაყვანისცემას, გარდა ჯვრისა. წმინდა გერმანე ქადაგების დასაწყისშივე განმარტავს მსგავსი მოვლენის აბსურდულობას. მისი თქმით, ჯვარიც ხომ ისეთივე მატერიალური მასალისგან მზადდება და ადამიანური ხელით კეთდება, როგორც ნებისმიერი ხატი. მართლაც, ჯვარი ხომ არსებითად იგივე ხატია!? მაშ, რით სხვაობს პირველი მეორისაგან? "ჯუარისა მსახურებად გვსწავიეს და თაყუანისცემა მის ზედა დამშუქალულისათვს ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა" (თავი მე-2) - უპასუხებდა ხატმებრძოლი. პატრიარქი ციტირებს II შჯ. 21:23 სიტყვებს და ასკვნის: "აწ უკუე ყოველი თუ დამოკიდებული ძელსა წყეულ არს, ცხად არს, ვითარმედ - იგიცა, რომელსა ზედა დამოკიდებულ არს, ესე იგი არს ძელი ჯუარისა"-ც დაწყველილია, "არათუმცა ზეშთა სიწმიდისაგან მას ზედა ამაღლებულისა ღმრთისა შეემოსა მას სიწმიდე" (თ. მე-3).

წმინდა მამა მართებულად მიანიშნებს ამ "ზეშთა სიწმიდეზე", რადგან ნებისმიერი საგანი (მათ შორის ჯვარიც და ხატიც) სიწმიდით ხდება და, ამდენად, თაყვანისცემა მხოლოდ ღმრთეებსათან (საღვთო ბუნებასთან) თანაზიარების მიზეზით და არა თავისთავად. დიდი მოძღვარი, სტუდიელთა მონასტრის ილუმენი, წმინდა თეოდორე აღმსარებელი შეგვაძეცნებს: "ის (ღმრთეება, ი. გ.) ასევე იმყოფება ჯვრის გამოსახულებაშიც და სხვა საღვთო საგნებშიც, მაგრამ არა ბუნებითი ერთობის გამო (რამდენადაც ეს საგნები არ არიან საღვთო სხეულნი), არამედ

ღმრთეებასთან მათი შედარებითი ზიარების გამო, რადგან ისინიც მონაწილეობენ მადლმოსილებასა და პატივში"¹.

მოგვიანებით მასვე თანაეწამება დიდი მღვდელმთავარი, წმინდა სვიმეონ თესალონიკელიც († 1429 წ.):

"გარდამოცემის თანახმად, გამოსახე საღებავებით; ეს არის ჭეშმარიტი ფერწერა, როგორც წერილი (ანუ ბიბლია, ი. გ.) წიგნებში და მასზე საღვთო მადლმოსილება განისვენებს, იმიტომ, რომ გამოსახული წმინდაა"². "ხოლო თქვენ... მის (ქრისტეს, ი. გ.) მიერ განწმედისას მას ჯუარსა თაყუანის-სცემთ, ხოლო ხატსა მას მისისა განწმედელისასა არა შეიწყნარებთ"³ (თ. მე-4).

ამიტომაც, მართლმადიდებელთათვის გაუგებარი იყო, რატომ სცემდნენ თაყვანს ხატმორკინალნი მხოლოდ განწმენდილის (ჯვრის) ხატს, ხოლო განწმენდილისას (მაცხოვრისას) - არა, ჯვარცმას უარყოფდნენ და ჯვრის ნიშნს ეთაყვანებოდნენ? "რადგან რით სხვაობს ჯვარი, რომელსაც არ აქვს უფლის დასახულობა, იმისგან, რომელსაც აქვს?"⁴, - იკითხავს წმინდა იოანე დამასკელი. ამდენად, "უკუეთუ არა ჰმსახურებენ ხატსა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ვერ ჰკელ-ეწიფოს თაყუანისცემად წმიდისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა მისისა" (თ. მე-10), - დაასკვნის უწმინდესი პატრიარქი.

ხატმებრძოლები ხატს კერპთან (ბერძნ. εἰδωλον; ლათ. idolum) აიგივებდნენ და დემაგოგიურად ოპერირებდნენ "დავითნის" სიტყვებით (ფს. 113:12-14, 134:15-17) და, განსაკუთრებით, მეორე მცნების ძველადთქმისეული აკრძალვით (გამ. 20:4-5). "განა ხატიც ისეთივე ნივთიერი მასალით და ადამიანის ხელით არ არის შექმნილი, როგორც წარმართული კერპი?", - ამტკიცებდნენ ისინი; "განა ხატმაც იგივე ადგილი არ დაიჭირა საეკლესიო მსახურებაში, რაც კერპს გააჩნდა პაგანიზმის კულტმსახურებაში?", - ბორგნეულობდნენ ერესიოტნი; "განა ღმერთებად ქცეულმა ხატებმა არ განდევნეს ჭეშმარიტი ღვთის თაყვანისცემა?", - არ ცხრებოდნენ მწვალებლები; "რატომ არაფერია დაწერილი ხატებზე ახალ აღთქმაში, მსოფლიო კრებების კანონებსა და მამათა მემკვიდრეობაში?", - ცბიერად იკითხავდნენ ბოროტმადიდებლები; "როგორ შეიძლება, უხილავი და შემოუსაზღვრელი ღმერთი მატერიალურ დაფაზე შემოვწერთ და დავატიოთ?", - უკვე დოგმატური სიმაღლიდან მკაცრად "გვამხელდნენ" ხატმორკინალნი.

ყველა ამ და სხვა სახის ბრალდებებზე მართლმადიდებლობამ საფუძვლიანი პასუხი გასცა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი (ბრალდებები) ერთბაშად არ აღმოცენებულა და მათ შესახებ ეკლესიის რჯულდებანიც ერთდროულად არ ჩამოყალიბებულა. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, უკვე წმინდა გერმანე პატრიარქი ღვთივმომადლებული სულიერებითა და წიგნიერებით, სულიწმინდისგან ნაწინამძღვრები, მართლმკვეთელობით განჭკრეტს ხატმებრძოლთა ცთომილებებს და დაუფარავად ამხელს მათ უვიცობას იმის "წარმოსაჩინებელად, ვითარმედ უსწავლელობისაგან შეემთხუევის მწვალებელთა"⁵ კრებულსა" (თ. მე-10).

წმინდანის შენიშვნით, "მცირედმორწმუნენი, რომელთა ჭეშმარიტისა სიტყვსა მართლგანმკვეთელობაჲ არა უწყიან, უფრომს არა ჰნებავს" (თ. მე-5), ვერ აცნობიერებდნენ, რომ "წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული აცხოვნებს" (II კორ. 3:6); ანუ ბუკვალურად ესმოდათ ნათქვამი და მის სულიერ დედაზრს ვერ სწვდებოდნენ. მოციქულის ეს სწავლება ამგვარად განიმარტება დიდი კაპადოკიელის მიერ: "უკუეთუ კულა მდაბალთა და უნდოთა საქმეთა მიმართ დამდაბლდეს [გონებაჲ], იძლევის მტერთა მიერ, რაჟამს არღა სულისაებრ, არამედ წიგნისაებრ გულისკმა-ჰყოფდეს შჯულსა"⁶. ეგვევ სწავლებას გადმოგვცემს წმინდა იოანე დამასკელიც: "ჭეშმარიტად ცდებიან უცოდინარნი წერილისა, რომ «წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული აცხოვნებს», ვერგამომეძიებელნი ასოს მიღმა დაფარული სულისა"⁷. წმინდა მაქსიმე აღმსარებელი († 662 წ.) გარკვევით გვასწავლის: "ფანატიკურია რჯული, მიწიერად გაგებული... და კიდევ, საღი გონებისა რჯული, სულიერად გაგებული"⁸. რადგან, "სჯული იგი (ძვ. აღთქმა, ი. გ.) მზარდულ გუექმნა ჩუენ ქრისტეს მიმართ, რადთა სარწმუნოებითა განვმართლდეთ. ხოლო მო-რად-იწია სარწმუნოებაჲ, არღარა მზარდულთა ქუეშე ვართ" (გალ. 3:24-25), - შეგვაგონებს წმინდა პავლე მოციქული.

მართლაც, თუკი ძველი აღთქმის ყველა რჯულდება სავალდებულო იყო ქრისტიანებისთვის, მაშინ მათ უნდა წინადაეცვითათ კიდევ, შაბათიც შეენახათ და ცხოველური მსხვერპლიც შეეწირათ; მაგრამ მაცხოვრის გამომსყიდველობითი ღვაწლით განთავისუფლებულნი (შდრ. გალ. 4:4-5), "აღარ ვართ მონები, არამედ ძეგბი, აღარ ვართ რჯულის ქვეშ, არამედ - მადლის ქვეშ... ამას გვამცნებს ჩვენ უფლის სულიერი რჯული, რომლის დამცველნიც მოსესეულ რჯულს აღემატნენ, რადგან მოვიდა რა სისრულე, გაუქმდა ის, რაც ნაწილედია და რჯულის საფარველი, ანუ ფარდა, მაცხოვრის ჯვარცმით განიპო. ასევე, გაუქმდა ნაწერი, რაჟამს ცეცხლოვანი ენებით გამობრწყინდა სულიწმინდა; დაცხრა სხეულებრიობა, აღსრულდა მონობის რჯული და მოგვეცა ჩვენ რჯული თავისუფლებისა"⁹.

ამიტომაც, ეკლესიის განჩინებით, ძველი აღთქმა არის სახე (ბერძნ. τύπος) და აჩრდილი (ბერძნ. τὸ ἀποσκίασμα)

ახალი აღთქმისა. ვინც ამ კუთხით არ ჭკრეტს წმინდა წერილს, ის იუდეველია, "რამეთუ არდილი აქუნდა სჯულსა მერმეთა მათ კეთილთაჲ, არა თვთ იგი ხატი საქმეთაჲ მათ" (ებრ. 10:1). ჭკმარიტებასთან მიმართებით რჯულის წინასახეობას გააცხადებს წმინდა გრიგოლ ნოსელიც: "რომელი პირველითგან მოეცა არდილად და სახედ ჭკმარიტებისა - შჯული, ჭკმარიტთა ამათ ბრძოლათა შინა აღსრულების. რამეთუ აწცა წინამძღუარ იესუ არს, აღმასრულებელი იგი შჯულისაჲ და შემდგომად მოსესსა მოსრული"¹⁰. ზემოდამოწმებული ფსალმუნის მუხლებს კი გერმანე ამგვარად განმარტავს (რაც, ასევე, მეორე მცნებასაც ეხება): "ესე დავით (მეფსალმუნემ, ი. გ.) საწარმართთა კერპთათვს იგალობა და არა საქრისტეანოთა ხატთათვს" (თ. მე-5).

უბირ მწვალებელთა საყვარელ არგუმენტად ხატის მატერიისაგან ხელითქმნილობა იყო. ზოგადად, ტერმინი "ხელითქმნილი" (ბერძნ. χειροποίητος) მათი ერთგვარი სავიზიტო ბარათი გახლდათ და ამით ცდილობდნენ მართლმორწმუნეთა დათრგუნვას. წმინდა გერმანე, გადმოსცემს რა ეკლესიის აზრს, გვახსენებს, რომ ხელითქმნილი (ბერძნ. χειροποίητος) მხოლოდ საღვთო შესაქმეა, ხოლო სხვა ყველაფერი ადამიანის მიერ არის გაკეთებული. ადამიდან მოყოლებული დღევანდლამდე ნებისმიერი საგანი ნივთიერია: სოლომონის ტაძარი იქნება ეს თუ მოსეს კიდობნის ქერუბიმები. ხოლო განკაცების შემდეგ აშენებული ეკლესიები და მათზე აღმართული ჯვრები, საეკლესიო ჭურჭელი და თვით წმინდა ევქარისტის პურიც და ღვინოც განა "არა კაცობრივითა ჭელითა შექმულ არიანა და იქმნებიან და ქმნად არიან?" (თ. მე-17).

მოდვარი შემთხვევით არ ახსენებს ზიარების საიდუმლოს. ხატმებრძოლთა დაჟინებული მტკიცებით, უფლის მიერ ჩვენდამი ბოძებული ერთადერთი ამქვეყნიური ხატი ქრისტესი სწორედ მისი წმინდა ხორცი და სისხლი იყო. ეს კი აშკარად მკრეხელური დებულებაა, რადგანაც მართლმადიდებლური სწავლებით, ევქარისტული ძღვენი არის არა ხატი, ანუ მსგავსება უფლისა, არამედ ჭკმარიტად მისი სისხლი და ხორცი¹¹. იმიტომ, რომ წინადაგებულ მსხვერპლს "მადლობით მოწოდებითა ყოვლადწმიდისა სულისა ცხოველსმყოფელისაჲთა ჭკმარიტად ჭორც საღმრთო შეცვალებაჲ მიემადლებს და... სისხლ საღმრთო ყოვად უცთომელად ირწმუნების" (იქვე). "ეს პური და ღვინო, - გვაფრთხილებს გერმანეს თანამედროვე და სულიერი თანამებრძოლი, წმინდა იოანე დამასკელი, - არ არის სახე ქრისტეს სხეულისა და სისხლისა (ნუ მოხდება ეს!), არამედ - თვით განღმრთობილი სხეული უფლისა"¹².

ხელითქმნილობის შესახებ საუბრისას, ეგვევ მოძვარი თანაშეერთვის წმინდა გერმანეს და მსგავს ანალოგიებს იშველიებს: "რის გამო სცემდა თავყანს მოსესეული ხალხი წრიულად კარავს, რაც ატარებდა ზეციურთა, უფრო კი მთელი ქმნილების, ხატსა და სახეს?... ამასთან, ის ქერუბიმებიც, სალხინებელს რომ ჩრდილავდნენ, ადამიანის ხელით არ იყო ქმნილი? ან კიდევ სახელგანთქმული ტაძარი იერუსალიმში, განა ისიც ხელითქმნილი და ადამიანთა ოსტატობით აგებული არ იყო?"¹³.

ხელითქმნილობა თავისთავად გულისხმობს მატერიალურობასაც და მისი დაკნინების მცდელობაც ლოგიკურად გამომდინარეობდა ხატის უარყოფელთა ნააზრევიდან. მათთვის ჩვეული იყო ერთგვარი ქედმაღლური და ზიზღნარევი დამოკიდებულება ყოველივე ნივთიერისადმი. თითქოსდა, სხვებზე უპირატესი "სულიერების" დასტურად, ცრუდ იმოწმებდნენ მაცხოვრის სიტყვებს: "სულ არს ღმერთი, და თავყანისმცემელთა მისთა სულითა და ჭკმარიტებითა თანა-აც თავყანისცემად" (იოვანე 4:24). მამები შემთხვევით არ ხედავდნენ ამ ცთომილებაში მანიქეიზმის¹⁴ გადმონაშთს, რომლის ახალსახეობა იყო ხატმებრძოლობის თანადროული პავლიკიანური¹⁵ ერესი. მათი შეხედულებები ერთმანეთს თანხვდებოდა მატერიის ბოროტებად დამსახველობაში, რასაც ეკლესია უშელავათოდ ებრძოდა.

დიდი ბასილის ძმა, წმინდა გრიგოლ ნოსელი, თავის სახელგანთქმულ "ჰექსემერონში" შეგვაძგნებს: "არასოდეს მივეციმი იმგვარ ურჯულოებას, რომ ღვთის ქმნილება ბოროტებად დავსახო. საღვთო სიტყვამ შეჯამებული სახით ცხადად თქვა: "და იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც ქმნა და აჰა, ყოველივე იყო მეტად კარგი" (შეს. 1:31)... რადგანაც ყველაფერი ღვთისგან ქმნილი მეტად კარგია, ამიტომ, ვიტყვი, რომ მშვენიერების სრულყოფილება ყოველ არსებაში უნდა ჩანდეს. ამასთან, როდესაც დართულია სიტყვა "მეტად", ამით უფრო ძლიერდება გამოთქმული აზრი და სრულიად ცხადი ხდება ყველა არსების სრულყოფილებისაგან დაუკლებლობა"¹⁶. "იმას, რასაც ღვთისაგან აქვს წარმოშობა, - გვიმტკიცებს საბაწმინდელი მოძვარი, - არაფერია შეძლების ღირსი. ეს (ანუ ნივთიერებისადმი აგებული დამოკიდებულება, ი. გ.) - მანიქეველთა აზრია"¹⁷.

მართლაც, ყველაფერი ღვთის მიერ ქმნილი და, მათ შორის, ნივთიც (ბერძნ. ή ύλη), უკვე თავისთავად საპატიოა; მისი ღირსება ისიცაა, რომ ქმნილებები კაცობრიობისთვის უხილავი ღმერთის შეცნობის საწინდარი ხდება, "რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთა ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების" (ჰრომ. 1:20); მაგრამ, პირველცოდვით დაცემული ნივთიერება მას შემდეგ გახდა ჭკმარიტად განდიდებული, რაც,

უსაზღვრო კაცთმოყვარების გამო, საღვთო ლოგოსმა, "რომელი-იგი ხატი ღმრთისად იყო... თავი თვისი დაიმდაბლა და ხატი მონისად მიიღო, და მსგავს კაცთა იქმნა, და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი" (ფილ. 2:6-7).

მაგრამ უგუნური ხატმებრძოლი მაინც შეუპოვრად ამტკიცებდა, რომ ხატთაყვანისცემა (ბერძნ. εἰκονολατρία) კერპთაყვანისცემას (ბერძნ. εἰδωλαλατρία) უიგივდებოდა, რადგან მისი აზრით, პატივი მიეგებოდა თავად გამოსახულების ნივთს. "მე თაყვანს ვცემ არა ნივთს, - განმარტავს ოქრონექტარი ეკლესიისა, წმინდა იოანე დამასკელი, - არამედ ნივთის შემოქმედს, რომელიც ჩემ გამო გახდა ნივთი (იგულისხმება მაცხოვრის მიერ ნივთიერი (ბერძნ. ἄλικός) სხეულის მიღება, ი. გ.), სათნოიჩინა რა ჩასახლებულიყო მატერიაში და მისი მეშვეობით აღესრულებინა ჩემი ხსნა; და არ დავცხრები ნივთის პატივისცემისგან, რომლის წიად აღსრულდა ჩემი გამოსხნა"¹⁸. მართლმადიდებლობის მარადიულ სახელმძღვანელოში იგივე მოძღვარი გადმოგვცემს: "ამასთან, თაყვანს ვცემთ პატიოსანი ჯვრის გამოსახულებასაც (თუმცა კი სხვა ნივთისგან კეთდება იგი), რადგან პატივს მივაგებთ არა ნივთს (ნუ მოხდება ეს!), არამედ გამოსახულებას, როგორც ქრისტეს სიმბოლოს"¹⁹. და კიდევ: "ხშირად, როდესაც არ ვფიქრობთ უფლის ვნებულებაზე, ვნახავთ თუ არა ქრისტეს ჯვარცმის ხატს, მაცხოვრებელი ვნებულება გაგვახსენდება, დავეცემით და თაყვანს ვცემთ მას, თუმცა - არა ნივთს, არამედ ხატწერილობას, ისევე როგორც თაყვანს ვცემთ არა სახარების ნივთს, ანდა ჯვრის ნივთს, არამედ - დასახულობას"²⁰.

"ხოლო ქრისტეანეთანი ესე ხატნი, - განსწავლის უგულისხმოებს კონსტანტინეპოლის მწყემსმთავარი გერმანე, - არათუ ღმრთად შერაცხილ არიან კეთილადგონიერთა მიერ, რამეთუ გამოვხატოთ რად ჩუენ ჩუენგან მიღებული იგი ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ფერებითა ნივთთადათა, საღმრთოთა მის და უნივთოთა ბუნებისა მისისა მიმართ მიუძღვთ კუალთა გონებისათა" (თ. მე-6); ანუ მატერიალური გამოსახულება არის საშუალება, რომლის მეშვეობით ადამიანმა უნდა შეიცნოს და თანაშეეაროს უნივთო ზერეალობას. ესე იგი, ხატს (სხვა ფუნქციებთან ერთად) გააჩნია ანაგოგიკური, ანუ ზეადყვანებითი დანიშნულება, რომ მორწმუნემ შეძლოს გრძნობითი წიად სულიერის განჭვრეტა. ამიტომაც, "ვჭვრეტთ რა მის (მაცხოვრის, ი. გ.) ხორციელ სახეს, ჩვენ, დატევნისამებრ, ვმალდებით მისი ღმრთეების შეცნობისა და სიდიადისკენ"²¹.

როგორც ეს ეკლესიის მართლმჭვრეტელმა თვალმა იმთავითვე შეამჩნია, ხატმებრძოლ თეოლოგთა მხრიდან ადგილი ჰქონდა პირველსახისა²² და მისი მსგავსების, არქექტიპისა და მისი ხატების მცნებათა ურთიერთაღრევას და აქედან გამომდინარეობდა მათეული ცრუდებულება ხატის კერპთან იდენტობის შესახებ. არადა, ჯერ კიდევ წმინდა ბასილი დიდი გარკვევით ასწავლიდა მათ შორის განსხვავების რაობას, რასაც, ფაქტობრივად, ხატმეტყველების ყველა აპოლოგეტი (მათ შორის გერმანეც) იმეორებდა და ეყრდნობოდა. აი, მისი ღვთივგაბრძნობილი სიტყვებიც: "პატივი ხატისად პირმშოთა მის სახისა აღიწვეის"²³ (თ. 29), ანუ ნათლად არის უწყებული, რომ "ხატისადმი აღვლენილი პატივი პროტოტიპზე გადადის".

ასეც ესმოდათ ხატისა და პირველხატის საკითხი საეკლესიო მოღვაწეებს. წმინდა ნიკიფორე პატრიარქი ზედმიწევნით წარმოაჩენს მათ სხვაობას: "ხატი არის პირველსახის მსგავსება... ანდა მიმსგავსება არქექტიპისადმი და მისი ანარეკლი; თუმცა, თავისი არსებით არქექტიპისგან განსხვავდება... და თუკი ის არაფრით იქნებოდა პირველხატისგან განსხვავებული, მაშინ ეს იქნებოდა არა ხატი, არამედ თავად არქექტიპი"²⁴. "არა ყოვლითურთ ემსგავსების ხატი პირმშოსა მას სახესა"²⁵, - გვაუწყებს წმინდა იოანე დამასკელი; "რადგან სხვა არის გამოსახულება და სხვა - ის, რაც გამოისახება"²⁶.

მათ შორის არსებისმიერ სხვაობას ამგვარად ასაბუთებს ღირსი თეოდორე სტუდიელი: "როგორც იქ (სამებაში, ი. გ.) ქრისტე ჰიპოსტასურად განსხვავდება მამისაგან, ასევე აქ (ხატზე, ი. გ.), ის არსობრივად განსხვავდება თავისსავე გამოსახულებისაგან"²⁷. თუმცა, მთავარი აქ არა განყოფის, არამედ შეხების წერტილია: "[ხატი] თაყვანისცემა არა იმიტომ, რომ ის განსხვავდება [პირველსახისგან], არამედ [მასთან] მსგავსების გამო"²⁸. საკითხის სხვაგვარი ინტერპრეტირება წმინდა თეოდორესთვის უბრალოდ სიშლეგაა: "არავინაა ისეთი უგუნური, რომ ქემმარტება და მისი აჩრდილი... არქექტიპი და მისი გამოსახულება, მიზეზი და შედეგი არსებისაებრ (ბერძნ. κατ' ουσίαν) იგივეობრივად გაიზაროს"²⁹. "ისინი კი, რომლებიც ამ განსხვავებას (არქექტიპსა და ხატს შორის, ი. გ.) ვერ იტყვენ, სამართლიანად იწოდებიან კერპთაყვანისმცემლებად"³⁰, - დაასკვნის წმინდა ნიკიფორე პატრიარქი.

წმინდა გერმანე, აგრეთვე, გამოკვეთს ხატის განმსწავლელობით-დიდაქტიკურ დანიშნულებას. მისი თქმით, ხილული გამოსახულება არის წინასწარმეტყველთა და მახარებელთა გადმოცემების მოკლედ განმარტებული მოსაგონარი, გასახსენებელი (ბერძნ. τὸ πρόμνεμα; ძვ. ქართ. "მოსაცხენებელი"), "უფროსდა მსოფლელთათვის, რომელნი უსწავლელ იყვნენ წიგნისკითხვისა" (თ. მე-9).

ჯერ კიდევ რომის წმინდა პაპი, გრიგოლ I დიდი დიოლოგოსი წერდა: "ის, რაც არის წერილი (ე. ი. ბიბლია, ი.

გ.) წიგნიერისთვის, ეგევია ხატი უწიგნურისთვის. მისი (ანუ ხატის, ი. გ.) მეშვეობით თვით გაუნათლებელი ხალხისთვისაც ნათელია, რას უნდა შეუდგნენ ისინი; ის არის საკითხავი უწიგნურთათვის. ამდენად, ხატი ენაცვლება კითხვას³¹. ამასვე იმეორებს ღირსი იოანე დამასკელიც: "გამოსახულება არის გასახსენებელი; და რასაც წარმოადგენს წიგნი წერა-კითხვის მცოდნეთათვის (პირ. "რომლებსაც ახსოვთ კითხვა და წერა"), ეგევია უწიგნურთათვის გამოსახულება; და რაც არის სიტყვა სმენისთვის, ეგევია გამოსახულება მხედველობისთვის"³². ესე იგი, ხატის ზნეობრივი ფუნქციაა, დამოდვროს ადამიანები საღვთო განგებულების³³ შეცნობაში და უწინამძღვროს მათ სათნოებათა აღსრულებაში.

ღირსი თეოდორე სტუდიელი უფრო განავრცობს ამ დოქტრინას: "როგორც ყოველ ადამიანს, თუნდაც ყველაზე სრულყოფილს, ესაჭიროება სახარების წიგნი, ასევე მდგომარეობს საქმე ხატთან მიმართებით, რომელიც (ხატი, ი. გ.) მას (სახარებას, ი. გ.) ეთანადება"³⁴. აღმსარებელი მამა სხვაგან თვითვე დაბეჭდავს: "რაც გამოსახულია ქადაგისა და მეღმის საშუალებით, ეგევია გამოსახულია ხატზე მრავალფერი საღვთავისა თუ რომელიმე სხვა ნივთის მეშვეობით"³⁵.

ცხადია, ხატთაყვანისცემის დოგმატი არ ამოიწურება მხოლოდ მისი ზნეობრივ-დამრიგებლური მოტივებით. ეკლესიის მამათა სიღრმისეული არგუმენტაცია ეფუძნება სახარებაში ნაუწყებ აღწერილობათა ისტორიულ რეალობას, ძე ღმერთის მიუწვდომელი განკაცების სინამდვილეს, თუ "ვითარ ჩუენდა-მომართითა მოწყალებითა განჯორციელდა სულისაგან წმიდისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, ერთი თანადაუსაბამოსა ღმრთისა და მამისა თანადაუსაბამოდ ძე და ღმერთი, ორითა ბუნებითა და ერთითა პირითა, შეურევნელად, უქცეველად, უცვალეზელად განყოფილი და განუყოფელი" (თ. მე-8). რადგან "სიტყუა იგი ჯორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭემმარტებითა" (იოვანე 1:14).

თავად მაცხოვარი უდასტურებს მოციქულებს (და მათ წიად ყველა მორწმუნეს) ამ სანატრელ განგებულებას: "თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ, და ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმის. ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინამსწარმეტყუელთა და მართალთა გულო-უთქუმიდა ხილვად, რომელსა თქუენ ხედავთ, და არა იხილეს, და - სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა" (მათე 13:16-17).

ეს სახარებისეული სინამდვილე შთამბეჭდავი ექსპრესიულობით აქვს წარმოჩენილი წმინდა იოანე ღვთისმეტყველს თავის პირველ კათოლიკე ეპისტოლეში: "რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი-იგი ვიხილეთ და ჳელნი ჩუენნი ჳმსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა, - და ცხორებაჲ იგი გამოცხადნა, და ჩუენ ვიხილეთ, და ვწამებთ (=ვამოწმებთ, ი. გ.) და გითხრობთ თქუენ ცხორებასა მას საუკუნესა, რომელი იყო მამისა თანა და გამოგზნდა ჩუენ" (I იოვანე 1:1-2).

სწორედ თვალთ ნანახის და ყურით სმენილის ეს აღწერილობა უდევს საფუძვლად, ხატმებრძოლური ქარიშხლის ამოვარდნამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე გამოცემულ, ტრულის მსოფლიო კრების (691-692 წ.წ.) 82-ე კანონს³⁶, რომლის წმინდა არსენ იყალთოელისეული თარგმანი ამგვარად იკითხება: "რომელთამე პატროსანთა ხატთა მწერალობასა შინა თითითა წინამორბედისაჲთა ჩუენებულად გამოისახვის კრავი, რომელი სახედ მადლისა შემოიღებვის, სჯულისა მიერ წინამსწარმოსწავებულისა ჩუენდა ქრისტეს ჭემმარტისა ღმრთისა ჩუენისა. აწ უკუე, ყოველთავე ძუელთა წესთა და აჩრდილთა, ვითარცა ჭემმარტებისა სახეთა და წინამოსწავებათა, ეკლესიისადა მოცემულთა, შევიწყნარებთ, არამედ უფროდ პატივ-ვსცემთ მადლსა და ჭემმარტებასა (შდრ. იოვანე 1:17), ვითარცა აღვსებად სჯულისა მიმთუალველნი მისნი, და ამისთვის ყოვლითურთ სრულად ფერთამიერსაცა გამოსახვასა შინა წინაშე სახედველებისა ყოველთაჲსა გამოვსახავთ ამხუმელისა ცოდვათა სოფლისათაჲსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა კაცობრივსა მსგავსებასა (ბერძნ. κατὰ ἀνθρώπινον χαρακτήρα) და ხატთა შინა გამოწერასა მისსა ნაცვალად ძუელისა მის კრავისა. განვასაზღვრებთ ამიერითგან და ამის მიერ გულისწმა-ვჳყოფთ გარდამატებულსა სიმდაბლესა სიტყუსა ღმრთისასა და ჳსენებად ჳორცთამიერისა მოქალაქობისა (ბერძნ. πρὸς μὴν ἑνὸς θεοῦ ΠΟΛΙΤΕΙΑΣ) და ვნებისა მისისა და საცხორებელისა სიკუდილისა ჳელჳყოფილ ვიქმნებით და ამით მიერ ქმნილსა გამოჳსნასა სოფლისასა კეთილად შევემეცნებით"³⁷.

ამ რჯულდებაში მკაფიოდ არის მოცემული ხატთაყვანისცემის ქრისტოლოგიური განმართლება: პატივს მივაგებთ და შევიწყნარებთ რა ძველ აღთქმაში წინაუწყებულ სახეებსა და აჩრდილებს, უფრო მეტად თაყვანს ვცემთ მათ აღსრულებას, და მოვიგონებთ რა სიტყვა-ღმერთის ხორციელ ცხოვრებას, ამიტომაც განვაჩინებთ მისი მაცხოვრებელი ღვაწლის ხატებზე გამოსახვას. იგნორირებდნენ რა ამ ყველასათვის სავალდებულო კანონს, ხატმებრძოლები ამხობდნენ საღვთო განგებულებას, რადგან "მათითა (ხატების, ი. გ.) შემუსრვითა მნებებელ ხართ უჩინოყოფად და უფსკრულსა დავიწყებისასა მიცემად განჯორციელებასა ღმრთისა სიტყუსასა" (თ. 21-ე).

ამიტომაც, წმინდა გერმანე სამართლიანად ამჩნევდა ამ ახალგამომცხვარ სწავლებაში დოკტრინის³⁸ შესამიან ბაცილას. როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ გაცხადებულ დევნულებამდე სამეუფო მენავეთომოდვარი წერდა: "ხატებზე ხორციელი სახით საუფლო ხატის გამოსახვა ემსახურება მწვალელებელთა ცრუ წარმოსახვის (ბერძნ. *φαντασία*) განქიქებას, რომლებიც ყბედობენ, რომ, თითქოს, ის სინამდვილეში არ განკაცებულა"³⁹. ამ აპოსტოლურ სწავლებას უკვე II ს-ის დასაწყისში გადმოსცემდა მოციქულთა მოწაფე, ანტიოქიის დიდი მღვდელმთავარი, წმინდა ეგნატე ღმერთმემოსილი (დაახლ. † 107 წ.): "ალიარბდი ქრისტესა - ძესა ღმრთისასა, ჟამიერად და უჟამოდ, ბუნებით (იგულისხმება საღვთო ბუნებით, ი. გ.) უხილავად და ჯორცითა ხილულად, ღმრთეებით განუხილველად (=შეუცნობლად, ი. გ.) და შეუხებელად (=მიუახლებლად, ი. გ.) და უჯორცოდ, ხოლო ჩუენთვს ხილულად და შეხებულად და განხილულად ჯორცითა"⁴⁰. სწორედ ამ ღმერთკაცობრივი დოგმატიდან (რასაც დასრულებული სახე ქალკიდონის კრებაზე მიეცა) გამოჰყავდათ წმინდა მამებს დადასტურება საღვთო გამოსახულების აუცილებლობისა, გასახსენებლად (ბერძნ. *πρὸς ἀνάμνησιν*; ძვ. ქართ. "მოსახსენებლად") ადამიანური თვალით ხილული იესო ქრისტეს ხორცისმიერი ცხოვრებისა.

ამასთან, ძალას კარგავდა ხატმებრძოლთა ძირითადი საღვთისმეტყველო არგუმენტი ღმრთის გამოუსახველობის შესახებ. უნდა გვახსოვდეს, რომ ბერძნული ტერმინი *περιγραφή* ერთდროულად ნიშნავს "გამოსახვა-გამოწერასაც" და "შემოსახლვრა-შემოწერასაც", რაზეც პედალირებდნენ კიდევ იკონოკლასტები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ხატზე უხილავი ღმრთის დატევენას არც არავინ ფიქრობდა, "რადგან როგორ იქნება გამოსახული ის, რაც მიუღწეველია ხედვისთვის?"⁴¹. რადგან "ჩვენ ღვთისგან გვაქვს ბოძებული უნარი განსხვავებისა და ვიცით, რა შეიძლება გამოიხატოს და რა ვერ გამოიხატება გამოსახულების მეშვეობით"⁴².

მართლაც, "ღმერთი არავინ სადა იხილა; მხოლოდშობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა" (იოვანე 1:18). "უსხეულო და უაღნაგობო ღმერთი, - განმარტავს ღირსი იოანე დამასკელი, - არასდროს არასგზით არ იყო გამოსახვადი. ახლა კი, როდესაც «ღმერთი გამოჩნდა ჯორცითა» (I ტიმ. 3:16) და «კაცთა თანა იქცეოდა» (ბარ. 3:38), მე გამოვსახავ ღმერთის ხილულ მხარეს"⁴³.

დამასკელი ღვთისმეტყველი სხვაგან ვრცლად ეხება აღნიშნულ საკითხს: "ვის ძალუმს შექმნას მსგავსება უხილავი, უსხეულო, გარეშეუწერელი და დაუსახველი ღვთისა? მართლაც, უკიდურესი სიშლეგა და უღვთოება ღვთიურობის დამსახველობა. ამიტომაც, ძველი აღთქმის ჟამს არ იყო ჩვეულება ხატთა გამოყენებისა, მაგრამ როდესაც ღმერთი თავისი თანაღმობიერი გულმომწყალების გამო ჭეშმარიტად გახდა ადამიანი ჩვენს გამოსახსნელად... როდესაც იცხოვრა მან მიწაზე, დაჰყო ადამიანებთან, ისაკვირველთმოქმედა, ივნო, ჯვარს ეცვა, აღდგა და ამაღლდა, როდესაც ჭეშმარიტად მოხდა ეს ყოველივე და დასანახი გახდა ადამიანებისათვის, ამასთან აღიწერა კიდევ ჩვენდა შესახსენებლად და სასწავლად, რომლებიც იმჟამად იქ არ ვიყავით, რომ ჩვენ, ვერმხილველთ, სმენის გზით გვერწმუნა და უფლისმიერი ნეტარება მოგვეპოვებინა, ხოლო რადგან ყველა არ იყო მცოდნე ასოთა და არც ჰქონდა კითხვის გულმოდგინება, მამებმა ამგვარად თანაგანჭკრიტეს, რომ ყოველივე ეს, როგორც რამ რჩეულნაღვაწი, ხატებში აღწერილიყო შემოკლებულ მოსახსენებლად"⁴⁴.

გერმანე პატრიარქი თანახმიანება იოანეს და დადასტურებს, რომ სამართლიანად გამოვხატავთ მაცხოვრის შობასაც და ნათლისღებასაც, ფერისცვალებასაც და ჯვარზე ვნებასაც, აღდგომასაც და ამაღლებასაც, რადგან "არათუ ფერით ნაქმნევსა ამას ხატსა შინა შემოვსწერთ ღმერთსა, შემოქმედსა ცათა და ქუეყანისა, ზღუათა და უფსკრულთა, ხილულთა და უხილავთასა; ნუ იყოფინ! წარვედ ამის უწესობისაგან! რამეთუ ელენთა და უღმრთოთა ნათესავთა საქმე არს" (თ. მე-7), არამედ ხატით მართებულა, ვაჩვენოთ "ღვთაების სიდიადე, რაც სხეულის დიდებას ხდება"⁴⁵.

განკაცების დოგმატით ასაბუთებს იკონოლატრიის დოქტრინას წმინდა თეოდორე სტუდიელიც მისი ნააზრევი დაფუძნებულია მაცხოვრის ორ შობაზე - პირველი, რომელიც უჟამოდ აღესრულება ღმრთეების წიაღში მამისაგან და მეორე, რომელიც "ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთადა" (გალ. 4:4) აღსრულდა ყოვლადწმინდა დედისაგან. სტუდიის ილუმენი ამგვარად განსჯის: "რამდენადაც ქრისტე გამოუსახველი მამისაგან წარმოიშვება, მას (არის რა გამოუსახველი) არ შეიძლება ჰქონდეს ხელოვნური გამოსახულება. მართლაც, რაგვარ ხატს შეიძლება მიმსგავსებოდა ღვთაება, რომლის გამოსახვა ღვთივსულიერ წერილში სრულიად აკრძალულია? მაგრამ, რამდენადაც ქრისტე გარეშეწერილი დედისაგან არის შობილი, ბუნებრივია, მას აქვს დედის ხატის მიმსგავსებული გამოსახულება; და თუკი არ ექნებოდა [ხელოვნური გამოსახულება], მაშინ დაბადებულად არ იქნებოდა გარეშეწერილი დედისაგან. ეს ნიშნავს, რომ ის იქნებოდა ერთხელ შობილი - აშკარაა, რომ მამისაგან. მაგრამ ეს წარმოადგენს მისი განგებულების დამხობას"⁴⁶. ამიტომაც, მიზეზ-შედეგობრივი აუცილებლობის გამო, "რომელი არა თაყუანის-სცემდეს გამოსახვისთა ამას ხატსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ვერცა წმიდასა მას და

სადმროსა განკაცებასა მისსა შეუძლოს მან ოდესცა თვნიერ საოცარყოფისა აღსაარებად" (თ. მე-12), - დაბეჭდავს ღმერთმემოსილი გერმანე.

ეკლესიის ამგვარმა ამომწურავმა პასუხმა ხატმებრძოლები აიძულა, იმავე ქრისტოლოგიაში ეძიათ მართლმადიდებელთა გასაბათილებელი პასუხები⁴⁷. მოგვიანებით, 754 წ. "უთავოთა" კრებაზე, ხატმებრძოლებმა "სრულყვეს" თავიანთი სწავლება და შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ⁴⁸. მათი თქმით, ხატწერა ეწინააღმდეგება ქრისტიანობის ძირითად დოგმატს ღმერთკაცობრივი განგებულების შესახებ. თუკი ხატით გვინდა, გამოვსახოთ საღვთო ბუნება, მაშინ ღმრთეება გამოდის შემოწერილი, შემოზღუდული და აღწერადი, ანუ არიანული⁴⁹ ერესი; თუკი ქრისტეს მხოლოდ ადამიანურ ბუნებას გამოვხატავთ, მაშინ ეს ნესტორიანული⁵⁰ ცთომილებაა; ხოლო თუკი გვსურს, ვაჩვენოთ ღმრთეებასთან შერწყმული კაცება, მაშინ ეს აშკარა მონოფიზიტური⁵¹ მწვალებლობაა. ამგვარად, იმავე განკაცების დოგმატით ხატმორკინალნი თავიანთი ბილწი მოძღვრების დადასტურებას ლამობდნენ.

როგორც ეს ერესებს სჩვევია, ამ შემთხვევაშიც იკონოკლაზმის იდეოლოგები სიცრუეს ჭეშმარიტების საბურველში ახვევდნენ და აპოფატური⁵² ღვთისმეტყველების კატეგორიებით ცდილობდნენ ფონის შექმნას იკონოლატრიის არამართებულობის შესახებ. მაგრამ, "ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია" (იოვანე 1:5).

როგორც მათეული სწავლების სხვა დებულებებში, აქაც "ცუდად შურებიან მაშენებელნი" (ფს. 126:1) ღვთისმებრძოლობის შენობისა. საქმე ის გახლავთ, რომ ბუნების გამოსახვა გაუგონარი ნონსენსია და ამაში მართლმადიდებელთა დადანიშნულება უკვე თავისთავად მეტყველებდა მწვალებელთა უგუნურებაზე. მართლაც, არათუ უხილავი და მიუახლებელი ღმერთის, არამედ სულ უმნიშვნელო ნივთის ბუნებაც კი აღუწერელია. არსება დამოუკიდებლად გამოუსახველია, ის ოდენ პიროვნებაში არის ჩენილი. ბუნებითი თვისებები საცნაური და წვდომადი ხდება მხოლოდ ჰიპოსტასური ნამოქმედარის წიად, რადგან, დამასკელი ბრძენის სწავლებით, "არსება თავისთავად არ არსებობს, არამედ იგი ჰიპოსტასებში განიჭვრიტება"⁵³ და "არ არის ბუნება უჰიპოსტასო და არც არსება უპირო, რადგან ჰიპოსტასებში და პირებში იხილვება არსებაც და ბუნებაც"⁵⁴. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხატზე გამოსახება არა ლიტონად და განთვისებულად მყოფი ბუნება, არამედ ამ ბუნების შემთვისებელი პირი.

ამ აღრევის მიზეზისთვის შეუმცთარად მიგნებული აქვს წმინდა იოანე დამასკელს: "მწვალებელთა (არა მხოლოდ ხატმებრძოლთა, ი. გ.) ცთომილებას ის იწვევს, რომ მათი თქმით იგივეა ჰიპოსტასი (გვამოვნება) და ბუნება"⁵⁵. იმავე ნაშრომში წმინდა მამა განაგრძობს აღნიშნულ საკითხს: "მრავალგზის გვითქვამს, რომ სხვა არის არსება და სხვა - ჰიპოსტასი (გვამოვნება), და რომ არსება აღნიშნავს თანასახოვან ჰიპოსტასთა (გვამოვნებათა) საერთო და გარემომცველ სახეობას (როგორცაა ღმერთი, ადამიანი), ხოლო ჰიპოსტასი (გვამოვნება) ცხადყოფს დაუყოფელს, ანუ: მამას, ძეს, სულიწმინდას, პეტრეს, პავლეს"⁵⁶.

საკითხის სიღრმისეული გაგებისათვის საჭიროა, მართებულად გვესმოდეს განკაცების რჯულდების რაობა. მის შესახებ ეკლესიური სწავლება იმავე მამის პირით ამგვარად არის განჩინებული: "თვით ღვთის სიტყვა გახდა ხორცის ჰიპოსტასი, რადგან არათუ თავისთავად წინაჰიპოსტასურ ხორცს (ე. ი. არა წინასწარვე თავისთავად ჰიპოსტასურად, ანუ გვამოვნებითად არსებულ ხორცს, ე. წ.) შეუერთდა ღმერთი-სიტყვა, არამედ დამკვიდრდა რა იგი წმინდა ქალწულის მუცელში, ქალწულის წმინდა სისხლთაგან თავის ჰიპოსტასში გარემომოუწერლად შეაგვამოვნა ხორცი, სულიერქმნილი მოაზროვნეობითი და გონისმიერი სულით. თვით სიტყვა გახდა ხორცის ჰიპოსტასი, ითვისა რა მან ადამიანური ცომის სათავე... შეურევლად, გარდაუქმნელად და განუყოფლად"⁵⁷. კიდევ: "ვამბობთ, რომ ღმერთი-სიტყვის ჰიპოსტასი უჟამოდ და მარადიულად წინაარსებობდა როგორც მარტივი, შეუდგენელი, შეუქმნელი, უსხეულო, უხილავი, შეუხებელი, გარემოუწერელი, ყოველივეს მქონე, რაც კი აქვს მამას, როგორც მისი თანაარსი... მაგრამ უკანასკნელ დღეებში ეს სიტყვა, მამისეულ წიაღთაგან განდგომის გარეშე, გარემოუწერლად, უთესლოდ და მიუწვდომლად დამკვიდრდა წმინდა ქალწულის მუცელში (ისე, როგორც თვით იცის) და თავისსავე წინასაუკუნო ჰიპოსტასში თავის თავს შეუგვამოვნა ხორცი წმინდა ქალწულისაგან"⁵⁸. ამგვარად, "ვალარებთ ღვთის ხორცმესხმული ძის ერთ ჰიპოსტასს (გვამოვნებას) სისრულის მქონე ორ ბუნებაში"⁵⁹, - დაასკვნის დიადი მასწავლებელი.

მართლმადიდებელთა შეგნებაში მაცხოვრის ხატზე გამოსახება ღვთის ძის სწორედ ეს ერთი, შედგენილი, ხორცმესხმული ჰიპოსტასი და არანაირად მისი რომელიმე შემადგენელი ბუნება. ცნობილი რუსი ხატმწერი და ხატმეტყველების აპოლოგეტი, ლ. უსპენსკი, თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში მართებულად დაასკვნის: "გამოვსახავთ რა მაცხოვარს, ჩვენ არ გამოვსახავთ არც მის ღმრთეებას, არც მის კაცებას, არამედ მის ჰიპოსტასს, რომელშიც, ქალკედონის დოგმატის გამოთქმით, მიუწვდომლად არის შეერთებული ეს ორი ბუნება - «შეურწყმელად და განუყოფლად»"⁶⁰.

ამ საკითხის გამოკვლევასას პროფ. ედიშერ ჭელიძე წერს: "ხატზე გამოსახულია მაცხოვრის მხოლოდ ხორცშესხმული ჰიპოსტასი და არა საკუთრივ მისი კაცობრივი ბუნება... მართლმადიდებლური სწავლება განაჩინებს, რომ ხატი გამოსახავს არა ბუნებას და, მასთან ერთად, პიროვნებას, არამედ მხოლოდ პიროვნებას, რომელშიც განიჭვრიტება ბუნება. წმინდა თეოდორე სტუდიელი ხატმებრძოლთა წინააღმდეგ საგანგებოდ აღნიშნავს: «ყოველი გამოსახულის არა ბუნება, არამედ ჰიპოსტასი გამოსახება»"⁶¹.

აქედან გამომდინარე, ხატზე ჩენილია არა ლიტონი ხორციელება, არამედ ჰიპოსტასური ხორცი. პატივცემული პროფესორი განაგრძობს: "ხატზე გამოსახება არა კაცობრივი ხორცის ბუნება, არამედ ხილვადი, გვამოვანი ხორცი, ხორცი, რომლის გვამი, პირი, ანუ ჰიპოსტასია თვით ღმერთი-სიტყვა. ამიტომ ითქმის, რომ ხატი გამოსახავს უფლის წმინდა ხორცს, რადგან ეს ხორცი აბსტრაქტული, უხილავი და უგვამო კი არ არის, არამედ ხილვადი, შეხებადი, გვამოვანი, თუმცა მას თავისი ცალკე გვამი, ანუ ჰიპოსტასი კი არ აქვს, არამედ, როგორც ითქვა, მისი ჰიპოსტასი იგივე ძე ღმერთია. წმინდა ანასტასი სინელი (VII ს.) აღნიშნავს (მოგვაქვს წმინდა არსენ იყალთოელის თარგმანი): «არა შესაძლებელ არს თქუმად გუამისად, ვინაძთგან განუწვალებელ (განუყოფელი, ი. გ.) არიან ღმრთისა და სიტყვსაგან ჯორცნი (რამეთუ გუამად განწვალებული პირი სახელ-იდების); გუამოვნად უკუე ვიტყვთ მათ (ჯორცთა, ე. ჭ.) და არა გუამად»"⁶².

ამგვარად დოგმატმესრულოებს საბაწმინდელი ხუცესიც: "ერთია ქრისტე, სრული ღმერთი და სრული ადამიანი, რომელსაც თაყვანს ვცემთ მამასთან და სულთან ერთად ერთი თაყვანისცემით, მისი უხრწნელი სხეულითურთ, არ ვამბობთ რა, რომ თაყვანსაცემი არ არის მისი ხორცი, რადგან თაყვანისცემება იგი სიტყვის ერთ ჰიპოსტასში, რაც მისივე ჰიპოსტასი გახდა. არ ვმსახურებთ ქმნილებას, რადგან არა როგორც ლიტონ ხორცს, თაყვანს ვცემთ მას, არამედ - როგორც ღმრთეებასთან შეერთებულს და როგორც ღმერთისიტყვის ერთ პირამდე და ერთ ჰიპოსტასამდე ასულ მის ორ ბუნებას"⁶³. ოდნავ ქვემოთ სახეობრივი მაგალითით თვითვე შეამყარებს ზემოთქმულს: "თუ დაწვრილმანებული ჩაძიებით განვყოფთ ხილულს გონებისეულისაგან, უფლის ხორცი თავისი ბუნებით არათაყვანსაცემი იქნება როგორც ქმნილი, მაგრამ არის რა იგი ღმერთ-სიტყვასთან შეერთებული, მის გამო და მასში თაყვანისცემა, რადგან ისევე, როგორც თაყვანისცემა მეფე, შიშველიცა და შემოსილიც, პორფირი კი, როგორც ლიტონი პორფირი, ფეხქვეშაც ითელება და მიმოსვრიან კიდევ, მაგრამ როდესაც სამეფო შესამოსელი ხდება იგი, პატივი მიეგება და იდიდება, ხოლო თუ ვინმე შეურაცხყოფს მას, უმრავლეს შემთხვევაში სიკვდილით ისჯება... ამგვარადვე, ხორციც თავისი ბუნების მიხედვით თაყვანსაცემი არ არის, მაგრამ თაყვანისცემა ხორცშესხმულ ღმერთ-სიტყვაში, თუმცა არა თავისთავად, არამედ მასთან ჰიპოსტასურად შეერთებული ღმერთი-სიტყვის გამო, და არ ვამბობთ, რომ თაყვანს ვცემთ ლიტონ ხორცს, არამედ ღვთის ხორცს, ანუ ხორცშესხმულ ღმერთს"⁶⁴.

ამიტომაც დამოდვრავს ხატმებრძოლ ეპისკოპოსს კონსტანტინეპოლის ღვთივგანსწავლული მწყემსმთავარი: "ხატებზე ჩვენ წარმოვადგენთ უფლის წმინდა ხორცის გამოსახულებას"⁶⁵. მაგრამ, როგორი თვისებისაა გამოსახული ხორცი? რა თქმა უნდა - გარდაქმნილი, განდიდებული, უვნებო, უხრწნელი და გასხივოსნებული, ანუ ისეთი, როგორც მკვდრეთით აღმდგარ უფალს ემოსა. თეოდორე აღმსარებლის იკონოლოგიური ანთროპოლოგია ამგვარია: "მისი (ქრისტეს, ი. გ.) გამოსახულება ხრწნადი ადამიანის მსგავსებაში კი არ არის... არამედ... სწორედაც უხრწნელი ადამიანის მსგავსებაშია... იმიტომ, რომ ქრისტე არის არა უბრალო ადამიანი, არამედ განკაცებული ღმერთი"⁶⁶.

სწორედ ამიტომ იყო ხატთაყვანისცემის საკითხი დოგმატური ღვთისმეტყველების განუყოფელი ნაწილი, რადგან ის ღვთივმშვენივრად აგვირგვინებდა წინა საუკუნეებში დაწყებულ ქრისტოლოგიურ კამათებს. ხატზე ასახული განკაცების ამ საღვთო განგებულებიდან გამომდინარე, მართლმადიდებლებისთვის ხატმებრძოლი (ბერძნ. εἰκονομάχος) და ქრისტესმბრძოლი (ბერძნ. Χριστομάχος) თანაფარდი ცნებები იყო. კონსტანტინეპოლის დიდი იერარქი, წმინდა ფოტი პატრიარქი, დაუფარავად ამხელს ერეტიკოსებს: "თქვენ წარმოშობთ თქვენს გონებაში შეურიგებელ ბრძოლას ქრისტეს წინააღმდეგ და ამას წარმოაჩენთ არა პირდაპირ, არამედ ხატის საფარველქვეშ"⁶⁷. მისივე შენიშვნით, ხატმებრძოლები იყვნენ "იუდეველებზე უარესი ქრისტესმბრძოლნი"⁶⁸.

წმინდა გერმანეს რწმენით, ღვთის განგებულების წინააღმდეგ ესოდენი აღბორება ბოროტების მომგონი ეშმაკისაგან იყო ჩაგონებული⁶⁹. ხოლო ღვთისმებრძოლთა და მათი მამის - სატანის - მიზანი იყო, "რათა განჭრითა ხატათათა რეცა საგონებლობით და უცნებაყოფით ქადაგებად განჯორციელებასა სიტყვსასა დარწმუნებად" (თ. 24-ე).

ცხადია, თუკი ხატმებრძოლთათვის უარყოფილი იყო ხატზე მაცხოვრის გამოსახვის მართებულობა, მაშინ თავისთავად უკუუდებული იყო წმინდანთა გამოსახვა. ამიტომაც, "ჯერ-იყო ჩუენდა, რათა პირველად წყაროდ

ხოლო უჩუენოთ წყურიელთა და ეგრეთღა ნაკადულები მისი, რომელ არიან ყოვლადსასურველნი ხატნი წმინდანთა " (თ. 30-ე). მწვალებელი იკონომახების უკიდურესი ფრთა თვით ყოვლადწმინდა მარიამისა და წმინდანთა მეოხებასა და შემწეობას, მათ თავყვანისცემასა და მათი წმინდა ნაწილების პატივისცებასაც კი უარყოფდა. ამიტომაც (ისევე, როგორც მაცხოვრის შემთხვევაში), ხატმებრძოლობა საფრთხეს უქმნიდა არა უბრალოდ წმინდანთა გამოსახვის, არამედ მათი თავყვანისცემის დოგმატს. მართებულად მიმართავს ჰიპოთეზურ ერეტიკოსს (უფრო კი ლეონ იმპერატორს) წმინდა იოანე დამასკელი: "შენ კრძალავ არა გამოსახულებას, არამედ წმინდანთა თავყვანისცემას... შენ წამოიწყე ომი არა ხატთა, არამედ წმინდანთა წინააღმდეგ, რადგან იოანე ღვთისმეტყველი და მეხვაშიადე ბრძანებს: «მსგავს მისა ვიყვნეთ»"⁷⁰ (I იოვანე 3:2).

წმინდანების პატივისცემის საღვთისმეტყველო სწავლება გადმოცემულია ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე მარტვილურ ძეგლში - "წმინდა პოლიკარპეს წამება" (II ს.). უცნობი ავტორი ბრძანებს: "თავყვანს ვცემთ მას (უფალს, გ. ზ.), რადგანაც ის არის ძე ღვთისა; ხოლო მარტვილნი გვიყვარს, ვითარცა მოწაფენი და მზამველნი უფლისა, რომლებმაც შეუდარებლად უერთგულეს მეუფესა და მოძღვარს"⁷¹. სწორედ ეს მიმზამველობა, მიმსგავსებულობა, ერთგული მოწაფეობა არის უმთავრესი კრიტერიუმი ყოველთამეუფის სარწმუნო მონათა განდიდებისა.

"პატივი უნდა მივაგოთ წმინდანებს როგორც ქრისტეს მეგობრებს, როგორც ღვთის შვილებსა და მემკვიდრეებს... ამასთან, არათუ იმას ვამბობთ, რომ ბუნებით არიან ისინი ღმერთები, მეუფეები და უფალნი, არამედ იმას, რომ ვნებათა მეუფენი და უფალნი არიან და - გაუკუღმართების გარეშე დამცველნი საღვთო ხატის მსგავსებისა, რის მიხედვითაც შეიქმნენ (რადგან მეუფედ ითქმის მეუფის ხატიც), აგრეთვე, - შეერთებულნი ღმერთთან არჩევანის მიხედვით, და შთანამკვიდრად მიმღებნი ღვთისა, რომელთან წილმქონეობითაც მადლით ხდებიან ის, რაც თვით იგი ბუნებით არის. ამიტომ, როგორ არ უნდა მივაგოთ პატივი მათ, რომლებიც ღვთის მსახურებად, მეგობრებად და ძეებად წარმოჩნდნენ? მართლაც, კეთილგონიერ თანამონათა მიმართ (ე. ი. წმინდანთა მიმართ, ე. ჭ.) პატივისცემა დასტურია საერთო მეუფისადმი კეთილგანწყობისა"⁷².

"სიტყუაჲ ჯუარისათჳს" ქადაგების ბოლოში ყოვლადუსამღვდელოესი გერმანეც, საუბრობს რა წმინდანთა ხატების თავყვანისცემაზე, ასე მოძღვრავს "წარწყმედულ ძეებს": "ნუ ვითარცა ღმერთთა შვეიტკობით წარმართებითა პირუტყუებითა, რომელი-ესე წვალება არს და სულთა წარწყმედა, არამედ, ვითარცა ერთისა ღმერთისა მეგობრად განკუთნვილთა, ქრისტეანებრითა ამბორს-უყოფდეთ სიტყუერებითა, რამეთუ სარწმუნო არს სიტყუაჲ და ყოვლისა შეწყნარებისა ღირს, ვითარმედ არა ხოლო უცთომელობა არს ესე, არამედ მომატყუებელცა გვრგვნთა" (თ. 34-ე).

ამასთან, თუკი წმინდა გერმანეს მიერ თანაბრად მოიხმობა, ზოგადად, სინონიმური ტერმინები "მსახურება" (ბერძნ. λατρεία) და "თავყვანისცემა" (ბერძნ. προσκύνησις), უკვე წმინდა იოანე დამასკელიდან მოყოლებული ეკლესიის მამები მიჯნავენ მათ ერთმანეთისაგან. მათი უწყებით, პირდაპირი მნიშვნელობით, მსახურება შეჰფერის მხოლოდ ერთ ყოვლადწმინდა სამება ღმერთს, ხოლო თავყვანისცემა მიეგება მის კვალს შემდგარ წმინდანებს და ყველა სხვა წმინდა საგანს. ამ მცნებათა ტერმინოლოგიური გამიჯვნა გაფორმდა VII მსოფლიო კრების "ოროსში"⁷³, ანუ სარწმუნოებრივ განსაზღვრებაში.

საბაწმინდელი მნათობი ამგვარად ასაბუთებს წმინდანთა ხატთა თავყვანისცემის დოგმატს: "წმინდანები ამ ცხოვრებაშიც აღვისილნი იყვნენ სულიწმინდით; ასევე, მათი მიცვალების შემდეგაც სულიწმინდის მადლმოსილება დაუმრეტელად დავანებულია მათ სულებშიც, სხეულებშიც (რომლებიც კუბოებშია ჩასვენებული), თვისებებშიც და მათ წმინდა გამოსახულებებშიც"⁷⁴. "ამიტომ, მორწმუნენო, - საღვთო შურით აღგვაშურვებს ღირსი იოანე დამასკელი, - მოვიმადლიეროთ წმინდანები «სულიერი ფსალმუნებით, ჰიმნებითა და საგალობლებით» (ეფეს. 5:19), ასევე, ღმობიერებითა და გაჭირვებულთა შეწყალებით, რითაც ყველაზე მეტად მოიმადლიერება, აგრეთვე, ღმერთი. სტელები (იგულისხმება საფლავის სვეტები, ე. ჭ.) აღვუმართოთ მათ და ხილული ხატები, თვით ჩვენ კი მათი განსულიერებული სტელები და ხატები გავხდეთ მათეულ სათნოებათა ზაძვით"⁷⁵.

ამგვარია მოკლედ მართლმადიდებლური რჯულდება ხატთა თავყვანისცემის დოგმატის შესახებ, რომელიც ჰგიეს უკუნისამდე. მისი სრულყოფილი ჭვრეტისთვის, კიდევ ერთხელ შევემოყვსოთ და შევესაკუთროთ ეკლესიის ოქრომესტვირის მარადუცვლელ და მაცხოვნებელ აპოლოგიას:

"როდესაც დაინახავ უსხეულოს, შენთვის განკაცებულს, მაშინ გამოხატე მისი ადამიანური სახე; როდესაც უხილავი - სხეულით შეიმოსება და ხდება ხილული, მაშინ გამოსახე მსგავსება გამოჩინებულისა; როდესაც ის, თავისი ბუნების უპირატესობის შესაბამისად, იყო რა მოკლებული ოდენობას, თვისობრიობასა და სიდიდეს, "ვინც იყო რა ხატი ღვთისა და ხატი მონისა მიიღო" (ფილ. 2:6-7) და ამის წიად გახდა შემოსაზღვრული

რაოდენობრივად და თვისობრივად და შეიმოსა სხეულებრივი ფორმით, მაშინ გამოსახე დაფეხზე და განსაჭვრეტად გამოვინე გამოჩინების მოსურნე. გამოხატე მისი გამოუთქმელი გარდამოსვლა, ქალწულისაგან შობა, იორდანეში ნათლისღება, თაბორზე ფერისცვალება, ვნებულებანი - ჩვენი უვნებობის საწინდარნი, სასწაულნი - მისი ღვთაებრივი ბუნების ნიშნები, რომლებიც აღსრულდებიან მისი ხორცის მეშვეობით, მხსნელი დაფვლა მაცხოვრისა, აღდგომა, ცაში ამაღლება; ყველაფერი გამოსახე: სიტყვითაც, საღებავებითაც, წიგნებშიც და დაფეხზეც"⁷⁶.

1 - "პირველი სიტყვისგება ხატმებრძოლთა წინააღმდეგ"; P.G. 99, col. 340.

2 - "დიალოგი ერესების წინააღმდეგ"; P.G. 155, col. 113.

3 - მსგავსი ნონსენსი ჩვენს ყოფამიც არაიშვიათია. მავანი ამბობს, რომ თითქოს ის მორწმუნეა: ატარებს ჯვარს, ეკლესიაში ანთებული სანთლით ხელში ლოცულობს ხატის წინაშე, მაგრამ მღვდლის არ სწამს. მართლაც, რა უაზრობაა, სასულიერო პირის მიერ ნაკურთხ ჯვარს ატარებდე, მისივე ნაკურთხ ტაძარში მისსავე ნაკურთხ ხატთან სანთელს ანთებდე და თავად ნაკურთხევისა არ გწამდეს!?

4 - "მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა"; ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, "მართლმადიდებელ მამათა შრომები", I, თბილისი, 2000, თავი ოთხმოცდამეცხრე, გვ. 444.

5 - მიუხედავად იმისა, რომ გერმანე ხატმებრძოლებს განწვალეულებსაც, ანუ სქიზმატიკოსებსაც, და მცირედმორწმუნეებსაც უწოდებს, წმინდა მამა ამ ახალ ცრუსწავლებას მაინც დაბეჯითებით ერესად რაცხს, რაც, თავისთავად ცხადია, პირველ ორ მნიშვნელობასაც მოიცავს. ანუ მისი განჩინებით, ხატმებრძოლობა იყო არა რიგითი წეს-ჩვეულებითი განსხვავება ერთი ეკლესიის წიაღის შიგნით (როგორც ეს თავიდან ზოგიერთებს წარმოედგინათ), არამედ მკვეთრი დოგმატური ცთომილება, ანუ მწვალელობა (ძვ. ქართ. "წვალება"; ბერძნ. αἵρεσις).

6 - წმ. გრიგოლ ნოსელი, "მოსეს ცხოვრება"; წმ. ექვთიმე მთაწმინდლის თარგმანი, ხელნ. A 108, 372r.

7 - "პირველი სიტყვისგება ხატმებრძოლთა წინააღმდეგ"; P.G. 94, col. 1326D. "მესამე სიტყვისგება ხატმებრძოლთა წინააღმდეგ"; P.G. 94, col. 1325C.

8 - P.G. 90, col. 772. შდრ. ძვ. ქართ. "სულელ არს შჯული, მიწიერად მოღებული... და კუალად, მრთელცნობა არს შჯული, სულიერად გულისხუმაქმნილი"; ხელნ. გელ. 14, 298-299; "გზა სამეფო", ე. ჭელიძე, 1994, #1, გვ. 3.

9 - წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური სარწმუნოების...", დასახ. ნაშრომი; თ. ოთხმოცდამეთექვსმეტე, გვ. 456-457.

10 - "მოსეს ცხოვრება", იქვე.

11 - იკონომახების მიერ ზიარების საიდუმლოს ამგვარი გააზრება წინასახეა პროტესტანტულისწავლებისა, რომლის მტკიცებით, წმინდა ევქარისტია არის უბრალოდ "გახსენება" (შდრ. ლუკა 22:19; I კორ. 11:24-25) მაცხოვრისეული ღვაწლისა.

12 - "მართლმადიდებლური სარწმუნოების...", დასახ. ნაშრომი; თ. ოთხმოცდამეთექვსმეტე, გვ. 435.

13 - იქვე, თ. ოთხმოცდამეცხრე, გვ. 443.

14 - ვინმე სპარსელი მანის (III ს.) მიერ დაარსებული რელიგია, რომელიც მკვეთრად დუალისტურია (ორსაწყისიანია) და აღიარებს ბოროტების სუბსტანციურობას (არსებისეულობას). მისი სწავლებით, ხილული სამყარო დაბადა ბოროტმა დემიურგმა და, ცხადია, ნივთიერებაც ბოროტების პროდუქტია.

15 - მცირე აზიაში ჩამოყალიბებული მწვალელობა, რომელიც იზიარებდა მანიქველთა ძირითად დებულებებს.

განსაკუთრებით გავრცელებული იყო ისავრიელ იმპერატორთა სამშობლოში, მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში (სხვათა შორის, სომხეთშიც). მოგვიანებით ეგვიპტეში ცრუმოდღვრება სახეცვლილი ბულგარელთა "ბოგომილოზა", ხოლო უფრო დასავლეთით - "კათარები" და "ალბიგოელები".

16 - P.G. 44, col. 84A, 92C. ედიშერ ჭელიძე, "წმინდა გრიგოლ ნოსელი და მისი თხზულება "პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს", საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1989, კომენტარი #51, გვ. 290. შდრ. წმ. იოანე დამასკელი, "მეორე სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1297B-C.

17 - წმ. იოანე დამასკელი, "პირველი სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1245C.

18 - "პირველი სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1245A.

19 - წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური სარწმუნოების...", დასახ. ნაშრომი; თ. ოთხმოცდამეოთხე, გვ. 431.

20 - იქვე, თ. ოთხმოცდამეცხრე, გვ. 444.

21 - წმ. იოანე დამასკელი, "მესამე სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1336.

22 - ამ და სხვა მსგავსი ქართული ტერმინების და მათი ბერძნული შესატყვისების, აგრეთვე, მათი საღვთისმეტყველო მნიშვნელობების შესახებ იხ. შენიშვნა XXXIII.

23 - "სულიწმინდის შესახებ", 18.45; P.G. 32, col. 149C.

24 - "პირველი სიტყვისგება"; P.G. 100, col. 228.

25 - "პირველი სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1240; წმ. ევრემ მცირის თარგმანი, ხელნ. K 8; ედიშერ ჭელიძე, "მართლმადიდებლური ხატმეტყველება", თბილისი, 2001, გვ. 38.

26 - წმ. იოანე დამასკელი, "მესამე სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1337.

27 - "მესამე სიტყვისგება"; P.G. 99, col. 424.

28 - იქვე, col. 421.

29 - "პირველი სიტყვისგება"; P.G. 99, col. 341B.

30 - "პირველი სიტყვისგება"; P.G. 100, col. 228B.

31 - ეპისტოლე XIII; P.L. 77, col. 1129-1130.

32 - "პირველი სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1248C.

33 - ყოველივეს ღვთისმიერი შემტკიცებისა და წინაგანგების ცნების გადმომცემი ბერძნული კომპოზიტი οἰκονομία (οἶκος - "სახლი"; νόμος - "კანონი"; შდრ. რუს. "домостроительство") ძვ. ქართულად ითარგმნებოდა ტერმინით "განგებულება".

34 - "ნიკიტა მონაზონისადმი"; P.G. 99, col. 1537D.

35 - "პირველი სიტყვისგება"; P.G. 99, col. 340.

36 - ამ კანონს სიტყვასიტყვით იმოწმებს წმ. გერმანე "კრებებისა და ერესების შესახებ" ნაშრომის ქრისტოლოგიურ ნაწილში. იხ. P.G. 98, col. 80A.

37 - ე. ჭელიძე, "სპეკალი მართლმადიდებლობისა", თბილისი, 2007, გვ.588. იხ. ასევე, "დიდი სჯულისკანონი", დასახ. გამოცემა, გვ. 399.

- 38** - ბერძნ. ზმნიდან $\delta\omicron\kappa\acute{\epsilon}\alpha$ - "მეჩვენება"; II-III ს-ში რიგ გნოსტიკურ სექტათა ცრუმოდღვრება ქრისტეს განკაცების მოჩვენებითობის, მისი სხეულისა და ვნებულებების არარეალურობის შესახებ.
- 39** - წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, "ეპისტოლე თომა კლავდიოპოლელისადმი"; P.G. 98, col. 173B.
- 40** - "ეპისტოლე პოლიკარპე სმირნელისადმი", წმ. გიორგი მთაწმინდლის თარგმანი, ტექსტები გამოსცა ა. ბოროდამ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1988, გვ. 591.
- 41** - წმ. იოანე დამასკელი, "მესამე სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1321.
- 42** - იქვე, col. 1328.
- 43** - "პირველი სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1245A.
- 44** - "მართლმადიდებლური სარწმუნოების...", დასახ. ნაშრომი; თ. ოთხმოცდამეცხრე, გვ. 443-444.
- 45** - წმ. იოანე დამასკელი, "სიტყვა ფერისცვალებაზე"; P.G. 96, col. 564.
- 46** - "მესამე სიტყვისგება"; P.G. 99, col. 417.
- 47** - სხვათა შორის, "სიტყუად ჯუარისათვის" ნათელი ილუსტრაციაა იმ აზრისა, რომ სწორედ მართლმადიდებელთა მხრიდან მოყვანილმა განკაცების არგუმენტმა აიძულა ხატმებრძოლები, ქრისტოლოგიური სახის მოტივებისთვის მიემართათ და არა პირიქით, როგორც ეს გამოითქვა დასავლეთის სამეცნიერო წრეებში.
- 48** - თავად ამ კრების დადგენილებები ჩვენამდე არ შემონახულა, მაგრამ მისი ექსცერპტები შემორჩენილია 787 წლის VII მსოფლიო კრების აქტებში.
- 49** - ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ.) ანათემირებული ალექსანდრიელი მღვდლის, ერესიარქ არიოზის († 336 წ.) ცრუსწავლება ძე ღმერთის ქმნილობის, მის მამასთან არათანადაუსაბამობისა და არათანაარსობის შესახებ.
- 50** - ეფესოს III მსოფლიო კრებაზე (431 წ.) განკვეთილი კონსტანტინეპოლელი მღვდელმთავრის, ერესიარქ ნესტორის († 451/452 წ.წ.) მწვალებლობა, რომელიც აღიარებდა ქრისტეში ორი პიროვნების - ძე ღმერთის და ძე კაცის თანამყოფობას.
- 51** - ქალკედონის IV მსოფლიო კრებაზე (451 წ.) შეჩვენებული ცრუმოდღვრება, რომლის თანახმად, ქრისტეში არსებობს მხოლოდ ერთი - ღვთაებრივი ბუნება, რადგან განკაცების შემდეგ მაცხოვრის ღმრთეებას მთლიანად შეერწყა მისივე კაცება.
- 52** - მართლმადიდებლური თეოლოგიის შემადგენელი ნაწილი - უარყოფითი, ნეგატიური (ბერძნ. ἀποφατικῶς, ἀφαιρητῶς; ძვ. ქართ. "უკუთქუმიითი", "მოკლებითი") ატრიბუტებით ღვთისმეტყველება. აპოფატიკა წარმოაჩენს არა იმას, თუ რა არის ღმერთი (მაგ.: ყოვლადძლიერი, ყოვლადცხოველი, ყოვლადკეთილი და ა. შ.), არამედ - რა არ არის იგი (მაგ.: დაუსაბამო (რომ არ არის დასაბამიერი), უსასრულო (რომ არ არის სასრული), უწვდომელი (რომ არ არის წვდომადი) და ა. შ.). აპოფატურ ღვთისმეტყველებაში აქცენტირებულია დებულება ღვთის შეუცნობლობის, მიუწვდომლობის, გამოუსახველობისა და გამოუთქმელობის შესახებ. ხატმებრძოლთა "ღვთის გამოუსახველობის" ყალბი მაქსიმალიზმი ის იყო, რომ, პირდაპირი მნიშვნელობით, ღმერთი არის არა მარტო გამოუსახველი (ბერძნ. ἀσχηματιστος), არამედ გამოუთქმელიც (ბერძნ. ἀρρητος, ἄφραστος). ამდენად, თუკი უკუგდებულნი იყნ ხატწერა, უარყოფილი უნდა ყოფილიყო სიტყვით წერაც; და თუკი გასანადგურებელი იყო წმინდა ხატი, მაშინ შესამუსრი ყოფილა წმინდა წერილიც.
- 53** - წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური სარწმუნოების...", დასახ. ნაშრომი; თ. ორმოცდამეათე, გვ. 387.
- 54** - იქვე, თ. ორმოცდამეცამეტე, გვ. 391.

- 55** - იქვე, თ. ორმოცდამეშვიდე, გვ. 383.
- 56** - იქვე, თ. ორმოცდამერვე, გვ. 385.
- 57** - იქვე, თ. ორმოცდამეექვსე, გვ. 381-382.
- 58** - იქვე, თ. ორმოცდამეთერთმეტე, გვ. 389.
- 59** - იქვე, თ. ორმოცდამეშვიდე, გვ. 383.
- 60** - Успенский Л. А. "Богословие иконы Православной Церкви", Париж, 1989, ст. 94.
- 61** - "მესამე სიტყვისგება"; P.G. 99, col. 405A. ე. ჭელიძე, "გზა სამეუფო", #1 (4), თბილისი, 1996, გვ. 105-106.
- 62** - "წინამძღვარი", ხელნ. S 1463, 4v 1; P.G. 89, 61A. ე. ჭელიძე, იქვე, გვ. 107.
- 63** - წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური სარწმუნოების...", დასახ. ნაშრომი; თ. ორმოცდამეთორმეტე, გვ. 391.
- 64** - იქვე, თ. სამოცდამეთექვსმეტე, გვ. 422.
- 65** - წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, "ეპისტოლე იოანე სინადელისადმი"; P.G. 98, col. 157.
- 66** - წმ. თეოდორე სტუდიელი, "შვიდი თავი ხატმებრძოლთა წინააღმდეგ"; P.G. 99, col. 488. 67 P.G. 101, col. 949D.
- 68** - P.G. 102, col. 569D.
- 69** - ხატმებრძოლთა სწავლება ეშმაკის მანქანებით იყო გამოწვეული წმ. იოანე დამასკელის აზრითაც(იხ. "მეორე სიტყვისგება", P.G. 94, col. 1288; "მესამე სიტყვისგება", P.G. 94, col. 1317-1321).
- 70** - "პირველი სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1249.
- 71** - თარგმნა ქეთევან მათიაშვილმა. ციტირებული გვაქვს წიგნიდან: წმინდა პოლიკარპე სმირნელი, "ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ"; ტექსტი ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორმა, დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ; თბილისი, 2007, გვ. 14.
- 72** - წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური სარწმუნოების...", დასახ. ნაშრომი; თ. ოთხმოცდამერვე, გვ. 440-441.
- 73** - ბერძნ. ὁ ἕρις (პირდ. "ზღვარი, მიჯნა"); სიტყვიდან ἕριζα - "განსაზღვრება".
- 74** - წმ. იოანე დამასკელი, " პირველი სიტყვისგება"; P.G. 94, col. 1249.
- 75** - "მართლმადიდებლური სარწმუნოების...", დასახ. ნაშრომი; თ. ოთხმოცდამერვე, გვ. 442.
- 76** - წმ. იოანე დამასკელი, "მესამე სიტყვისგება", P.G. 94, col. 1328-1329; ასევე, "პირველი სიტყვისგება", P.G. 94, col. 1237-1240.

ტექსტისათვის

წინამდებარე გამოცემაში მოცემულია წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელის ქადაგების, "სიტყუა ჯუარისათვის", წმ. ეფრემ მცირისეული ძველქართული თარგმანი. კრიტიკული ტექსტი დადგენილია ოთხი უძველესი ხელნაწერის მიხედვით. მათი ლიტერებია: A - A 162 (XI ს.), B - Q 39 (1560-1578 წ.წ.), C - Q 652 (XVII ს.), D - ქუთ. 8 (1579-1612 წ.წ.). გამოცემისას ძირითადად ვეყრდნობით უძველეს A ნუსხას, ხოლო დანარჩენი მანუსკრიპტების განსხვავებული ჩვენებები ჩატანილი გვაქვს სქოლიოებში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ძველი ქართული ენის ნორმათა დაცვის მიზნით, გვიანდელ იკითხვისებს ვანიჭებთ უპირატესობას. ტექსტში კავებით [] მოცემულია A 162 ხელნაწერის პაგინაცია.

გამოცემაში ხმოვანთა "უჟ" ბგერათკომპლექსი ყველგან შეცვლილია "უე" ვარიანტით. დაქარაგმებული სიტყვები - "ი-ჰ" (ვარიანტული წაკითხვებით) და "ო-ი" (ვარიანტული წაკითხვებით) გახსნილია როგორც - "იესუ" და "უფალი". სქოლიოების გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად მათში არ ასახულა გვიანდელი ხელნაწერების ამეტობის დაწერილობა.

ქადაგება დაყოფილია თავებად, ძირითადად ისე, როგორც ეს ხელნაწერებშია მოცემული. მათივე მიზანმიმართული ყოველი ახალი აზრად მთავრული ასოთი იწყება.

სქოლიოთა არაბული ციფრებით (1, 2, 3...) აღნიშვნის გარდა ტექსტს ახლავს ორი აპარატი. ვარსკვლავებით (*, **, ***) მითითებულია ბიბლიური ციტატები ან პერიფრაზები და ერთი ექსცერპტი ეკლესიის მამის (წმ. ბასილი დიდის) შრომიდან. ლათინური ციფრებით (I, II, III...) აღნიშნულია ჩვენი შენიშვნები.

გამოცემაში ხელნაწერთა ტექსტი ერთადერთხელ არის დარღვეული. 21-ე თავში ჩამატებულია სიტყვა [კელნი], რასაც აშკარად მოითხოვს ქადაგების კონტექსტი.

ტექსტს ახლავს ძველქართულ-ახალქართული განმარტებითი ლექსიკონი და სახელთა საძიებელი.

[136v]

პირველსა¹ კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა¹

წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გერმანოს კონსტანტინეპოლელ² მთავარეპისკოპოსისა³ სიტყუა ჯუარისათვის და წმიდათა ხატთა, კელითქმნულთა და კელითუქმნელთათვის, მწვალეებელთა⁴ მათ მიმართ, რომელნი ჯუარსა ხოლო⁵ თაყუანის-სცემენ⁶ და ხატთა⁷ არა⁸

მამაო, გუაკურთხენ!⁹

1. ვინაფთგან¹⁰ უკუე უგუნურებით და უმეცრებით განწვალეებულთანი იგი უსწავლელობითნი და მეხდატეხილობითნი¹¹ სიტყუანი და ბოროტნი იგი და გესლიანნი შჯულისდებანი, მერმეცა მდაბიორნი¹² კითხვანი და ყოვლად ბრმანი იგი¹³ წინააღმდეგომითნი სიტყვსაგებანი სამსახურებელთა ხატთათვის არამცირედ აღშფოთების-მნებებელ არიან აღზრდილთა ამათ კათოლიკე ეკლესიისათა,^{14II} მოვედ უკუე, მოვედ, რამთა სიტყუა აღებასა პირისასა საღმრთოთა¹⁵ სიტყვსაგან^{III} ვითხოვოთ¹⁶ და აწვე ჩუენცა მათდა მიმართ სიტყუად-ყოთ.

1 A-ში სათაურის გასწვრივ, აშიაზე, მთავრულით, სინგურით, ჯვრის ფორმით წერია: "თარგმნა ეფრემ", ხოლო D-ში – მარტო "ეფრემ". **2** კონსტანტინეპოლელ BC, კონსტანტიპოლელ D. **3** მთავარეპისკოპოსისა BC. **4** მიცვალეებულთა C. აშიაზე შავი მელნით მიწერილია "მწვალეებელთა". **5** მხოლოდ [მ~ხ] C. **6** თაყუანის-ცემენ ABC. **7** ხატსა D. **8** არა D. **9** ~ გუაკურთხენ, მამაო A. სხვა ხელნაწერებისგან განსხვავებით, A-ში ეს სიტყვები

დაწერილია აშიაზე და ცუდად იკითხება. **10** ვინათგან BC. **11** მეხდატეხელობითნი A. **12** მდაბითურნი BC, მდაბითურნი D. **13** + და BC. **14** ეკლესიათა C. **15** საღმრთოსა C. **16** ვითხოვთ D.

2. მითხარტ ჩუენ, **ჰ** განცოფებულნო და არაწმიდანო, რომელისა ჯერისათვს ბოროტებით ჰგმობთ განკაცებისა¹ მას უხრწნელსა ხატსა უფლისა ჩუენისა იესუ² ქრისტესსა და პატიოსნისა მის ჯუარისა მისისა ცხოველსმყოფელისა შეუოროგულებელად ამცნებთ თაყუანისცემად? რამეთუ ვითარ-ესე მე ვჰგონებ, ვითარმედ დაღაცათუ საღმრთოსა ძლიერებისა საჭურველ არს, ძლევამომოსილ ემმაკისა მიმართ და ყოველთა ძალთა მისთა,* წინააღმდეგომთა ჩუენთა, და სიქადულ ყოველთა სიქადულთა მიერკერძო ჯუარი,**^{IV} არამედ უსულოთაგან ძელთა შემზადებულ არს – სარომსაგან ვიტყვ და ნამძსა და ფიჭსა*** – და არა ხოლო ესე, არამედ ჰელითაცა უმჯულოთაძათ³ ორღანოდ სიკუდილისა სამდლითისა მისთვს სიკუდილისა⁴ უფლისა იესუმსსა;⁵ არამედ სთქუათ სადმე უეჭუელად, ვითარმედ ჯუარისა მსახურება⁶ გვსწავივს და თაყუანისცემად⁷ მის ზედა დამშუალულისათვს⁸ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, რომელი "ჩუენტვს წყევა იქმნა",**** რაძათა ჩუენ, ძუელისა მის წყევისაგან**** განთავისუფლებულთა, "შვილებად⁹ იგი მოვიდოთ".*****^V

3. ამისსა შემდგომად ვიტყვ მე: ჯუარი, სულისა მისებრ საწინააღმდეგობისა,¹⁰ ორღანოდ იყო წყევისა,¹¹ რამეთუ წერილ არს: "წყეულ იყავნ¹² ყოველი დამოკიდებული ძელსა".***** აწ უკუე ყოველი თუ დამოკიდებული ძელსა წყეულ არს, ცხად არს, ვითარმედ – იგიცა, რომელსა ზედა დამოკიდებულ არს, ესე იგი არს ძელი ჯუარისა, არათუმცა ზესთა¹³ სიწმიდისაგან მას [137] ზედა ამაღლებულისა ღმრთისა შეემოსა მას სიწმიდე, რამეთუ ამას ძლევამომოსილსა¹⁴ სკიპტრასა ზედა განაქიქნა და საჩუენებელ-ყვნა ქრისტემან ძალნი წინააღმდეგომნი.^{VI}

1 განკაცებისასა BCD. **2** იესუს BC. **3** უსჯულოთათა BC. **4** + მისთვს D. **5** იესუსსა BC. **6 თაყუანისცემად BCD. **7** მსახურება BCD. **8** დამსჭუალვისათვს B, დამსჭვადღვისათვს C. **9** შვილება C. **10** საწიწყულოსა CD. **11** წყევისა C. **12** იყუნ C. **13** ოთხივე ხელნაწერი ამ წაკითხვას უჩვენებს - "ზესთა"; სავარაუდოდ, დედანში უნდა ყოფილიყო "ზეშთა". **14** ძლე-შემოსილსა B.**

* შდრ. ეფესელ. 6:11,13. ** შდრ. გალატ. 6:14. *** შდრ. ეს. 60:13. **** გალატ. 3:13. ***** იბ. დაბად. 3:16-19. ***** გალატ. 4:5; შდრ. ჰრომ. 8:15. ***** II შჯ. 21:23; გალატ. 3:13.

4. ამით უკუე ბჰობითა სამართლისაძათ¹ ჩუენმიერცა და თქუენმიერცა პატიოსნებით და ყოვლადსარწმუნოებით თაყუანის-იცემებოდის რაჲ ჯუარი მის ზედა ამაღლებულისა ქრისტესთვს, რაძათვსლა² თქუენ მარტონი მას ზედა ჩუენთა ცოდვათათვს³ შემშუალულისა კაცისახესა⁴ ხატსა ჯუარცუმისა⁵ და დაფლვისა,⁶ აღდგომისა და, ჰმისაებრ ღმრთისამამისა⁷ დავითისსა, ზეცად დაღადებით⁸ ამაღლებულისა* მსგავსებად გამოსახულსა⁹ არა შეიწყნარებთ? რამეთუ ჩუენ ვხედავთ, ვითარმედ ჯუარი¹⁰ მისითა მას ზედა ნებსით¹¹ დამშუალვითა¹² წმიდა-იქმნა და კურთხევად შეიცვალა, ხოლო თქუენ არა ხედავთ და მის მიერ განწმედლისა მას ჯუარსა თაყუანის-სცემთ,¹³ ხოლო ხატსა მას მისისა¹⁴ განმწმედელისასა¹⁵ არა შეიწყნარებთ.¹⁶

5. არამედ რასა იტყვან მცირედმორწმუნენი, რომელთა ჰემმარიტისა სიტყვსა მართლგანმკუეთელობად არა უწყიან, უფროძსა არა ჰნებავს: "კერპნი წარმართთანიო, იგივე დავით იტყვს, - ვეცხლისა და ოქროძსანი ქმნულნი ჰელთა კაცთანი, პირ ათქს და არა იტყვან, თუალ ასხენ და არა ხედვენ, ყურ ასხენ¹⁷ და არა ესმის",** და შემდგომი ამისი. **ჰ** უგუნურებასა,¹⁸ **ჰ** ურწმუნობასა, **ჰ** ბოროტსა მოძღურებასა! მოვედით უკუე და იხილეთ ყოველთა, ხედვად შემძლებელთა, ვითარ "წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული აცხოვნებს",*** რამეთუ ესე დავით საწარმართოთა კერპთათვს იგალობა და არა საქრისტეანოთა¹⁹ ხატთათვს.

6. ხოლო ქრისტეანეთანი ესე ხატნი არათუ ღმრთად შერაცხილ არიან კეთილადგონიერთა მიერ, რამეთუ გამოვხატოთ რაჲ ჩუენ²⁰ ჩუენგან მიღებული იგი ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი^{VII} ფერებითა ნივთთაძათ,²¹ საღმრთოძსა²² მის და უნივთოძსა ბუნებისა მისისა მიმართ მიუძღვთ²³ კუალთა გონებისათა,²⁴ რამეთუ რომელი-იგი ეგო, ვითარ იყო – ღმრთად გარემუწურელად, არა უღირსიძინა კაცთათვს კაც გარემუწერილქმნად.^{25VIII}

1 სამართალისადათა **ABD**. **2** რადასათჳს **D**. **3** ცოდვათა თჳსთა **BC**. **4** კაცისა სახესა **D**. **5** ჯ~რცმისა **CD**. **6** დაფლვისსა **A**. **7** ღმრთისა მამისა **BCD**. შდრ. ბერძნ. Θεοπάταρ; დავით მეფის ერთ-ერთი ეპითეტი. **8** ღმრთეებით **BC**. **9** გამოუსახულსა **C**. **10** ჯუარითა **D**. **11** ნეფსით **B**. **12** დამშჳვალვითა **C**. **13** თაყუანის-ცემთ **A**. **14** მისსა **AC**. **15** განმწმედელისსა **AB**. **16** შევიწყნარებთ **BC**. **17** ასახენ **A**. **18** უგნურებისა **C**. **19** საქრისტიანოთა **A**. **20** – **BC**. **21** ნივთადათა **A**, ნივთათათა **C**. **22** საღმრთოსა **C**. **23** მიუძღუვთ **D**. **24** გონებისა **C**. **25** გარემუქერელქმნა **AD**.

* შდრ. ფსალმ. 46:6. ** ფსალმ. 113:12-14, 134:15-17; შდრ. სიბრძ. სოლომ. 15:15. *** II კორინ. 3:6.

7. ფრიადცა სამართლად გამოვხატავთ¹ ხატთა მოსაკსენებელად² მისისა მიდგომილებისა და შობისა, აღზრდისა და³ ნათლისღებისა, სასწაულთა და ნიშთა, ჰურიათა სივერაგისა, თაბორს ფერისცვალებისა, ჯუარისამიერისა ვნებისა, სამდღე დაფლვისა, სადღესასწაულომსა⁴ მის და ბრწყინვალისა დიდებით აღდგომისა, მოწაფეთა მიმართ სიონს ბჳეთა კშულთა შესღვისა, ზეცად ამადღებისა და კუალად მეორედ დიდებით მოსღვისა მისისა ყოვლად საზარელისა. არათუ ფერთ⁵ ნაქმნევს ამას ხატსა შინა შემოვსწერთ ღმერთსა,⁶ შემოქმედსა ცათა და ქუეყანისა,⁷ ზღუათა და⁸ უფსკრულთა, ხილულთა და უხილავთასა; ნუ იყოფინ! წარვედ ამის უწესობისაგან!⁹ რამეთუ ელენთა¹⁰ და უღმრთოთა¹¹ ნათესავთა საქმე არს.

8. ხოლო უკუეთუ ვინმე ამას გუწამებდენ, სირცხვლელ-იქმნედ¹¹ და პირი დაიყვედ, რამეთუ¹² იგინი და არა ჩუენ ვიტყვთ ამას არაოდეს, არამედ ჩუენ ამის ხატისა მიერ, ვითარცა¹³ პირველ ვთქუ, ჳემმარტებასა ღმრთისა პირველთქუმულთა¹⁴ წინამსწარმეტყუელებათასა განვიცდით, ვითარ ჩუენდა-მომართითა მოწყალებითა განკორციელდა სულისაგან წმიდისა და მარადის **[137v]** ქალწულისა მარიამისსა,¹⁵ ერთი თანადაუსაბამოსა¹⁶ ღმრთისა და მამისა თანადაუსაბამოდ¹⁷ ძე და ღმერთი, ორითა ბუნებითა და ერთითა პირითა, შეურევნელად, უქცეველად, უცვალებელად განყოფილი¹⁸ და განუყოფელი,¹⁹ ყოველთა მიერ, რომელნი ღმრთივგანბრძნობილ მსახურ მისსა არიან.^x

1 გამოუხატავთ **C**. **2** მოსაკს~ნებლ~დ **C**. **3** – **B**. **4** სადღესასწაულოსა **CD**. **5** ფერთა **D**. **6** ეს სიტყვა **A**-ში ცუდად იკითხება. **7** ქ~ყნისა **CD**. **8** + ყოველთა **D**. **9** უწესობისგ~ნ **CD**. **10 უღმრთოთადათა **C**. **11** სირცხვლელ-იქმნედ **A**, სირცხვლ-იქმნედ **BC**. **12** – **C**. **13** ვითარ **BCD**. **14** პირველთქმ~ლთა **BC**, პირველთქმულთა **D**. **15** მარიამისაგან **B**, მრ~მისგ~ნ **C**. **16** თანადაუსაბამოსა **C**. **17** თანადაუსაბამო **D**. **18** განყოფილად **BC**. **19** განუყოფელად **BC**.**

9. რამეთუ საჭირო საკმარ არს წმიდათა წინამსწარმეტყუელთა და მახარებელთა მიერ წინადთვე¹ თქუმულთა² სიტყვსთხოობათა უნაკლულომსა³ საქმით აღსრულებისა დასარწმუნებელად დამტევნელთა გამოხატვით გამოწერად წმიდათა შინა ღმრთისა ეკლესიათა, რამეთუ ნაცვალად ვაცთა და ლომთა, ცხენთა და კერძოვრთა,⁴ კუროთა და ზუარაკთა, მფრინველთა და ზღვს-მყოფთა⁵ – ამათი უსაკუთრეს არს სამკაულყოფად წმიდათა ღმრთისა ეკლესიათად წიგნად თვითთარგმანებულად, მოსაკსენებელად აღუკოცელად, ფერჳთმეყვანებულად შეუცთომელად, მოსათხოობელად შემოკლებითად⁶ და უფრომსლა⁷ მსოფლელთათჳს, რომელნი უსწავლელ იყვნენ წიგნისკითხვისა.⁸

10. ხოლო, რადათ არა განვაგრცოთ⁹ სიტყუად სხვთი-სხუად¹⁰ მიმოყვანებითა უსწავლულობითითა,¹¹ მოვედ¹² კუალად, რადათ წმიდათა და პატოსანთა ხატთა თაყუანისცემისა სიტყუად¹³ უსრულესისა სიტყვსა მიმართ აღვიყვანოთ წარმოსაჩინებელად, ვითარმედ უსწავლულობისაგან¹⁴ შეემთხუევის მწვალებელთა კრებულსა, რამეთუ უკუეთუ¹⁵ არა ჳმსახურებენ ხატსა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ვერ ჳელ-ეწიფოს¹⁶ თაყუანისცემად¹⁷ წმიდისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა¹⁸ მისისადა.

1 წინათვე BC. **2** თქმულთა BC. **3** უნაკლულოსა CD. **4** D-ში მინაწერია აშიაზე: "შეისწავე ჯორისა სახელი". საინტერესოა, რომ XVI საუკუნისთვის "კერძოვირი" უკვე განმარტებას საჭიროებს ქართული მკითხველისთვის. **5** ზღვის-მყოფთა C. **6** შემოკლებილად BC. **7** უფროსლა C. **8** წიგნისკითხვასა D. **9** განვავრცო D. **10** სხვითი-სხვად C. **11** უსწავლელობითა C. **12** მოედ ABD. D-ში ამ სიტყვის თავზე ორწერტილი ზის მწესხველის დაქვევების ნიშნად. **13** სიტყვა C. **14** უსწავლელობისგან C. **15** უკუეთო A. **16** კელეწიფების + მათ BCD. **17** თაყუანისცემა C. **18** ჯვარისა C.

11. თქვენ გკითხავ: მითხარო, - ვითარცა იგი მამად¹ ძისა შორის არს და ძე მამისა შორის,* რადას² არა ეგრეთვე იყოს ჯუარი ხატისა³ შორის და ხატი ჯუარისა, რამეთუ ჯუარი და ხატი ერთ საქმე არს და არა სხუადასხუა,⁴ რომელი-ესე მოსე ღმრთისმხილველმან ცხად-ყო, რაჟამს ხილული იგი ამაღელი ჯუარისსახედ მთასა ზედა განპყრობითა კელთადათ⁵ დაამკუა,** მაშინ ჯუარი ხატისა⁶ შორის და ხატი ჯუარისა შორის წინაგამოსახა, ესე იგი არს, იესუ ჯუარისა თანა და ჯუარი იესუმს⁷ თანა, რადთა რომელი პატიოსანსა ჯუარსა მისსა ჰმსახურებდეს და თაყუანის-სცემდეს,⁸ უხრწნელსა⁹ ხატსა მისსა მისდავე მსგავსად, ვითარცა მასვე, თაყუანის-სცემს,¹⁰ რომელი-იგი კაცისსახე არს ხილულითა მით ხატითა და კაცობრივითა კელითა ნივთისაგან ფერთადას¹¹ გამოიხატვის.¹²

12. ხოლო უკუეთუ¹³ ჯერეთვა ნაბერწყალი ურწმუნოებისა¹⁴ შესწუავს გონებათა თქუენთა და საეჭუ საგონებელ გიჩნს – გლოცავ, მარქუთ¹⁵ მე, მკითხველსა, თუ რადასათვს კუერთხმან იოსებისმან სარწმუნოებით თაყუანისცემულმან ვისგანმე წუერსა ზედა,*** თვთ მის იოსებისი აჩუენა თაყუანისცემულობად^{16XI} და ხატი იესუმს¹⁷ თაყუანისცემული არამცა მასვე აჩუენებდაა იესუმს¹⁸ მსახურებასა? ჰჳ,¹⁹ უეჭუელად, რამეთუ მე გეტყვ თქუენ, ვითარცა რომელი არა პატივ-სცემდეს ძესა, იგი – არცა მამასა.**** ეგრეთვე რომელი არა თაყუანის-სცემდეს²⁰ გამოსახვითსა²¹ ამას ხატსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ვერცა წმიდასა მას და საღმრთოსა განკაცებასა მისსა შეუძლოს მან ოდესცა თვნიერ²² საოცარყოფისა აღსაარებად.²³ ესევეითარი-იგი ყოვლად იყავნ შეჩუენებულ, ვითარცა უწინააღმდგომესი საეშმაკომსა²⁴ სულისადა.

1 მამა C. **2** რად A. **3** ხატსა BCD. **4** სხვად და სხად C. **5 კელთათა BC. **6** ხატსა BCD. **7** ივზ BC. **8** თაყუანის-ცემდეს A. **9** უხრწნელსა D. **10** თაყუანის-სცეს BCD. **11** ფერთასა BCD. **12** გმოიტტვის D. **13** უკეთუ B. **14** ურწმუნოებისა BC. **15** მარქუ D. **16** თაყუანისცემელობა C. **17** ივზი BC. **18** ივზ BC. **19** ჰე BCD. **20** თაყუანის-ცემდეს AC. **21** გამოხატვითსა A. **22** თინიერ B. **23** აღსაარებად C. **24** საეშმაკოსად C, საეშმაკოსად D.**

* შდრ. იოვანე 10:38, 14:10-11. ** იხ. გამოსლ. 17:8-16. *** იხ. დაბად. 47:31; ებრაელ. 11:21. **** შდრ. იოვანე 5:23.

13. დავდვათ უკუე, [138] თქუენებრ ხატომლეწელთა მაგათ და წმიდათმოზიელთა,^{XII} ვითარმედ არა ჯერ-არს ხატისა¹ თაყუანისცემად,² ხოლო ჩუენ³ რად-იგი მოსეს მიერ სარწმუნოყოფად წინადთვე⁴ ვთქუთ⁵ – ჯუარი და ხატი ერთ საქმე არს. უკუეთუ, ვითარცა არა სამართალი, აღმოიკოდების ხატისა თაყუანისცემად, მოეკუეთენ მართლ ჯუარისსახედ აღმართებულიცა ძელი ჯუარისა, და რადასათვს ჰბორგთ ამიერითგან თაყუანისცემასა მისსა? ჰ, კაცნო უსწავლეონო და განხერილნო! ნამდვლვე, უკუეთუ ყურნი გქონან სმენად და თუალ გასხენ ხილვად,* განიცადეთ, დაღათუ სხუად არარად, თვნიერ ასოდ ოდენ ანზნისად⁶ – რომელ არს "ტავ".^{XIII} რომელსა უცნობიეს, რად არს თქუმული⁷ ესე, ცანნ⁸ და განემართენ,⁹ ხოლო რომელსა არა უცნობიეს, ისწავენ¹⁰ და მოიქეცინ.

14. ხოლო უკუეთუ მიზეზ-იდგამთ¹¹ მიწისაგანთა კელთამიერ გამოხატულობისათვს არასადა თაყუანისცემად ყოვლადშუენიერსა და წმიდასა ხატსა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ვითარცა კელითქმულსა რასმე, მარქუთ მე, კუალად კითხვად თქუენდა სურვიელსა,¹² - პირველისა მამისა ადამისითგან ვიდრე მოაქამდე¹³ რად

არს კელითუქმნელი ყოველსავე სოფელსა შინა? არამედ არცა ერთი რად გაქუს ჩუენებად ჩემდა¹⁴ ესევეთარი, რამეთუ¹⁵ იგი მხოლოდ არს კელითუქმნელ,¹⁶ რომელი-იგი "უტყუველმან¹⁷ ღმერთმან"^{**} ნებებით ხოლო დაჰბადა სიტყვთა და სრულ-ყო სულითა წმიდითა.^{xiv}

1 ~ თაყუანისცემა ხატისა D. სიტყვების თავზე "ა" და "ბ" ასოები წერია, გადანაცვლების ნიშნად. 2 თაყუანისცემა C. 3 - BCD. 4 წინათვე BC. 5 ვთქუ D. 6 ანზისა C. 7 თქმული BCD. 8 ცნან C. 9 განემართენ C. 10 ასწავენ C. 11 მიზეზ-იდგამთა C. 12 სურველსა C. 13 მოაქადმდე A. 14 ჩნდა D. 15 რომელი D. 16 კელითუქმნელი BCD. 17 უტყუელმან BCD.

* შდრ. ეს. 6:9-10; იერ. 5:21; ეზეკ. 12:2; მათე 13:14; მარკ. 4:12, 8:18 და სხვა. ** ტიტე 1:2.

15. ხოლო პირველ ნოვესსა¹ და შემდგომად ნოვესსა,² პირველ აბრაჰამისსა და შემდგომად აბრაჰამისსა, პირველ მოსესსა³ და შემდგომად მოსესსა,⁴ პირველ სოლომონისსა და შემდგომად სოლომონისსა კაცთა მიერ გებულნი საკურთხეველნი აღეშენეს⁵ უფალსა⁶ და ვერარას შეუძლეს მათ შორის ქმნად,^{7*} თვნიერ შენებისა, გინა წახნაგებისა, ანუ მსახველობისა,⁸ გინა კელითუქმნულებისა, რომელნი-ესე ყოველნი კელითა კაცთადა⁹ იქმნებიან.

16. რამეთუ ვხედავთ, ვითარ კელითუქმნულთა ქერობინთა^{xv} შორის ეზრახებოდა ღმერთი მოსეს კარავსა შინა^{**} და კელითუქმნულსა შინა ტამარსა სოლომონისსა დაიმკვდრა სულმან საღმრთომან უფლისამან. ^{***} და არა ხოლო ესენი, არამედ ფრიად უმრავლესნიცა ეპოვნენ¹⁰ ძუელსა შინა^{xvi} მოსურნესა¹¹ ძიებისასა.¹²

17. ხოლო ახალსა შინა,^{xvii} ესე იგი არს შემდგომად სიტყვსა¹³ ღმრთისა განკაცებისა, ნუუკუე არა კელითუქმნულნი არიან¹⁴ ყოველსა სოფელსა შინა აღშენებულნი საკურთხეველნი ღმრთისათვს¹⁵ და წმიდათათვს? ხოლო მათ ზედა აღმართებულნი ჯუარნი ანუ არა რომელნიმე ოქრომანი არიან და რომელნიმე ვეცხლისანი, სხუანი რვალისანი¹⁶ და რკინისანი¹⁷ და თითოსახეთა¹⁸ ძელთაგან შექმნულნი? ანუ ყოველნივე¹⁹ ჭურჭელნი ჟამისწირვისა სამსახურებელნი ყოველთა ეკლესიათანი არა კაცობრივითა კელითა²⁰ შექმნულ არიან და იქმნებიან²¹ და ქმნად არიან? და პური იგი წინადაგებისა,^{22xviii} რომელსა ზედა მადლობით მოწოდებითა ყოველადწმიდისა სულისა ცხოველსმყოფელისადა²³ ჭემარიტად ჯორც საღმრთო შეცვალებად²⁴ მიემადლებს და პურისა წილ ჯორც იპოვების,^{25xix} ანუ არა კელითა მიწისაგანისადა²⁶ შეიზილებს და შეიცხოვვის? და რომელიიგი პირველთქმულთავეთანა²⁷ სისხლ საღმრთო ყოფად უცთომელად ირწმუნების, საცხორებელ ყოველთა ღვწოდ იგი ტაკუკთა ბარძიმისათა^{28xx} არა [138v] კაცობრივითა კელთა ნამუშაკევი არსა? უეჭუელად სთქუთ,²⁹ ვითარმედ: ჰჳ!

1 ნოესსა BC. 2 ნოესსა BC. 3 მოსესა C. 4 მოსესა BC. 5 აღაშენეს C. 6 თ~ (?) BC. 7 ქმნა D. 8 მსახრველობისა BC. 9 კაცთათა BC. 10 ეპოვნეს BC. 11 მოსურნეს C. 12 ძიებისა ACD. 13 - D. 14 არიან BC. 15 ღ~ს~ათ~ს B, ღ~ისასათვს C. 16 რვალისა AD. 17 რკინისა AD. 18 თვთოსახითა BC. 19 ყოველნი BCD. 20 კელებითა BCD. 21 იქმნებიან D. 22 წინადაგებისა BD. 23 ცხოველსმყოფელისათა BC. 24 შეცვალება C. 25 იპოვების AB. 26 მიწისაგანისათა BC. 27 პირველთქმულთავეთანა BCD. 28 ბარძიმისათა BC. 29 სთქათ D.

* შდრ. ებრ. 10:1-4,11 ** იხ. გამოსლ. 25:22; შდრ. ებრ. 9:5. *** იხ. III მეფ. 8:10-11.

18. აწ უკუე, უკუეთუ ესე ყოველი სასოებით პატივ-იცემების და თაყუანისიცემების და წმიდა ღმრთისა ყოფად¹ ირწმუნების,² რადა მხოლოდ ხატი ოდენ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი დაუპყრობელითა პირითა თქუენ მიერ იგმოვების? ეჰა სიბორგილესადა,³ ჰ განსაცდელსადა,⁴ ვად საზარელსა განკრთომილებასა! ვითარ ქუეყნიერისა მეფისა ხატი უპატივო⁵ რად იქმნას, ესოდენ შურ-იგის⁶ მან მისთვს, ვიდრემდის მკადრებელთა ზედა ამისთა⁷ სიკუდილისადა⁸ განსცის განჩინებადა,⁹ რამეთუ ესრეთ თქვს მეფემან მათდა მიმართ:

"ვინადათგან¹⁰ შორიელი, ვითარცა მახლობელი, გინებულ-მყავთ უპატიოებითა ხატისა ჩემისადათა,¹¹ ამისთვისცა მწარედ და მოსასრველად ვბრძანებ მოკლვასა თქუნსა".^{XXI}

19. ხოლო უკუეთუ ესე ესრესახედ განიბჭობვის, რამ-მე გიყოს თქუნ, სიტყუადიდთა და მგმობართა, მან, რომელი-იგი აწ თქუნ¹² მიერ¹³ იგინების უპატიოებითა¹⁴ ხატისა მისისადათა,¹⁵ მეუფე ზეცათადა,¹⁶ რაჟამს მოვიდეს სიმართლით განშჯად¹⁷ სოფლისა* და მიგებად ყოველთა¹⁸ საქმეთაებრ მისსა მიმართ ურწმუნოებისა, გინა სარწმუნოებისათა?^{19**}

20. ეჰა შიშსა, ეჰა ძრწოლასა, ჟ საღმობიერსა მას ჭირსა, რომელსა ეგულებს²⁰ მაშინ წევნად თქუნდა! რამეთუ უკუეთუ არა შეინანოთ, მათ თანა შერაცხილ იქმნეთ, რომელთა სივერაგე წინამხედველობით წინაგამოცხადა წინადაწარმეტყუელსა მესაიდუმლოებითა²¹ უფლისადათა.²² ამისთვის, ვითარცა პირითა მათითა იტყვს: "მოვედით, შეურთოთ²³ ძელი პურსა მისსა და აღვკოცოთ იგი ქუეყანით ცხოველთადათ".^{24*XXII} ესე თვთ იგინი²⁵ არიან ღმრთისმბრძოლნი ჰურიანი, რომელთა აღმასრულებელად წინადაწარმეტყუელებისა მის პილატეს მიმართ²⁶ ჳმა-ყვეს: "აღიდე, აღიდე, ჯუარს-აცუ ეგი!";^{***} "სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა!".^{27****}

1 ~ ყოვად ღმრთისად BC. **2** ირწმუნებისა D. **3** სიბორგილესდა C. **4** განსაცდელსდა C. **5** უპატიოდ BCD. **6** შუიგრის C, შურ-იგნის D. **7** მისთა C. **8** სიკუდილის BC, სიკუდილისა D. **9** განჩინება C. **10** ვინათგან C. **11** ჩემისათა B, ჩემისათა C. **12** თქუნდა D. **13** მიმართ D. **14** უპატიოებითა B, უპატიოებითა D. **15 მისისათა B, მისისათა C. **16** ზეცათა B. **17** განსჯად BCD. **18** + ყოველთა BC. **19** სარწმუნოებისათს BC. **20** ეგ~ლე D. **21** მესაიდუმლოებითა C. **22** უფლისათა BC. **23** შეურიოდ BC, შეურიოდ D. **24** ცხოველთათ BC. **25** იგი BCD. **26** მ~რ C. **27** "და შვილთა ჩუენთა ზედა" აკლია C-ს; + და D.**

* შდრ. ფსალმ. 95:13. ** შდრ. ფსალმ. 61:13; მათე 16:27; ჰრომ. 2:6; გამოცხ. 20:12-13. *** იერემია 11:19. **** იოვანე 19:15; შდრ. მათე 27:22-23; მარკოზი 15:13-14; ლუკა 23:21; იოვანე 19:6. ***** მათე 27:25

21. რამეთუ¹ მრავალგზის თქუნცა ყოველი ხატი დაჰლექეთ და დასწვთ, ამას² თანა კადნიერებით ჰწერწყუევდით³ და დასთრგუნევდით⁴ და მათითა შემუსრვითა მნებებელ ხართ უჩინოყოფად და უფსკრულსა⁵ დავიწყებისასა⁶ მიცემად განჯორციელებასა ღმრთისა სიტყვასა.⁷ ხოლო უკუეთუმცა ვინმე დაიბანანა [ჳელნი]⁸ წინაშე თქუნსა, ვითარცა ძუელ სადმე პილატე, და⁹ თქუა: "უბრალო ვარ მე უწესობისა მაგისგან, თქუნ იხილეთ",* - ჳმა-ჳყავთ-მცა¹⁰ სამე¹¹ თქუნცა ჰურიებრ: "აღიდე¹² ყოველი ხატი და უმჯულოება¹³ ესე თავთა ჩუენთა ზედა იყოს".

22. ვად საცთურსა ამას, ჟ სივერაგესა ეშმაკისასა,¹⁴ ეჰა წარჰარვასა მომსრველისასა!¹⁵ შეძრწუნდი,¹⁶ ჟ კაცო, ამისო მომგონებელი!¹⁷ ნუ იქმნები მომკლველ თავისა თვისისა, რამეთუ ჰგონებ რად დგომასა, მძვნვარედ დაცემულ ხარ. აღდეგ უკუე, ჟ კაცო, და სინანულითა ცხონდი, რამეთუ უკუეთუ ჰურიათა თანა შეირაცხო, უმჯობეს იყო შენდა, არათუმცა შობილ იყავ.*

23. იტყვან ამასცა ყოველსავე ჟამსა და საქმესა და ადგილსა შინა ყრმისგონებანი¹⁸ მწვალებელნი: "უკუეთუ გნებავს სწავლისა შენისა სმენად ჩუენგან,¹⁹ ჟ მოძღუარ, მიჩუენე ჩუენ ცათა შინა სასწაული ხატისად, ვითარ-იგი არს ჯუარისადა ვარსკულავთა მიერ და სარწმუნოებით თაყუანის-ვსცეთ".^{XXIII} ხოლო ესე მსგავს არს ჰურიათავე მიერ თქუმულსა უფლისა მიმართ იესუმსა: "მოძღუარ, რასა²⁰ სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ ზეცით, [139] რადთა გურწმენეს შენი?".^{***} რომელთა მიმართ მანვე უფალმან თქუას შემდგომი ამისვე სიტყვსადა, ვითარცა ჩუენმიერვე და ჩუენ მისთანა ვიტყვთ: ამას იტყვს უფალი, - ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ხატისსა ცათა²¹ შინა ეძიებს და ესე მუნ არა ეცეს მას,^{****} გარნა ქუეყანისსა²² ამას შინა ცასა ჩემსა, რომელ არს ეკლესიადა,^{XXIV} რადთა ზენად იგი ერთ და მრავალთა ადვილად²³ სარწმუნო იყოს ჯუარი, ხოლო ქუენად ესე მსგავსებითა ურთიერთას მრავალთა მიერ ურწმუნო იყოს ჯუარი და ხატი რეცა ცუდ საგონებელქმნითა ნათესავისაგან ბოროტისა და მემრუშისა.^{XXV}

1 - D. **2** ამის C. **3** ჰნერწყვიდით BC, ჰნერწყვდით D. **4** დასთრგუნვიდით BC. **5** უფსკრულთა C. **6** დავიწყებისა AC. **7** სიტყვსა ABC. **8** არ არის არცერთ ხელნაწერში. შესაძლოა, ბერძნულიდან კალკირებული თარგმანისას, ეს სიტყვა ქართულად არც გადმოსულიყო. "ველნი" არ არის სლავურ თარგმანშიც. **9** - D. **10** ჰმა-ყავთ-მცა C. **11** სადმე ABC. **12** აღიღე D. **13** უსჯულოებად BD, უსჯულოება C. **14** ეშმაკისა ACD. **15** მომსრველისა AC. **16** შერძწუნდი C. **17** მგონებელი D. **18** ამ სიტყვის შემდეგ წყდება B და C. **19** ჩ~მგ~ნ D. **20** რაფსა D. **21** ~ ეძიებს ცათა შინა D. სიტყვების თავზე "ა" და "ბ" ასოები წერია, გადანაცვლების ნიშნად. **22** ქუეყანისასა D. **23** - A.

*შდრ. მათე 27:24. ** შდრ. მათე 26:24. *** შდრ. მათე 12:38, 16:1; მარ. 8:11; იოანე 6:30. **** შდრ. მათე 12:39, 16:4; მარ. 8:12; ლუკა 11:29.

24. ხოლო ბოროტდასაბამსა ბელიარს^{xxvi} ესე მიენიჭენ თანაწარსავალსა სიტყვასა:¹ ვაჲ შენ, ეშმაკო, და ყოველსა² მლიქნელობასა შენსა! ვაჲ შენ, ეშმაკო, და ყოველსა კუეთებასა შენსა! ვაჲ შენ, ეშმაკო, და ყოველსა სივერაგესა შენსა! ვაჲ შენ, ეშმაკო, და ყოველსა სიბოროგილეთა შენთა ურგებობასა! ვაჲ შენ, ეშმაკო, და ნებებათა შენთა აღუვსებელობასა! რამეთუ ინებე თანამზრახვალთა შენთა თანა, რაფთა განჭრითა³ ხატთაფთა⁴ რეცა საგონებლობით და უცნებაყოფით⁵ ქადაგებაჲ განჯორციელებასა სიტყვასა⁶ დარწმუნებად, არამედ ვაჲ შენდა და თანამოქმედთა შენთა, ყოვლადბოროტო სატან!^{7xxvii} რამეთუ ვითარ-იგი საღმრთოდ სული იტყვს წინადაწარმეტყუელისა⁸ მიერ - "უფალი განაქარვებს ზრახვასა წარმართთასა, გარემიაქცევს ზრახვასა ერთასა, გარემიაქცევს ზრახვასა მთავართასა, ხოლო ზრახვად უფლისაჲ უკუნისამდე ეგოს".*

25. რასა⁹ მიყოფთ მე აწ, თქუენსა დამტევებელსა და ბოროტისა ამის და ცუნდრუკისა მონისა მბრძოლსა? რამეთუ მე თქუენ აღაშურებ, თქუენისა ღმრთისამიერისა ცხორებისა მსურის, თქუენსა¹⁰ დაცემულებისაგან აღდგომასა და განმართებასა ვეძიებ, რამეთუ ესე ერთგზის რაჲ დაეკუეთა, განზრქომილი¹¹ ამპარტავანებითა, მიერითგან აღდგომასა არღარა მოელის.^{xxviii} ხოლო თქუენ, მძანო, განიფროთხვეთ მთრვალობისაგან თქუენისა. გლოცავ, აღდეგით ჰრულისაგან უმეცრებათა თქუენთაჲსა, აღემართენით საცთურეანობისაგან დაცემათაჲსა, რამეთუ ძალ-გიც, უკუეთუ ოდენ ინებოთ.

26. იხილეთ, ვითარ ბუნებით გარეშეუწერელმან ღმერთმან ჩუენმან მამათა და მამათმთავართა, წინადაწარმეტყუელთა და მეფეთა აზრდით და სახით, სიზმრით და ხატით, მსგავსად დატევენისა მათისა, გამოუჩინა თავი თჳსი. და კულად, ვითარ¹² საცნაურნი ქერობინნი ქუეყანასა ზედა საიდუმლოდ გამოიხატნეს და მათითა მით გამოხატვითა სამწმიდაობითი ქებაჲ სამწმიდისა და¹³ სიწმიდეთა უზეშთაჲსისა,¹⁴ ერთარსისა და ცხოველსყოფელისა სამებისა შეიწირვის.^{xxix}

1 სიტყვსა A. **2** ყოველთა D. **3** გ~ნჭრას D. **4** ხ~ტთაცა D. **5** ოცნებაყოფით D. **6** სიტყვსა A. **7** სატანა D. **8** წწ~ელი D. **9** რაფსა D. **10** თქ~ნისა D. **11** გ~ნზრქომილი D. **12** ვითარცა D. **13** - D. **14** უზესთაჲსისა AD.

* ფსალმ. 32:10-11.

27. ისწავეთ, ვითარ უფალი იესუ იორდანეს რაჲ ნათელს-იღებდა, ვითარ სახითა ტრედისაჲთა სულიწმიდაჲ გარდამოჲდა მის ზედა.* განისწავლენით, ვითარ დიდმან მან სუეტმან ცეცხლისამან, ყოვლადგანთქმულმან ბასილი, სახე ტრედისაჲ მის შექმნა ოქროსაგან წმიდისა და დაჰკიდა საკურთხეველსა ზედა.^{xxx} და ისწავეთ, ვითარ ვითარცა სულიერსა ეზრახა ხატსა ყოვლადუხრწნელისა ღმრთისმშობელისასა¹ მეძავთაგანი იგი, სამგზის სანატრელი და ყოვლადღირსი მარიამ, და ესოდენსა თავსმდებობასა და შეწევნასა მიემთხვა მის მიერ, ვიდრემდის [139v] მიმქუმელად თჳსსა² ხატისა მის მიერ მიიყვანა ყოვლადწმიდაჲ ღმრთისმშობელი.^{xxxi}

28. ესე³ ყოველი ცანთ, გევედრები, # მეგობარნო და მძანო სასურველნო, და ყოვლად ნულარაჲთ⁴ წინააღუდგებით ჰქმმართებასა. ნუუკუე მთხრებლთა და კაპანთა⁵ ყვანებითა სიღრმედ ურწმუნოებისა შთააგდოთ⁶ თავი თჳსი და უკუნითიუკუნისამდე წარსწყმდეთ.

29. ხოლო უკუეთუ ამისცა რაღსმე თქუმად წინააღდგომით⁷ სწავლულ⁸ ხართ, ვითარმედ საშინელსა მას და განსაკრთომელსა მოსლვასა ღმრთისასა⁹ შეიძრნენ რად ძალნი ცათანი, ცად წარიგრაგნებოდის, მზე დაბნელდებოდის,¹⁰ მთოვარე უჩინო-იქმნებოდის,¹¹ ვარსკულავნი დამოცვოდინ,¹² ქუეყანა¹³ შეიწუებოდის¹⁴ და დაზულეოდის, ** ვითარ ანუ¹⁵ სადა გამოჩნდეს მაშინ ნივთიერი ესე ხატი, რომელსა აწ¹⁶ გუასწავებ ჩუენ, #¹⁷ კაცო, თაყუანისცემად, - კუალად ვიტყოდი მეცა, ვითარმედ, ვითარცა-იგი აჩრდილი შჯულისა¹⁸ წარცდა,¹⁹ ძმანო, მოსლვითა²⁰ მაღლისათა,²¹ ~~xxxii~~ ეგრეთვე ქალწულისაგან მიღებულისა რად პირმშომსა²² სახისა~~xxxiii~~ სიკეთე ღმრთეებისა ნათლითა²³ საშინელად ბრწყინვიდეს,²⁴ მაშინ ნივთიერისა ამის და ყოვლადპატიოსნისა ხატისა ხილვად²⁵ წარცდეს. ხოლო მსახურებად,²⁶ პატივი და თაყუანისცემა²⁷ რომელი ამის მიერ შეეწირეთ²⁸ ჩუენთვის განკაცებულისა ღმრთისა, არა წარწყმდეს, არამედ სასყიდელი მისგან მოვილოთ~~xxxiv~~ ჩუენ, მსმენელთა, ვითარმედ "პატივი ხატისა²⁹ პირმშომსა³⁰ მის სახისა აღიწევს".³¹ ~~xxxv~~ ამისთვის უკუე, რომელი მცირედსა³² ზედა სარწმუნო³³ იყოს, მრავალსა ზედა სარწმუნო არს.³⁴ ~~***~~

1 ღმრთისმშობელისა **A.** **2** თ~სისა **D.** **3** ეს **D.** **4** ნულარათ **D.** **5** აქედან გრძელდება **B** და **C.** **6** + თითოეულმან **CD.** **7** წინააღდგომით **C.** **8** სწავლულ **C.** **9** ღ~ისა **A,** ღ~ისსა **B.** **10** დაბნელდებოდეს **BC.** **11** უჩინო-ექმნებოდის **B.** საწყის "ე"-ს ფეხი აქვს წაშლილი. **12** დამოცვოდინ **A.** **13** ქუეყანა **D.** **14** დაიწუებოდის **BCD.** **15** ანო **B.** **16** - **A.** **17** - **BC.** **18** შჯულისა **BC.** **19** წარხდა **B.** **20** მოსვითა **C.** **21** მაღლისათა **BC.** **22** პირმშოსა **C.** **23** ნათლისა **D.** **24** ბრწყინვიდეს **A.** **25** ხილვა **C.** **26** + და **BCD.** **27** თაყუანისცემა **C.** **28** შეეწირეთ **A.** **29** ხატისა **B,** სახისა **C** **30** პირმშოსა **CD** **31** წიაღვალს **D** **32** მცირესა **A.** **33** + არს **C.** **34** "იყოს, მრავალსა ზედა სარწმუნო არს" აკლია **C-ს.**

* იხ. მათე 3:16; მარკოზი 1:10; ლუკა 3:22; იოვანე 1:32. ** მათე 24:29; გამოცხ. 6:12-14. *** წმინდა ბასილი დიდი, "სულიწმინდის შესახებ" (Περὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος; Dე შპირიტუ სანცტო), 18.45 (შდრ. ბერძნ. ტექსტი: ἡ τῆς εἰκόνης τμηρῆ ἐν τὸ πρῶτότυπον διαβαίνει); P.G. t. 32, col. 149C. **** შდრ. მათე 25:21,23; ლუკა 19:17.

30. ხოლო უკუეთუ მრავალგზის კუალადქცევითა ვიდრე მოაქამდე ჯერეთ სამეუფოვასა¹ ოდენ² ხატისათვს~~xxxvi~~ მარტოდ მოგავსენე თქუენ, ნუ დაგიკვრდების, რამეთუ ჯერ-იყო ჩუენდა, რადთა პირველად წყარო³ ხოლო უჩუენოთ წყურიელთა და ეგრეთდა ნაკადულები მისი, რომელ არიან ყოვლადსასურველნი ხატნი წმიდათანი. ვინადაცა⁴ მასვე⁵ ხატთა თაყუანისცემისა⁶ ურწმუნობასა შინა მოუქცევლად დადგრომილთათვს გამცნებ თქუენ, მართლმადიდებელთა შვილთა ეკლესიისათა,⁷ რადთა ზიარებად არა შეიწყნარნეთ იგინი, ნუცა "გიხაროდენ" ეტყუთ⁸ მათგანსა⁹ ვისმე და ნუცა¹⁰ ერთსა მათგანსა თანაადერევით,* ვიდრემდის სინანულისა მიერ მოიქცენ¹¹ მეცნიერებად ჭეშმარიტებისა.**

31. ხოლო უკუეთუ თქუან ვიეთნიმე მათგანთა ფუცვად¹² ვისდამე¹³ მიმართ უგუნურებით და განკრთომილებით, რადთა ამიერიტგან არღარა თაყუანის-სცენ¹⁴ მათ ყოველსა ხატსა, ისწავებედ¹⁵ ეგევითარნი, თუ რასა იტყვს¹⁶ ღმრთისა მიმართ წინამსწარმეტყუელი:¹⁷ "ვფუცე და დავამტკიცე დაცვად მშჯავრთა სიმართლისა შენისათა".*** ხოლო, რომელსა იგი იტყვს ესევითარი არს, ვითარმედ დაცვად მიფუცავს და დამიმტკიცებებს, ხოლო¹⁸ არადაცვად არცა მიფუცავს, არცა დამიმტკიცებებს.

32. ამას¹⁹ თანა, გონებად მოიღედ მათ დაუწყნარებელი და უცნობოქმნული²⁰ მეფეპეროდე,~~xxxvii~~ ვითარ აღსრულებითა მისითა რად-იგი ფუცა, ნივთ საუკუნოვასა²¹ ცეცხლისა იქმნა საწყალობელი იგი.~~22~~*** ვინადაცა ამათცა უხატოთა²³ უკმდა ყოვლად არაფუცვად, კაცთა ხოლო და არა ღმრთისა სათნოყოფითა, დაღაცათუ ვიდრე სიკუდიდმდე მიიწეოდა შინებდა²⁴ მათი. და დაღათუ ესე ყვეს, სინანულითა განერნენ²⁵ ჭირისა მისგან, რადთა ესევითარისა მის ცრუფიცებისა საშჯელი და საზარელებად ბრალისა, რაჟამს ესენი მოქცევითა და სინანულითა ცხონდენ,²⁶ **[140]** თავად²⁷ მიიქცეს სულთა განმბრწენელისა მის ღმრთისმბრძოლისა,²⁸ უსამართლოდმაფუცებელისა მათისა.~~xxxviii~~

33. ვინაძთგან უკუე, ვითარცა საღმრთოდ მოციქული იტყვს, "სიმშუდით ჯერ-არს განსწავლად²⁹ წინაღმდგომთად, "**** ამისთვს მცირე რადმე სიტყუადცა³⁰ ვთქუა მათდა მიმართ მიზეზითა³¹ თანაღმობისადთა.

1 სამეუფოსა CD. **2** - D. **3** ~ ხოლ **4** ვინაცა BC. **5** - BC. **6** თაყუანისც **7** ეკლესიისადთა D **8** ეტყვ BC. **9** ამათგანსა BC **10** ნუმცა C. **11** მოქცენ D. **12** ფუტუა C. **13** ვისდა D. **14** თაყუანის-ც **15** ისწავებდ AC. **16** იტყვ BC. **17** წწარმეტყველი B. **18** ამ სიტყვის მერე წყდება C **19** ამ სიტყვიდან გრძელდება C. **20** უცნობოქმნილი C. **21** საუკუნოსა CD. **22** - C. **23** უცხოთად C. **24** შინება C. **25** განერნედ BCD. **26** A-ში ეს სიტყვა არ იკითხება. **27** თავადვე BCD. **28** ღ~ისმზობ~ლისა C. **29** განსწავლა BC. **30** ს~ხაცა (?) D. **31** მიზეზთა D.

* შდრ. II იოვანე 1:10-11. ** შდრ. I ტიმ. 2:4; II ტიმ. 2:25. *** ფსალმ. 118:106. **** იხ. მათე 14:3-11; მარკოზი 6:16-28; საქმე 12:23. ***** შდრ. I პეტრე 3:15; II ტიმ. 2:25.

34. მანო, ვევედრებით¹ თქუენსა უფლისა მიერ, გნებავს-თუ, საკუთრებასა, მოვედით ყოველნი ერთბამობითთა² მასვე ზედაობითა³ კეთილისა მიერ მძლე-ვექმნეთ⁴ ბოროტსა.⁵ დაუტევეთ პირველი იგი უმეცრებითი ურწმუნოებად თქუენი და საცთური, და კედელთა ზედა და ფიცართა და სამდდელოთა ჭურჭელთა ზედა გამოხატულთა წმიდათა ხატთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა და ყოვლადუზრწნელისა ღმრთისმშობელისა, ჯორციელად დედისა მისისათა, და მათ თანა ყოველთა წმიდათა ღმრთისათასა - მამათა, მამათმთავართა, წინაღწარმეტყუელთა, მოციქულთა, მოწამეთა და მამათასა და, რომელთა-იგი მოთმინებითა ღუაწლთადთა უძლურებად დედობრივი სიმძნედ მამათა შეცვალეს, ღუაწლითმემოსილთა დედათასა, - ნუ ვითარცა ღმერთთა შევიტკობთ წარმართებითა⁶ პირუტყუებითა, რომელი-ესე წვალება არს და სულთა წარწყმედა, არამედ, ვითარცა ერთისა ღმრთისა მეგობრად განკუთნვილთა, ქრისტეანებრითა⁷ ამბორს-უყოფდეთ სიტყუერებითა, რამეთუ "სარწმუნო არს სიტყუად და ყოვლისა⁸ შეწყნარებისა ღირს",* ვითარმედ ჩუენსა, რომლისადა არს დიდება და სიმტკიცე, პატივი და თაყუანისცემად, არა ხოლო უცთომელობა არს ესე, არამედ მომატყუებელცა⁹ გვრგვნთა.

35. მოვიდაგოთ საცთურეანი¹⁰ და უღმრთოებითი შჯული ბოროტადმადიდებელთად,¹¹ რათა არა ჩუენცა მორწმუნეყოფად საგონებელ ოდენ ვიყვნეთ, ვისმინოთ ესე, ვითარმედ: "რომელმან ყოველი შჯული სარწმუნოებისა დაიცვას და ურწმუნოებდეს ერთსა ხოლო რასმე ზედა, იქმნა იგი ყოვლისავე თანამდებ",**^{xxxix} რამეთუ არა, ვითარ-იგი ვიეთნიმე ჰგონებენ, ვიდრე თაყუანისცემადმდე ოდენ დადგომითა წარწყმდების პატივი ხატთად, არამედ მერმესა მას წიაღვალს და მადლითა ღმრთისადთა¹² სასყიდელსა სარწმუნოებისასა¹³ კუალად-გუაგებს, რაჟამსიგი ღირს-იქმნენ¹⁴ გუამნი წმიდათანი განბრწყინვებად უფროდს ბრწყინვალებასა მზისასა,¹⁵**^{xl} ჩუენ ყოველთათვს მეოხებითა ყოვლადწმიდისა, უზრწნელისა, უფროდსად კურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისითა, რომლისა ყოვლადსამსახურებელსა ხატსა პატივ-ვეცით და თაყუანის-ვეცით, და ყოველთა წმიდათა, საუკუნითგან ღმრთისა სათნოყოფილთადთა, რომელთა წყლულებათა და ქრისტესმიერთა ღუაწლთა გამოხატვითა¹⁶ წმიდათა ხატთა მათთადთა თვსებით და სიყუარულით მსახურვექმნენით¹⁷ ერთსა მას არსებითა და სამსა პირებითა და გუამოვნებითა ღმერთსა ჩუენსა, რომლისადა არს დიდება და სიმტკიცე, პატივი და თაყუანისცემად, დიდებულება და¹⁸ დიდშუენიერებად პირველ ყოველთა საუკუნეთა აწ და მარადის და¹⁹ უკუნითი-უკუნისამდე,²⁰ ამენ.

1 ვევედრები CD. **2** ერთბამობისთვს BC. აქ მთავრდება ძირითადი ტექსტი B, C-ში და ჰომილიას A და D-სგან განსხვავებული დასასრული აქვს: "რათა შენ მიერ საძნაურთა ამათგან საწუთოდსათა (საწუთოსათა C) გან-ვერნეთ და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხზნეთ, მადლითა და კაცთმოყვარებითა უფლისადა ჩუენისა (ჩუენი B) იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდებადა სახიერით და ცხოველს მყოფელით სულით წმიდითურთ აწ და მარადის და საუკუნეთა (საუკუნეთად B) საუკუნეთასადა, ამინ". **3** ზაობითა D. **4** A-ში "ე"-ს ზემოთ წერია "ა", ანუ "ვექმნათ"; მძლე-ვექმნეთ D. **5** + ხოლო D **6** წარმართებრითა D. აქაც, სიტყვის თავზე, ორწერტილი ზის დაეჭვების ნიშნად. **7** ქ~ეანებრივითა D. **8** ყ~ისავე D. **9** მომტყუებელცა D. **10** საცთურიანი D. **11** ბოროტადმადიდებელთად D. **12 ღ~ისათა D. **13** სარწმუნოებისსა A. **14** ღირს-იქმნენ D. **15** მზისსა**

A. **16** გარდამოხატვითა D. **17** მსახურ-ვექმნენით D. **18** + და A. **19** + დაუსრულებელთა D. **20** ს~კნეთა საუკუნეთასა D.

* I ტიმ. 1:15 ** შდრ. იაკობი 2:10. *** იხ. მათე 13:43.

* * *

შენიშვნები

I. იგულისხმება დიდი, სააღდგომო მარხვის პირველი კვირადღე, როდესაც აღინიშნება "მართლმადიდებლობის ზეიმი" (ბერძნ. ὁ θρίαμβος τῆς Ὁρθοδοξίας). ცნობილია, რომ ხატთაყვანისცემის აღდგენასთან დაკავშირებული ეს ზეიმი დაწესდა 843 წლის 11 მარტს წმინდა "სოფიის" დიდებულ ტაძარში, რომელიც დაემთხვა დიდმარხვის პირველ კვირას (ამ კრების ე. წ. "სინოდიკი" ძველ ქართულად თარგმნილია ორგზის, რომელსაც ეწოდება "ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კოსტანტინეპოლეს შეკრებულთა, წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათვის, რომელ-ესე წარიკითხეს სოფიაწმიდას პირველსა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა"; პირველად ეს "ძეგლისწერა" ითარგმნა მეათე ს-ის გასულს წმ. ექვთიმე ათონელის მიერ, ხოლო მეორედ, უფრო ზედმიწევნით, XII ს-ში უცნობი ავტორისაგან. "ლიტურგიკულ პრაქტიკაში შენახულა ექვთიმეს რედაქცია, მეორე კი გვხვდება მხოლოდ ერთადერთ ხელნაწერში"). მას შემდეგ, ამ დღეს ეკლესია ყოველწლიურად დღესასწაულობს მართლმადიდებლობის გამარჯვებას ხატმებრძოლთა და, ზოგადად, ყველა სხვა სახის მწვალებლობაზე. გასაგებია, რომ წმინდა გერმანეს ეს ჰომილია, ზემოხსენებული მიზეზის გამო, ეკლესიებში სწორედ დიდმარხვის პირველ კვირადღეს იკითხებოდა, მაგრამ გაურკვეველი რჩება, თავად პატრიარქმა კალენდარული წლის რომელ მონაკვეთში წარმოთქვა ეს ქადაგება.

II. საღვთო საკრებულოს აღსანიშნად ამგვარი დეფინიცია ("კათოლიკე ეკლესია"; ბერძნ. ἡ καθολικὴ Ἐκκλησία) პირველად გამოიყენა ანტიოქიის რიგით მეორე (ევლიუსის შემდგომ) მწყემსმთავარმა, წმინდა პეტრე მოციქულის მოწაფემ და ხელდასხმულმა, წმინდა მღვდელმთაფამე ეგნატე ღმერთშემოსილმა (ბერძნ. ὁ ἅγιος Ἰγνάτιος ὁ Θεοφόρος; I-II სს. ხსენება 20/12 და 29/01).

კათოლიკეობა, ანუ საყოველთაოობა, მთლიანობა, მსოფლიურობა ეკლესიისა, ერთი მხრივ, მაუწყებელია როგორც მისი ამქვეყნიური ყოვლისმომცველი განვენილობისა, ისე თითოეულ მათგანში (ადგილობრივ მართლმადიდებლურ საკრებულოებში) ღვთისმყოფობის სისავსისა და მათი არსებითი ერთიანობისა. წმინდა ეგნატე სმირნელ მორწმუნეთ ამცნებს: "სადაც იქნება იესო ქრისტე, იქვეა კათოლიკე ეკლესიაც" (შდრ. ბერძნ. ὁ πῶς ἂν ἢ Χριστός Ἰησοῦς, ἐκεῖ ἡ καθολικὴ Ἐκκλησία; "ეპისტოლე სმირნელთა მიმართ", თავი VIII, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1988, გვ. 586, შენ. 2*).

ეგნატე ღმერთშემოსილის 13 ეპისტოლე XI საუკუნეში ქართულად თარგმნა დიდმა ღვთისმეტყველმა, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარმა, წმ. გიორგი მთაწმინდელმა (ტექსტები გამოაქვეყნა და გამოკვლევა დაურთო ა. ბოროდამ; დასახ. გამოცემა, გვ. 518- 624). საინტერესოა, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი მუხლი გვხვდება არა გიორგისეულ, ე. წ. "ვრცელ", ანუ გადამეტაფრასტებულ ("გამშვენებულ"; ძვ. ქართ. "გარდაკაზმულ") რედაქციაში, არამედ, როგორც მკვლევრები მიიჩნევენ, უფრო ავთენტურ, ე. წ. "საშუალო" ნუსხაში.

III. ესე იგი, ძე ღმერთისგან, საღვთო ლოგოსისგან (ბერძნ. ὁ θεῖος Λόγος), იესო ქრისტესგან, რადგან "ღმერთ იყო სიტყუად იგი" (იოვანე 1:1).

IV. ჯვრის ნიში, ძვ. ქართულად "სასწაული" (ბერძნ. σημεῖον τοῦ σταυροῦ), ეკლესიის სწავლებით, სწორედ ეშმაკეულთან ბრძოლისთვის და მისგან თავშესაფარებად მოგვეცა. სხვაგან წმინდა პატრიარქი გვასწავლის: "წმიდა არს ძლიერი ძე, რამეთუ ძლიერისა ეშმაკისა შემკრველმან დათრგუნა ჯუარითა, რომელსა აქუნდა სიმტკიცე სიკუდილისაჲ, და ცხორებაჲ და ძალი მოგუანიჲა ჩუენ დათრგუნვად მისა" (წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი "მოთხრობაჲ ეკლესიაებრივი და საიდუმლოებითი", საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2004 წლისათვის, გამომ. "ნათლისმცემელი", თბილისი, 2003, გვ. 148, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა>.

გერმანესებრ განმარტავს ჯვრის დანიშნულებას წმ. იოანე დამასკელიც: "იგია ფარი, საჭურველი და ძლევის ნიში ეშმაკის წინააღმდეგ" ("მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა", ძეგლი ბერძნულიდან

თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ, თბილისი, 2000, თავი ოთხმოცდამეოთხე, გვ. 431. შდრ. წმ. ეფრემ მცირის თარგმანი: "ესე (ჯვარი, ი. გ.) არს ფარ და საჭურველ, დასაძლეველ მტერისა").

ხატმებრძოლთა წარწერების განქიქებისას ეგვეს მოძღვრობს წმ. თეოდორე სტუდიელიც: "ამ ნიშით მოსემ (იხ. თ. მე-11, ი. გ.) ცხადად დაამხო ძალნი, შემუსრა რა მტერი. ამიერიდან ჯვარმა, მორწმუნეთა სიქადულმა, შეაჩერა სიცრუის მძლავრი ნაკადი" (P.G. ტ. 99, ცოლ. 437A). 60

ცხოველმყოფელი ჯვრის მიერ ღვთივდაცულობაზე საუბრობს საქართველოს ეკლესიის დიადი მოძღვარიც, წმინდა გრიგოლ ხანცთელი (759-861 წ.წ.). სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ღვთივგაბრძნობილი არქიმანდრიტი, მასთან შემოკრებილ კლარჯეთის მეუღაბნოეთა ძმობას ამგვარ დარიგებას უანდერძებს: "[ქრისტემ] ჯუარითა სიკუდილი დათრგუნა და ავაზაკისა თანა ყოველთა მორწმუნეთა წმიდაა ჯუარი თვისი მიანიჭა წინამძღურად და ანგელოზთა თანა წმიდათა ნიშად ქრისტეანობისა ბეჭედი იგი სამეუფოდ, რომელიცა აქუს სულსა მორწმუნეთა კაცთასა საფარველად და საცხორებელად (=საცხონებლად, ი. გ.)" (გიორგი მერჩულე, "შრომადა და მოღუაწებად ღირსადცხორებისადა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისადა"; ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, I, ძეგლები (ახალ ქართულად) თარგმნა, მოამზადა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, თბილისი, 2005, გვ. 674).

V. წმინდა გერმანე, ეკლესიის კვალობაზე, გადმოგვცემს წმინდა პავლე მოციქულის მოძღვრებას მაცხოვრის ჯვარცმით კაცობრიობისადმი საღვთო შვილობის მონიჭების შესახებ. უფლის მოციქულის სწავლებით, იესო ქრისტე სწორედ იმისთვის დაემორჩილა წყევლას, რომ ურჩობისათვის სამოთხეში ჩვენზე წარმოთქმული თავდაპირველი შეჩვენება გაუქმებინა და თავისი ცხოველმყოფელი ვნებით ადამიანი ღვთის ძედ წარმოეჩინა, როგორც ამას წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: "რაოდენთა-იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ჳელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად" (იოვანე 1:12; შდრ. "რომელმან სძლოს, მივსცე მას ესე ყოველი და ვიყო მისა ღმერთ, და იგი იყოს ჩემდა ძე").

ამგვარად განმარტავს საღვთო პავლეს ზემოდამოწმებულ მოძღვრებას (გალ. 4:4-5) ოქრომესიტყვე ეკლესიისა, წმინდა იოანე ოქროპირი (+ 407 წ.): "ვინაფთგან შჯულსა ქუეშე მყოფნი თანამდებ (=მოვალენი, ი. გ.) იყვნეს წყევლისა და დაშჯისა, ვითარცა ვერ აღმასრულებელნი მისნი, ამისთვის იგი (იესო ქრისტე, ი. გ.) თავადი (=თვითონ, ი. გ.) იქმნა შჯულსა ქუეშე, რაჟამს წინადაიცვთა, და ყოვლითურთ ადასრულა წესი შჯულისადა (=რჯულის კანონი, ი. გ.), რაფთა ვერ აღმასრულებელნი იგი გამოიქსნნეს ჯუარცუმიტა თვისითა; რომელნი-იგი... შვილებისადა მადლითა განამდიდრნა" (სამოციქულოს განმარტება II, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2006, გვ. 505).

ბერძნულ ენაში ღვთისადმი მადლისმიერი ძეობის (განსხვავებით ბუნებითი ძეობისგან) გამომხატველი ტერმინი გახლავთ "υιοθεσία" (uioθesia (uioθ = ძე), რომელიც, როგორც ეს პროფესორ ე. ჭელიძეს აქვს გამორკვეული, ქართულად სამგვარად ითარგმნებოდა: უძველესი დროიდან წმ. ეფრემ მცირის ჩათვლით როგორც "შვილებად", წმ. არსენ იყალთოელის (XI-XII სს.) ზედმიწევნითი შესატყვისით "ძეობილობად" და გელათური სკოლის (XII-XIII სს.) კალკირებული ტერმინით "მედდადებად" (იხ. ედიშერ ჭელიძე, "მართლმადიდებლური ხატმეტყველება", თბილისი, 2001, გვ. 44, 67-68).

ამასთან, ეს არის არა რაიმე ახალქმნა, არამედ იმ დასაბამიერი პატივის კვლავ აღდგენა, როგორცადაც დაიბადა პირველმადა ადამი, და რაც მცნების დარღვევით შეიბილწა, და რის დასაბრუნებლადაც საჭირო გახდა ძე ღმერთის განკაცება.

მოვუსმინოთ სარწმუნოების ხმამაღალ ქადაგს - წმინდა ბასილი დიდს: "ჩვენი ღვთისა და მაცხოვრის განგებულება ადამიანის შესახებ ესაა აღმოწოდება გაგდებულობიდან და უკუმიბრუნება ღვთის მოთვისებებაში იმ გაუცხოებიდან, ურჩობის შედეგად რომ იქმნა. ამის გამოა ქრისტეს მოსვლა ხორციით, სახარებისეულ მოღვაწეობათა აღწერილობა, ვნებანი, ჯვარი, დასაფლავება, აღდგომა, რათა ადამიანმა, ცხონებულმა ქრისტესადმი ზამვის გზით, უკუმიდილოს ის დასაბამიერი ძეობილობა" ("სულიწმინდის შესახებ", თავი 19; P.G. t. 32, col. 128D. ე. ჭელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44). მისივე თქმით, "სულიწმინდის მიერ ხდება სამოთხეში აღდგენა, ცათა სასუფეველში ასვლა, ძეობილობასთან დაბრუნება" (დასახ. ნაშრომი, თავი 15; col. 132B. იქვე, გვ. 56).

მესიის მიერ ადამიანის უცოდველობის ხარისხში განახლებას მოძღვრობს წმინდა იპოლიტე რომაელიც († 235 წ.): "და განაახლა მან ძველი კაცი და კვლავ არწმუნა მას ძეობილობის კვერთხნი" ("ღვთის გამოჩინების შესახებ"; P.G. 10, 857A. იქვე, გვ. 57). ასევე გვასწავლის ათონის ივერთა მონასტრის ილუმენი, წმინდა ექვთიმე მთაწმინდელი, მის მიერ ქართულიდან ბერძნულად თარგმნილ "ბალავარიანში": "ღვთის მხოლოდშობილი ძე... ჩვენ გამო დამკვიდრდა ქალწულში, რომ ჩვენ ცანი დაგვემკვიდრებინა, რომ ძველი ცთომილებისგან უკუვხმობილიყავით, ცოდვისაგან გავთავისუფლებულიყავით და უკუმიგველო თავდაპირველი ძეობილობა" ("ვარლამისა და იოდასაფის ცხოვრება"; P.G. 96, 861B-C. იქვე, გვ. 58).

მსგავსადვე დაბეჭდავს წმინდა სვიმეონ ლოგოთეტი (X-XI სს.) ცნობილ მეტაფრასში: "მოსასკენებელი წმიდისა და დიდებულისა მოციქულისა ქრისტესისა და მახარობელისა იოვანე ღმრთისმეტყველისაა". წმ. ეფრემ მცირის თარგმანი ამგვარად იკითხება: "მამისა საყდარსა არადამტევებელმან ქალწული დაისახლე ჩემთვის, რადთა მე ცანი დავისახლნე, ძუელისა დავრდომილებისაგან აღვემართო და ცოდვისაგან განვერე და პირველი შვილება უკუმოვილო" (ძველი მეტაფრასული კრებულები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, თბილისი, 1986, გვ. 428. P.G. 116, 685B).

სოტერიოლოგიიდან ცნობილია, რომ მაცხოვრის გამომსყიდველობითი ღვაწლით ადამიანური ბუნება გამოხსნილია ტყვეობიდან, მაგრამ თავად ეს მადლი (იგივე ძეობილობა, შვილობილობა, ძედადება) ყოველ ცალკეულ პიროვნებას ენიჭება სულიწმინდისაგან ნათლისღების ჟამს, წმინდა ემბაზიდან ამოსვლისას. უძღვები შვილის იგავის (ლუკა 15:11-32) კომენტარებისას, ასე გვამცნებს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი († 1087 წ.): "ამრიგად, ყველა ნათელდებული და ღვთის ძედ ქმნილი, უფრო კი აღდგენილი, და, მარტივად, ყველა ის, ვინც ცოდვისგან განიწმინდა, ამ «ჰამებულ ზვარაკს» ეზიარება" ("ლუკას სახარების განმარტება", P.G. 123, 957D. ე. ჭელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58).

ნათლისღების განმალმრთობელ ძალაზე ქადაგებს ოქრონექტარი ეკლესიისა, წმინდა იოანე დამასკელი, ჰომილიაში "სატფურებისათვის": "რაჟამს ღმერთი იესუ ჩემი შორის ღმერთთა მათ ნათლისღებისა მიერ შვილქმნულთა ღმრთისათა და დამცველთა შვილებისა პატივისათა დადგეს და განუყოფდეს პატივთა, ახარებდეს და იხარებდეს" (ძველი მეტაფრასული კრებულები, დასახ. გამოცემა, გვ. 219). მართლმადიდებლობის უცვალეველ სახელმძღვანელოში იგივე მამა ამგვარად მოძღვრობს: "ჩვენც მის (ქრისტეს, ი. გ.) მიერ ღვთის ძეები გავხდით, შვილებულნი ნათლისღების გზით. თვით ბუნებითი ძე ღვთისა გახდა პირმშო ჩვენ შორის, რომლებიც მონიჭებით და მადლით ვიქეციით ღვთის ძეებად და წარმოვჩნდით მის ძმებად" ("მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი ოთხმოცდამეერთე, გვ. 426).

იორდანეში აღსრულებულ მაცხოვრებელ დღესასწაულს უგალობს იერუსალიმის სახელგანთქმული პატრიარქი, წმინდა სოფრონი († 638 წ.): "ესევითარი არს ქრისტეს განსაკრთომელი ნათლისღებად, რომელსა ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს. ამას ყოველსა მოანიჭებს იგი კეთილმსახურთა, მომადლებითა მათდა შვილებისა წინდისაათა (წინდის იმიტომ, რომ იორდანის მადლმოსილება რეალურად ამოქმედდა მხოლოდ მაცხოვრის აღდგომის შემდეგ, ი. გ.), რომელ-იგი არს მტკიცე და დაუცემელ და საღმრთოდ აღავსებს მათ ღმრთივმოცემულითა ჰაეროვნებითა" ("ნათლისღებისათვის მაცხოვრისა და ზედააღდგომისათვის სარკინოზთადასა", თარგმანი წმ. არსენ იყალთოელისა, ხელნ. H 1347, 94r95v; ედიშერ ჭელიძე, "ცხოვრების აღმოცისკრება", თბილისი, 2004, გვ. 59).

ნათლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღნიშნავს ლიტურგიკული ღვთისმეტყველების დიდი მწვდომელი, წმინდა სვიმეონ თესალონიკელიც: "უწმინდესი ნათლისღება არის ახალშობაც და ახალქმნაც, განწმენდაც და განათლებაც, ძეობილობაც და ნიჭიც, სიწმინდეც და მრავალი სხვაც, რაც კი მამებს უთქვამთ" ("წმინდა საიდუმლოთა შესახებ"; P.G. 155, 221C. ე. ჭელიძე, "მართლმადიდებლური...", დასახ. გამოცემა, გვ. 61). და კიდევ: "იგი (მოსანათლი, ე. ჭ.), მოიქცა რა, შერიგებული იქნა ღმერთთან, როგორც ის უძღვები, და ნათლისღების მიერ მიდის კიდევ მალევე ძეობილობასთან და უხრწნელებასთან, - სულიწმინდის პირველ სამოსელთან, უფრო უკეთესად და უფრო უმჯობესად" (დასახ. ნაშრომი; 220D. იქვე).

ხოლო, თუ როგორ აღსრულება ეს ყოველივე "უფრო უკეთესად" და "უფრო უმჯობესად", ზედმიწევნით განგვიმარტავს ალექსანდრიის დიდი პატრიარქი, წმინდა კირილე († 444 წ.). იოანე მახარებლის ზემოციტირებული მუხლის (1:12) ეგზეგეზისას დოგმატმესრულე მოძღვარი დაასკვნის: "შეუძლებელი იყო, რომ ჩვენ, რომლებიც ვატარებდით მიწიერ ხატს, სხვაგვარად თავი დაგვეღწია ხრწნილებისაგან, თუ არ შთაინიშნებოდა ჩვენში ზეციური ხატის მშვენიერება ძეობილობისკენ ხმობის გზით, რადგან გავხდით რა ზიარებულნი მასთან

(ქრისტესთან, ე. ჭ.) სულიწმინდის მიერ, აღვიბეჭდეთ მსგავსებით მისდამი და ხატის პირმშობატისეული დასახულობისადმი, რომლისებრაც ჩვენს შექმნას ამბობს საღვთო წერილი, რადგან ძალისხმევითად ბუნების თავდაპირველი მშვენიერების კვლავ მომპოვებელნი და იმ საღვთო ბუნებისადმი კვლავ დახატულნი უფრო ძლიერები ვხდებით გარდასვლის შედეგად ჩვენდამი შემთხვეულ უკეთურებებზე" ("იოანეს სახარების განმარტება"; P.G. 73, 153A-B. იქვე, გვ. 88).

ყოველივე ნათქვამიდან გამომდინარე, დასკვნაც ერთადერთი შეიძლება იყოს: "ამრიგად, მართლმადიდებლური დოგმატით, ადამიანის ღვთისადმი მეოზილობა ხატია მისი პირმშობატის - ძე ღმერთის ბუნებითი ძეობისა" (ე. ჭელიძე, იქვე, გვ. 78), რასაც ამოწმებს წმინდა გერმანეს მიერ მოხმობილი მოციქულისეული ზემორე ციტატაც.

VI. შდრ. წმინდა იოანე დამასკელის განმარტების წმინდა ეფრემისეული თარგმანი: "წყევად შერაცხილ იყო ჯუარიცა, რომელმან ყოველნი წყევანი უჩინო-ყვნა. ხოლო თვთ არა დაადგრა წყევად, არამედ ვითარ-იგი პირველ გუელქმნილი კურთხი კულად კურთხ იქმნა (იხ. გამოსლ. 4:2-4, 7:9-12), ეგრეთვე ჯუარი წყევისაგან კურთხ იქმნა მისაყრდნობელ და განსამტკიცებელ ერისა ღმრთისა მის ზედა ტვრთვითა სიბრძნისა და ძალისა ღმრთისადათა" ("სატფურებისათვს"; ძველი მეტაფრასული კრებულები, დასახ. გამოცემა, გვ. 202).

ასევე ქადაგებს გერმანეს მეორე თანამედროვე, დიდი მოძღვარი და ჰიმნოგრაფი, წმინდა ანდრეა კრიტელი (VII-VIII სს.): "არღარა წყეულ ყოველი დამოკიდებული ძელსა, ვითარ და რომლისა სახითა, გარნა რამეთუ კურთხეულისა ძემან, იესუ ძემან ღმრთისამან წყევად ჩუენი კურთხევად ცვალა. არღარა წყეულ ჯუარი წყევისა ჯუარსა შემშქალვითა და ქრისტეს მიერ წყევისა მოსპობითა და ჩუენდა კურთხევისა ნაცვალ შემორთუმიტა" ("ჯუარისა ამაღლებისათვს"; იქვე, გვ. 313). ეგზეგეტი იქვე დასძენს: "თაყუნის-იცემებოდენ ჯუარი, რამეთუ მის მიერ კურთხევად მოვიღეთ და წყევისაგან განვთავისუფლდით" (იქვე, გვ. 315).

მსგავსადვე ღვთისმეტყველებს წმინდა გრიგოლ ნაზიანზელიც (+ 389/90 წ.წ.). მისი თქმით, მაცხოვრის განკაცება და ჯვარცმა იმისთვის აღესრულა, რათა "ძელი წმიდა-ყოს და გემოსა სძლოს და ადამ აცხოვნოს და ხატსა (ე. ი. ადამიანურ ბუნებას, ი. გ.) დაცემულსა აღმოუწოდოს" (24-ე სიტყვა, თ. 4; Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio Iberica, I, Brepols, 1998, p. 78-79;; თარგმანი წმ. ეფრემ მცირისა; ე. ჭელიძე, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, გვ. 150).

VII. მაცხოვრის მიერ შეთვისებულ ჩვენულ ხატში იგულისხმება მის მიერ მიღებული ადამიანური ბუნება თავისი ორნაწილედობით: ხილული, ანუ სხეულებრივი, და უხილავი, ანუ სულიერი თვისებებით; ამ შემთხვევაში კი, განსაკუთრებით, ხაზია გასმული ქრისტეს აღრიცხვად, აღწერად ხორციელ მხარეზე.

VIII. გარემუქწერლობა (ბერძ. τὸ ἀπεικράπτω) ღმერთის ერთ-ერთი ბუნებითი თვისებაა, განსხვავებით ნებისმიერი, თუნდაც ზეციური, ქმნილებისაგან, რომელიც უთუოდ გარემუქწერილია (ბერძნ. περιεγραμμένος). ეს ნიშნავს, რომ საღვთო ბუნება (ძვ. ქართ. "ღმრთეება"; ბერძნ. ἡ θεότης), როგორც ყოვლითურთ უნივთო და ზემატერიალური, არავისგან და არაფრისგან არ დაიტევნება, არამედ უმაღლ თავად დაიტევს ყოველივეს, "რადგან თავის თავში შემოუცავს მას მთელი არსებობა, როგორც არსების ზღვას, უსასრულოსა და უსაზღვროს" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი მეცხრე, გვ. 334; შდრ. ეფრემის მიერ თარგმნილი წმინდა დიონისე არეოპაგელის "ზეცათა მდდელთმთავრობისათვს" თხზულებაზე დართული ერთი სქოლიო: "უსაზღვრო არს ღმერთი, რამეთუ არცა ერთსა რას საზღვართაგანსა შინა შემოიწერების, არამედ იგი მხოლოდ (=ერთადერთი, ი. გ.) არს საზღვარ ყოველთა და ყოველთავე თავსა შორის თვსსა შემოასაზღვრებს"). "გარემუქწერილი არის ის, რაც შეზღუდულია ადგილით, დროითა და მწვდომელობით, ხოლო გარემუქწერელია ამ ყოველივესგან შემოუცავი. ამიტომ, გარემუქწერელი არისმხოლოდ ღვთაება, დაუსაზამოდ მყოფი, დაუსრულებელი, ყოვლის გარემომცველი და ყოველგვარი წვდომისგან გარემუქწევა. ის მხოლოა მიუწვდომელი, უსაზღვრო და არვისგან შეცნობილი, არამედ თვით არის მხოლოდ თავისი თავის მჭვრეტი" (წმ. იოანე დამასკელი, დასახ. ნაშრომი, თავი მეცამეტე, გვ. 340). "ამრიგად, გვწამს ერთი ღმერთი... უსასრულო, გარემუქწერელი, შემოუსაზღვრელი" (იქვე, თავი მეოთხე, გვ. 327).

მაგრამ, რაც "უკუნანადსკნელთა ამათ დღეთა" (ებრ. 1:2) ძე ღმერთმა "თავი თვსი დაიმდაბლა და ხატი მონისად მიიღო, და მსგავს კაცთა იქმნა" (ფილიპ. 2:7), ანუ თავისსავე საღვთო ჰიპოსტასში მთლიანად შეაგვამოვნა ადამიანური ბუნება (ძვ. ქართ. "კაცება"; ბერძნ. ἡ ἀνθρωπότης) - შეურევლად, გარდაუქმნელად, განუყოფლად, მას შემდეგ ერთი და იგივე პიროვნება - იესო ქრისტე - გარემუქწერელიც არის და გარემუქწერილიც, "რამეთუ პირველი იგი (ღმრთეება, ი. გ.) აუგებელ (=შეუქმნელი, ი. გ.) არს, ხოლო მეორე (კაცება, ი. გ.) - აგებულ

(=შექმნილი, ი. გ.)" (წმ. იოანე დამასკელი, "სატფურებისათვის"; დასახ. გამოცემა, გვ. 201). ამიტომ, "იგივე ყოვლისა მპყრობელ, ვითარცა ღმერთი მამისა თანა და სულისა, იგივე მორჩილ მამისა კაცობრივითა თვთმფლობელობითა ნებისადათა, ვითარ-იგი იქმნა კაც, იგივე ჯუარსა ზედაცა და საყდართა შინა მამულთა" (იქვე).

ამგვარადვე ვაღიარებთ მაცხოვრის ორ შობას - ერთს ღმრთეებით, საუკუნეთა უწინარეს, უჟამოდ და დაუსაზამოდ, მამისაგან დედის გარეშე, და მეორეს კაცებით, "ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ" (გალ. 4:4), დედისაგან მამის გარეშე. ამიტომ, ქრისტე "ღმერთადაც ითქმის და ადამიანადაც, ქმნილადაც და უქმნელადაც, ვნებულადაც და უვნებლადაც" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი ორმოცდამეორე, გვ. 385).

"ამასთან, - დაასკვნის დიდი მოძღვარი, - განვწყესებთ, რომ დაცულია მათი (ქრისტეს ორი ბუნების, ი. გ.) არსობრივი განსხვავება, რადგან ქმნილი დარჩა ქმნილად და უქმნელი - უქმნელად. ასევე, მოკვდავი დარჩა მოკვდავად (ცხადია, პირობითად, თუკი უფლის ადამიანურ ბუნებას, მოაზრებითად, გამოვეყოფთ მისივე ჰიპოსტასისგან, რაც, ჭეშმარიტი სწავლებით, მარადიულად და განუყოფლად შეიერთა ძე ღმერთმა, ი. გ.) და უკვდავი - უკვდავად, გარეშეწერილი - გარეშეწერილად და გარეშეუწერელი - გარეშეუწერლად, ხილული - ხილულად და უხილავი - უხილავად, «და ერთი მათგანი ბრწყინავს საკვირველებებით, ხოლო მეორემ თავს იდო გინებანი»" (იქვე, თავი ორმოცდამეშვიდე, გვ. 384).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანუ მაცხოვრის პიროვნების განუმეორებლობისა და ერთადერთობის გათვალისწინებით, აღარ მოგვეჩვენება კაზუსტიკად შემდეგი დებულების მტკიცება: "ამრიგად, ხორცქმნილი გახდა სიტყვა და არ განმდგარა იგი საკუთარი უნივეთობისგან; ხორცქმნილი გახდა იგი, მთლიანი და მთლიანივე არის გარეშეუწერელი. სხეულებრივად მცირდება და ვიწროვდება იგი, ღვთაებრივად კი გარეშეუწერელია, არ განივრცობა რა მისი ხორცი მისი ღმრთეების გარეშეუწერლობასთან ერთად" (იქვე, თავი ორმოცდამეთერთმეტე, გვ. 390).

IX. ელინი (ბერძნ. "Ελλην") პირდაპირი აზრით აღნიშნავს ეთნიკურ ბერძენს, მაგრამ უწმინდესი გერმანე (ისევე, როგორც ყველა სხვა საეკლესიო მწერალი) ამ სიტყვაში პაგანიზმს გულისხმობს და, ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, "ელენს" წარმართისა და კერპთაყვანისმცემლობის მნიშვნელობით იყენებს.

X. აქ გადმოცემულია მართლმადიდებლური მოძღვრება ძე ღმერთის განკაცების შესახებ, რაც საბოლოოდ გაფორმდა ქალკიდონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 451 წელს. ამ სწავლებით, მაცხოვრის ერთ ჰიპოსტასში (გვამოვნებაში) შეერთებულია ორი - ღვთაებრივი და ადამიანური - ბუნება ყოველგვარი შეზავება-შეთქვეფისა და ცვალებადობაგარდაქმნის გარეშე, რადგან, როგორც ითქვა, "დაცულია მათი არსობრივი განსხვავება" (იხ. შენ. VIII).

ქრისტეში ბუნებათა მიმართების დოგმატს განმარტავს დამასკელი მამა: "არა განვწყოფ შეურევნელთა, არა შევარწყუამ განუყოფელთა, რამეთუ თანად ორითავე ღმერთ არს და თანად ორითავე კაც" (წმ. იოანე დამასკელი, "სატფურებისათვის", დასახ. გამოცემა, გვ. 201). ხოლო განყოფილნი არიან რა თავიანთი ბუნებითი თვისებებით, ამავე დროს, განუყოფლად ჰგიენ ერთ საღვთო გვამოვნებაში. ამიტომ, "ქრისტეს ბუნებანი შეურევლად შეერთებულნი არიან ჰიპოსტასის მიხედვით, მაგრამ განუყოფლად განყოფილნი - განსხვავების ნიშნით და გვარით" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი ორმოცდამეთორმეტე, გვ. 390).

XI. ეგევე არგუმენტს მიმართავს გერმანე თომა კლავდიოპოლელისადმი მიწერილ ეპისტოლეში (P.G. 98, col. 173D); ასევე, წმ. იოანე დამასკელიც: პირველ "სიტყვსსაგებელში" (P.G. 94, col. 1240B. თარგმნილია წმ. ეგრემ მცირის მიერ: "სიტყუად სიტყვსსაგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა. თავი ა."; ხელნ. A 674, S 4933, Q 652, ქუთ. 8), მესამე "სიტყვსსაგებელში" (P.G. 94, col. 1356A) და "გადმოცემაშიც" ("მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი ოთხმოცდამეთხე, გვ. 432).

XII. სიწმინდეების შემლესველობა აქ უბრალო მეტაფორად არ არის მოხმობილი. ცნობილია, რომ ხატმებრძოლები წმინდა გამოსახულებების ყოველგვარ გამოვლინებას გააფთრებით ებრძოდნენ. გარდა საკუთრივ ხატებისა, იწვებოდა მინიატურებით გამშვენებული უძველესი ხელნაწერები, ნადგურდებოდა მოჭიქული საეკლესიო ჭურჭელი და მოხატული შესამოსელი და, რა თქმა უნდა, ილესებოდა ძველი ეკლესიის აღმსარებლობის ყველაზე უტყუარი საბუთი - ტაძრის კედლები. სამლოცველოებში ძველი და ახალი აღთქმის

ისტორიის ამსახველ ეპიზოდებს არაბესკების, ფლორისა და ფაუნის მხატვრობით ანაცვლებდნენ (ოდნავ ზემოთ თავად გერმანე აღნიშნავს ერეტიკოსთა ამ მიდრეკილებას). "ისე რომ, მართლმადიდებელთა მწარე ირონიით, ეკლესია «გამწვანებულ დახლს და ჩიტების გამოფენას» დაემსგავსა" (А. В. Карташев. Вселенские Соборы; Клион, 2002, ст. 600).

XIII. წმინდა გერმანეს მხედველობაში აქვს ბერძნული ანბანის ასო "თ" (ტაუ), რომელიც, თავისი ფორმით, ძალიან ჰგავს ჯვარს. სლავურ თარგმანში ეს პასაჟი არ არის (იხ. Баранов В. А. დასახ. გამოცემა, გვ. 166-167).

XIV. წმინდა გერმანე ხაზს უსვამს ყოველივეს ღვთის თავისუფალი ნებით შექმნილობას. არა რაიმე იძულებისა და საჭიროებისთვის ინება შემოქმედმა სამყაროს დაბადება, "არამედ სიკეთის სიჭარბის გამო ისათნოვა მან იმგვართა შექმნა, რომლებიც მიმღებნი იქნებოდნენ მისი ქველმოქმედებისა და წილმქონენი – მისი სიკეთისა" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი მეთექვსმეტე, გვ. 343).

ცხადია, ღმერთში ყველა თვისება თანადროულია და ერთმანეთის თანახმიერია, რადგან "ღვთაება მარტივია და შეუდგენელი. შედგენილი ისაა, რაც მრავალთა და განყოფილთაგან შემდგარა... შედგენილობა ხომ წინააღმდეგობის სათავეა, წინააღმდეგობა – დაპირისპირებისა, ხოლო დაპირისპირება – დაშლისა, ღვთისათვის კი დაშლა სრულიად უცხოა" (იქვე, თავი მეოთხე და მეცხრე, გვ. 324, 334). "მაგრამ, პირობითად, სამყაროს შექმნის საფუძველდამდებია არა უშუალოდ უსაზღვრო სიბრძნე ღვთისა ანდა უსაზღვრო ძლიერება, არამედ უმაღლესი ნება, განზრახვა მისი... მართლაც, ქრისტიანულ მწერლობაში.....ნება, ანუ განზრახვა ღვთისა, ქმნილი სამყაროს "არსებად" წარმოჩნდება. მთელი "დაბადება" არის "საქმედ" ქცეული, გასაგნებული, განივებული განზრახვა ღვთისა. კლიმენტი ალექსანდრიელი (დაახლ. 140-214 წ.წ.) შენიშნავს: "მისი (ღვთის, ე. წ.) ნება საქმეა და მას სამყარო ეწოდება". იმავე ავტორის თქმით, "მხოლოდ მისი (ღვთის, ე. წ.) განზრახვა სამყაროს შექმნა.....უბრალოდ, განიზრახავს იგი და ქმნის და მხოლოდ მის ნებელობას მოსდევს ქმნადობა" (ედიშერ ჭელიძე, წმინდა გრიგოლ ნოსელი და მისი თხზულება "პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის", საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1989, კომენტარი #33, გვ. 271).

ამიტომაც, წმინდა გრიგოლ ნოსელის მიერ, არსებობის დასაბამიერ მიზეზთაგან, პრინციპთაგან, პირველად სწორედ ნება დასახელებული: "ნება და სიბრძნე და ძალი და არსება არსთა" ("პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის", თარგმანი წმ. გიორგი ათონელისა; იქვე, გვ. 204).

შესაქმისას საუფლო ნებელობის უწინარესობას ნათელყოფს საბაწმინდელი მღვდელმონაზონიც: "ამიტომ, თითოეული მათგანი (ანუ ქმნილებათაგანი, ი. გ.) იქმნება წინასწარგანსაზღვრულ ჟამს, თანახმად ღვთის ნებელობითი, უჟამო მოაზრებისა, რაც არის წინასწარგანსაზღვრულობა, ხატი და ნიმუში" (წმ. იოანე დამასკელი, დასახ. ნაშრომი, თავი მეცხრე, გვ. 334). და კიდევ: "შესაქმე - ესაა ნებელობის საქმე და იგი (შესაქმე, ი. გ.) არ არის თანამარადიული ღვთისა" (იქვე, თავი მერვე, გვ. 329).

ამასთან, საღვთო ნება უიგივდება საკუთრივ ძე ღმერთს, ღვთაებრივ ლოგოსს. კლიმენტი გვასწავლის: "ლოგოსი ღვთისა, უფლის მარჯვენა, ყოველთა ძალი, ნება მამისა" (ე. წელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 271). ამასვე მაუწყებლობს კაპადოკიელი მნათობი, წმინდა ბასილი დიდის, ნაშრომში "ექუსთა დღეთად": "საღმრთო ნება და პირველი წამი გონიერისა აღძრვისადა, ესე არს სიტყუად ღმრთისადა" (თარგმანი წმ. გიორგი ათონელისა; იქვე, გვ. 271-272). ეგევს მოძღვრობს წმინდა ათანასე დიდი ალექსანდრიელიც († 373 წ.): "არ უნდა იყოს საეჭვო, რომ სწორედ იგი (ლოგოსი, ი. გ.) არის მამის ცხოველი ნება" (Oratio II, 2 contra arianos – P.G. 26, 149; იქვე, გვ. 272).

ნისის გაბრძნობილი ეპისკოპოსი, გრიგოლი, ასე განსჯის: "ვკგონებ, ვითარმედ ამისი ჯერ-არს აღსაარებად სიტყუასა შინა ჩუენსა, რამეთუ ღმრთისა ბუნებასა შინა ნებასა თანა ძლიერებად შეერთებულ არს და საზომ საღმრთოდას ძლიერებისა ნებად მისი იქმნების. და ნება სიბრძნე არს" ("პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის", იქვე, გვ. 204). ხოლო ეკლესიის ხუროთმოძღვარ პავლეს სწავლებით, სიბრძნე და ძლიერება (და, ამდენად, ნებაც) მამისა არის მხოლოდმობილი ძე ღმერთი (შდრ. I კორ. 1:24). ამგვარად, "რაც შესაბამეა მიზეზოვან, შობილ ძეს, სიტყვას, წინადაწყებლობით ძალას, ნებელობას და სიბრძნეს, მისადმი უნდა იქნეს განკუთვნილი" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური სარწმუნოების...", დასახ. ნაშრომი, თავი მეთორმეტე, გვ. 338).

ამდენად, გვესწავლება, "რომ ყოველივეს, რასაც მამა აკეთებს, მისი მხოლოდმობილი ძის მიერ აკეთებს" (იქვე, თავი მერვე, გვ. 330-331. შდრ. "რაოდენსა-იგი მამად იქმს, მას ძე ეგრეთვემსგავსად იქმს"), რადგან "ყოველივე

მის მიერ შეიქმნა, და თვნიერ მისა არცა ერთი რად იქმნა, რაოდენი-რად იქმნა" (იოვანე 1:3). საკუთრივ ქრისტიანულ ლიტერატურაში ამგვარი ეგზეგეზა სათავეს იღებს ჯერ კიდევ II საუკუნიდან, დიდი მღვდელმთავრის, წმინდა თეოფილე ანტიოქიელის (+ 180-იანი წ.წ.) მიერ (იხ. მისი "სამი წიგნი ავტოლიკესადმი", II წიგნი, X თავი; P.G. 6, 1064-1065C-B). ლოგოსსავე მიაკუთვნებს ყოფიერების შექმნას წმინდა გრიგოლ ნოსელიც: "სიტყუად ღმრთისად საქმე არს და ყოველივე დაბადებული სიტყვთა მისითა დაიბადებს" ("პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს", დასახ. გამოცემა, გვ. 207).

ამასთან, სამყაროს დაბადებისას სამივე საღვთო ჰიპოსტასის თანამოქმედება, წმინდა მამათა მიერ, ამოკითხულია ბიბლიის პირველსავე მუხლში, "რადგან ერთი და იგივეა (ანუ იგივეა და არა მსგავსი) მამის, ძის და წმინდა სულის ნებელობა, მოქმედება და ძალა" (წმინდა იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი ოთხმოცდამეთერთმეტე, გვ. 447). ამიტომაც, განაჩინებს წმინდა კათოლიკე ეკლესია: "ხოლო ქმნის იგი (მამა ღმერთი, ი. გ.), მოიაზრებს რა, და მოაზრებული საქმედ არსდება, სიტყვით (ძე ღმერთით, ი. გ.) აღსრულებული და სულით (სულიწმინდა ღმერთით, ი. გ.) განსრულებული" (იქვე, თავი მეთექვსმეტე, გვ. 343. შდრ. წმ. ეფრემ მცირის თარგმანი: "ხოლო დაჰბადა რად, მოიგონნა და მოგონებად იგი იყო სიტყვთა აღსრულებული და სულითა სრულქმნილი". შდრ. მისივე თარგმნილი სქოლიო ზემოხსენებულ არეოპაგიტულ ძეგლზე: "«მამითმოდრავ» უწოდს (წმინდა დიონისე არეოპაგელი, ი. გ.) ნათელთსაჩინოებასა მამისა მიერ შობისათჳს ძისა, რომლისა მიერ შეიქმნა ყოველი და მამისაგანვე გამომავლობისათჳს სულისა წმიდისა, რომლითა სრულ-იქმნა ყოველი").

ამგვარად, ყალიბდება შეურყეველი და შეუცვლელი მართლმადიდებლური დოგმატი, რომ ხილულისა (მატერიალურისა) და უხილავის (არამატერიალურის) არარსებობიდან არსებობაში შემოყვანა განეგება ღმრთეების თავისუფალი ნებით მამისაგან ძის მიერ სულიწმინდაში, რასაც თანაშეერთვის კიდევ წმინდა გერმანე პატრიარქის ზემორე სწავლება.

XV. იგულისხმება ზეციური ანგელოზის ქანდაკებები, რომლებიც მოსემ, ღვთის ბრძანებით, ორივე კუთხით დაადგა თავზე რჯულის კიდობანს. წმინდა დიონისე არეოპაგელის სწავლებით (რაც შეწყნარებულია ეკლესიის მიერ), ქერუბიმები (ბერძნ. χερουβ εβრ, חַרְוּב, "ქერუბ"; მრ. ῥ τὰ χερουβίν, τὰ χερουβίμ. ებრ. מַיְחַוּב, מַיְחַוּב, "ქერუბიმ") ანგელოზურ იერარქიაში ზემოდან მეორე (სერაფიმთა შემდგომ) დასში არიან განჩინებულნი ("ზეცათა მღვდელთმთავრობისათჳს", წმ. ეფრემ მცირის თარგმანი, შრომები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბილისი, 1961, გვ. 118; ასევე, წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი მეჩვიდმეტე, გვ. 345). ქერუბიმი წმინდა წერილში ნახსენებია: გამოსლ. 25:18, 19, 22, ებრ. 9:5 და სხვა.

ამავე ანგელოზთა ხელითქმნილობაზე აქვს აქცენტი დასმული იოანე დამასკელსაც: "და კუალად, ქერობინი იგი, მაგრილობელი სალხინებელისად, ანუ არა ჳელითა კაცთადთა ქმნულ იყოა?" ("მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, წმ. ეფრემ მცირის თარგმანი, თავი პო, გვ. 263).

XVI. იგულისხმება ძველი აღთქმა (ბერძნ. ἡ Παλαιὰ Διαθήκη).

XVII. იგულისხმება ახალი აღთქმა (ბერძნ. ἡ Νέα Διαθήκη).

XVIII. იგულისხმება ლიტურგიკული, ევქარისტიული პური, ანუ სეფისკვერი (ბერძნ. προσηφωρά, ἀντίδωρον), რომელზეც აღსრულება პურის საღვთო ხორცად გადაქცევის უდიდესი საიდუმლო.

თავის სხვა ძეგლში წმინდა მღვდელმთავარი სულიერად განმარტავს შესაწირი პურის მნიშვნელობას: "წმინდაქმნილი «პური წინადაგებისა» ასაჩინოებს სოფლის განწმენდასა და საღვთო გულმონწყალების აუწყავ სიმდიდრეს, რაც მამინ გაცხადდა, როდესაც ხორცი შეისხა ღვთის ძემ, რომელმაც თვითვე თავისი თავი მსხვერპლად და შესაწირავად წინადაგო" (წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, "საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ჳვრეტა", თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, II, თარგმანი ედიშერ ჳელიძისა, თბილისი, 2004, გვ. 66).

XIX. იგულისხმება სამადლობელი, ანუ ევქარისტიული ლოცვა, ე. წ. "ეპიკლეზისი" (ბერძნ. ἐπίκλησις; ძვ. ქართ. "გარდამოწყევად"; ბერძნ. ზმნიდან ἐπικαλέω - "მოუწოდებ, მოუხმობ"), რასაც ღვთისმსახური ჳმისწირვისას საიდუმლოდ ადავლენს სულიწმინდის მიერ პურისა და ღვინის გარდასაქმნელად.

XX. ყოვლადუსამღვდელოესი გერმანე შეგვაძევენებს: "ბარძიმი სანაცვლოა იმ ჭურჭლისა, რაშიც შეგროვდა უხრწნელი გვერდიდან გადმოდენილი სისხლი, აგრეთვე, ქრისტეს ხელთა და ფეხთაგან ჩამოდვრილი წმინდა მრონი. "ტაკუვი" არის გამოსახსნელი სასმისი, რაც უფალმა უბოძა მის მოწაფეებს სერობის ჟამს. ზოგჯერ ბარძიმი ნაცვალა ტაკუვისა. მასში ღვთის ძემ და "სიბრძნემ" ღვინის ნაცვლად თავისი სისხლი განაზავა, შემდეგ წმინდა ტრაპეზზე დადგა იგი და ეს თქვა: განზავებული ღვინის წილ «აქედან სვით ყველამ, მისატევებლად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ» (შდრ. მათე 26:27-28; მარკოზი 14:23-24; ლუკა 22:20). "ტაკუვი" განიმარტება, აგრეთვე, როგორც ღვთისმშობლის სასძეურები, ან კიდევ, როგორც მხსნელი სასმისი სიხარულისა ანდა, როგორც მოკვდავთა მფარველი" ("საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ჭკრეტა", დასახ. გამოცემა, გვ. 67).

XXI. შესაძლებელია, წმინდა გერმანეს მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რაც რომის პაპის, წმინდა გრიგოლ II, მიერ არის აღწერილი 727 წელს იმპერატორ ლეონ III ისავრიელისადმი საპასუხოდ გაგზავნილ წერილში.

რომის მწყემსმთავარი იუწყება, რომ აქამდე ის კეთილსინდისიერად ცდილობდა, დაეცვა იმპერატორის პრესტიჟი და განედიდებინა მისი სახელი დასავლეთის მმართველთა თვალში; "ამიტომაც, შენს პორტრეტებსაც ისინი იღებდნენ იმგვარივე ღირსებით, როგორსაც, ჩვეულებრივ, პირისპირ შეხვედრისას განუკუთვნებენ ხოლმე ერთმანეთს მეფეები". თუმცა, მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც ლეონმა აშკარად დაიწყო ხატების დევნა.

კერძოდ, წმინდა მამა გულისხმობს სამეფო ქალაქში, ხალკუპრატის ("ბრინჯაოს ბჭის") მოედანზე, მაცხოვრის სასწაულთმოქმედი ხატის (ბერძნ. Ἀντιφασγητής; წმ. ეფრემით "თავსმდეები"; შდრ. რუს. Поручитель, Ответчик; საეკლ.-სლავ. Споручник) ჩამოგდებას. როგორც ჩანს, ეს იყო ჯვარცმა (რასაც გრიგოლ პაპი "სტატუა"-ს, იოანე ზონარა (XII ს.) "გამოჭედილ გამოსახულებას", ხოლო გიორგი კოდინი (XV ს.) "რვალის სტელას", ანუ "ბრინჯაოს ქანდაკებას" უწოდებენ), რომელიც ბჭის თავზე აღმართა მორწმუნე ბიზანტიელმა ვაჭარმა, თეოდორე მენავემ, მძიმე ვალისგან, უფლის შემწეობით, თავდახსნის სამადლობელად (მის შესახებ იხ. წმ. ეფრემ მცირის თარგმნილი "თხრობაჲ სულთა სარგებელი"; A 162, 125v-132v).

იმპერატორმა ლეონმა მის ჩამოსახსნელად გაგზავნა სპათაროკანდიდატი (მეფის საჭურველთმტვირთველი და პირადი დაცვის უფროსი) იობინე, რომელმაც კიბე მიადგა კარებს და ნაჯახის დარტყმით სცადა ერთმანეთისგან მოეშორებინა ქრისტეს გამოსახულება ჯვრისაგან. ეს კი უკვე ვეღარ მოითმინეს მორწმუნეებმა; გამოაცალეს მას კიბე და კიდევ რამდენიმე გვარდიელთან ერთად იქვე ლინჩის წესით გაასამართლეს. ამ მოვლენებს პირველი მოწამებრივი სისხლის დაღვრა მოჰყვა. ბასილევსის ბრძანებით "მეამბოხე" ცხრა საერო პირი და ერთი ბერი, თეოდოსი, სიკვდილით დასაჯეს, ხოლო "თავსმდეები" ჯვრით შეცვალეს. რომის პაპი განაგრძობს: "აქ (ე. ი. მოედანზე, ი. გ.) იმყოფებოდნენ მოვაჭრეები რომიდან, საფრანგეთიდან, ვანდალთაგან, მავრიტანიიდან, გოთებიდან, ერთი სიტყვით, დასავლეთის ყველა შიდა ქვეყნიდან. დაბრუნდნენ რა სამშობლოში, ყოველმა მათგანმა თავის ქვეყანაში მოჰყვა შენი ბავშვური საქციელების შესახებ. მაშინ ყველგან დაიწყეს შენი პორტრეტების მიწაზე დანარცხება, ფეხებით გათელვა და შენი სახის დამახინჯება" ("რომის პაპ გრიგოლის პირველი ეპისტოლე იმპერატორ ლეონ ისავრიელისადმი წმინდა ხატთა შესახებ"; Деяния Вселенских Соборов; Т. IV. Казань, 1908. С. 326-327).

ცნობილია, რომ 732 წელს, იმპერიის ძველი დედაქალაქის დასამორჩილებლად იმპ. ლეონ ისავრიელმა ფლოტიც კი გაგზავნა, მაგრამ ის შტორმმა იმსხვერპლა ადრიატიკის ზღვაში.

მოგვიანებით, VII მსოფლიო კრების (787 წ.) შემდეგ, "თავსმდეები" ძველ ადგილზე აღადგინა წმ. ირინე დედოფალმა (780-802 წ.წ.), როგორც მიიჩნევენ, ასევე სკულპტურული სახით. ხატმებრძოლობის მეორე ტალღის დროს ის ხელახლა ჩამოხსნეს. საბოლოოდ, ცნობილი ხატმწერის, წმ. ლაზარეს (დაახლ. † 857 წ.), მიერ შესრულებული Ἀντιφασγητής-ის უკვე ფერწერული ხატი 843 წლის "მართლმადიდებლობის ზეიმის" შემდეგ აღმართეს.

უნდა აღინიშნოს, რომ რომის იმპერიაში იმპერატორის გამოსახულება (ისევე, როგორც მისი პიროვნება) საკრალურ საგნად ითვლებოდა და მისი შეურაცხყოფელი სიკვდილით ისჯებოდა. მაგ., თუკი მონას ხელში მეფის პორტრეტით დამშვენებულიმონეტა ეჭირა, განრისხებულ ბატონს მისი ცემა არ შეეძლო, სანამ მონეტას არ წაართმევდა.

უკვე ლეონის შვილის, მართლმადიდებელთა ულმობელი მდევნელის, იმპერატორ კონსტანტინე V კოპრონიმის (ძვ. ქართ. "სკორე") მეფობისას მოხდა წმინდა სტეფანე ახალთან დაკავშირებული გახმაურებული შემთხვევა. მისი

ჰაგიოგრაფიიდან ვიცით, რომ ხატთაყვანისცემის დიდი მესვეტე განსაკითხად მეფეს მიჰგვარეს, სადაც მოწამემ უშიშრად განაცხადა: "როგორ სასჯელს დავიმსახურებდი მე, თუკი იმპერატორის გამოსახულებიან მონეტას მიწაზე დავაგდებდი და ფეხებით გავთელავდი? აქედან შეგიძლია დაინახო, როგორ სასჯელს იმსახურებენ ისინი, რომლებიც ხატებზე შეურაცხყოფენ ქრისტესა და მის წმინდა დედას" (A. B. Карташев. დასახ. ნაშრომი, გვ. 602). თანაც, წმინდა სტეფანემ სიტყვით თქმული საქმით აღასრულა; კონსტანტინეს სახით გამოჰქედილი მონეტა იატაკზე დააგდო და ფეხებით შედგა. მარტვილი ჯერ დააპატიმრეს, ხოლო 767 წლის 28 ნოემბერს კონსტანტინეპოლის ქუჩებში სასტიკი წამებით მოკლეს.

XXII. "ამ სიტყვებით მოესწავება ძელი ჯვარისა, რომელსაც დაემსჭვალა უფლის სხეული" (წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, "საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ჭკრეტა", დასახ. გამოცემა, გვ. 66).

XXIII. რთულია, დანამდვილებით ითქვას, რას გულისხმობდნენ ამ არგუმენტში ხატმებრძოლები – შესაძლოა, რომელიმე თანავარსკვლავედს, რომელიც, თავისი ფორმით, ჯვარს მოგვაგონებდა, ანდა (რაც უფრო სავარაუდოა), საეკლესიო ისტორიით ცნობილ, ზეცაში გამოჩინებულ მბრწყინავ ჯვრებს: რომთან ახლოს, მულვიუსის ხიდთან, 312 წელს, წმინდა კონსტანტინე დიდის (306-337 წ.წ.) მმართველობისას (იხ. ემაოსი, #2, თბილისი, 2004, გვ. 15-21; ასევე, წმ. კირილე იერუსალიმელის ავტორობით ცნობილი ჰომილია - "გამოჩინებად ჯუარისაჲ, რომელი გამოუჩნდა კონსტანტინე მეფესა მდინარესა ზედა დანუბსა", სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1959, გვ. 237-243; კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მაგალობლიშვილმა, თბილისი, 1991, გვ. 347-352; უდაბნოს მრავალთავი, ა. შანიძის და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი, 1994, გვ. 108-109) და იერუსალიმში 351 წლის 7 მაისს, გოლგოთიდან ელეონის (ზეთისხილის) მთამდე გადაჰიმულს, წმინდა კირილე იერუსალიმელის (+ 386 წ.) მღვდელმთავრობისას (იხ. მისი "გამოჩინებისათვის ჯუარისა, რომელი იქმნა წმიდასა შინა ქალაქსა იერუსალემს მეფობასა კონსტანტინესაჲ, A 38, 480-482; P.G. 33, col. 1165-1166).

სხვათა შორის, კონსტანტინე მეფის სვინაქსარულ საკითხავში ვარსკვლავთა შესახებ მსგავს სიტყვებს ვკითხულობთ: "მსგავსად დიდისა პავლესა წოდებამ ზეგარდამო მოილო (კონსტანტინემ, ი. გ.), რამეთუ ცათა შინა ეჩუენა მას სახე პატიოსნისა ჯუარისაჲ, წერილი (=გამოსახული, ი. გ.) ვარსკულავთა მიერ" ("დიდი სვინაქსარი", წმ. გიორგი ათონელის თარგმანი, საქართველოს საეკლესიო კალენდარი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის წმ. დავით აღმაშენებლის ტაძარი, 2003, გვ. 110).

XXIV. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ანალოგიურად გვასწავლის წმინდა გერმანე სხვა თხზულებაშიც: "ეკლესია არის ცა მიწაზე, რომელშიც ზეციური ღმერთი სახლობს და მიმოდის" ("საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ჭკრეტა", დასახ. გამოცემა, გვ. 60. შდრ. ორი ძველი ქართული თარგმანი: "ეკლესიაჲ არს ცათა შინა მყოფი ღმერთი" ; და უფრო მოგვიანო დროის უცნობი ავტორის თარგმანი: "ეკლესიაჲ არს ქუეყანისა-ზედაჲ ცაჲ, რომლისა შორის და რომელსა შინა ზეციერი ღმერთი მკვდრობს და სლვასა ჰყოფს").

XXV. ამ თავში ტექსტი, ზოგადად, ბუნდოვანია. ალბათ, აქ იგულისხმება ზემოგანხილული ზეცაში გამოჩინებული ჯვარი, რომელიც თავისი ზენახილვადობის გამო ყველასგან სარწმუნო იყო, განსხვავებით ამქვეყნად არსებული და ერთმანეთის მსგავსი მრავალი ხატისა და ჯვრისაგან. ოდნავ ქვემოთ გერმანე ხატების გათიშვანცალკეებაზე საუბრობს, რაც გვაგულვებინებს ჩვენეული ვარაუდის მართებულობას.

XXVI. ბელიარი, იგივე ბელიალი (ებრ. בֵּלְיָא, beliyya'al; ბერძნ. Βελιάρ) – დაცემული ნათლის ანგელოზის, სატანის, ემშაკის ერთ-ერთი სახელი. იუდაისტურ და ქრისტიანულ ლიტერატურაში დემონური არსება, სიცრუისა და ნგრევის სული. საღვთო წერილში იხსენიება მხოლოდ ერთგზის წმინდა პავლე მოციქულის მიერ (იხ. II კორ. 6:15).

ქართულ მწერლობაში "ბელიარი" დამოწმებულია, მაგალითად, წმინდა გრიგოლ ხანცთელის "ცხოვრებაში". იქ, სადაც საუბარია წმინდა მიქელ პარეხელის (IX ს.) წინააღმდეგ "მტერი ემშაკის" მოწყობილ მანქანებზე, გიორგი მერჩულე გვაუწყებს: "ხოლო იყო ჟამსა რომელსამე მამად მიქელ განშორებულად სენაკსა თვსსა, მდგომარე მადალსა კლდესა ზედა მცირედ-რამდე უდბად (=მცონარედ, ე. ჭ.), და კადნიერ-იქმნა მის ზედა ბელიარ და სიმადლისა მისგან გარდამოაგდო ქუე" (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, დასახ. გამოცემა, გვ. 574).

ასევე, ღირსი ექვთიმე მთაწმინდლის სვინაქსარულ "ცხოვრებაში" ვკითხულობთ: "მბრძოლი იგი წმიდათა და მოშურნე კაცთა ცხოვრებისა ბელიარ, ხედვიდა რად წყაროსა მას უკუდავებისასა აღმომდინარესა პირით მისით (ექვთიმე ათონელის, ი. გ.), რომელ არს თარგმანებად წიგნთა საღმრთოთადა, განიხერხებოდა და განიკებოდა შურითა ბოროტითა" (ძველი ქართული მწერლობის ოთხიძეგლი; ე. გაბიძაშვილი, ექვთიმე მთაწმინდლის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია, თბილისი 1965, გვ. 64)

XXVII. სატანა (ბერძნ. Σατανᾶς) - ეშმაკის, დაცემული ანგელოზის, ლუციფერის ებრაული (שָׂטָן ,śātān) შესატყვისი. პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს "მოწინააღმდეგეს" (ძვ. ქართ. "მკდომი", "წინააღმდეგომი"; ბერძნ. μάχόμενος). სატანის სახელი ბიბლიაში არაერთხელ არის დამოწმებული (იხ. მათე 4:10, 16:23; I თეს. 2:18 და სხვა).

XXVIII. იგულისხმება ნეტარი წიაღიდან დაცემული ანგელოზი. უწმინდესი მართლმადიდებლური სწავლებით, სწორედ ამპარტავნება გახდა მიზეზი ბუნებით კეთილად შექმნილი ეშმაკის "დაკუეთებისა", რადგან თავისეულად განიკუთვნა ის სიკეთენი, რომელთა წყაროც ერთი ყოვლადწმინდა სამება ღმერთია. ამიტომაც, "ვერ გახდა დამტვევი იმ ნათელმოსილებისა და პატივისა, რაც მიენიჭა შემოქმედისგან, არამედ თვითუფლებრივი არჩევანით მიიქცა იგი ბუნებისეულისგან არაბუნებისეულისაკენ, თავი აიმაღლა მისი შემქმნელი ღვთის წინააღმდეგ, განიზრახა რა მისდამი დაპირისპირება, და იგი, პირველი განდგომილი სიკეთისგან, ბოროტებაში ჩავარდა, რადგან ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლებობა, ისევე როგორც სიბნელე ნაკლებობაა სინათლისა" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი მეთვრამეტე, გვ. 345-346).

მაგრამ, ადამიანისგან განსხვავებით, ეკლესიური მოძღვრებით, დემონის დაცემა ერთგზისი და მარადიული მოვლენაა და, ჰიპოთეზურად, რომც აღადგინო კვლავ ვერ იგუებს ამგვარ წყალობას და კვლავაც დაეცემა, რადგან "დამტკიცებით მეუწყების ჩუენ წმიდისა წერილისაგან, ვითარმედ ეშმაკი ნეფსით თვთმფლობელობითა დაეცა ანგელოზებრივისა პატივისაგან" ("ანგელოზურ ძალთა შესახებ", დასახ. გამოცემა, გვ. 141).

დაცემულ ძალთა მიერ ბოროტად მოხმარებულ თვითუფლებრიობაზე უწყებას ვხვდებით წმინდა გერმანე პატრიარქის სახელით ცნობილ ნაშრომში: "მეათე იგი დასი ბოროტისა მის ნებისა მათისათვის გარდამოცვეს ზეცით და ეშმაკ-იქმნეს" ("თხრობად სასწაულთათვის... მთავარანგელოზისა მიქაელისთა", წმ. ექვთიმე მთაწმინდლის თარგმანი, ხელნ. სინ. 91; Н. Марр, Описание, с. 180; ე. ჭელიძე, ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, დასახ. გამოცემა, გვ. 880).

უკეთურ ძალთა წარწყმედის ამავე მიზეზს ასახელებს სამონაზვნო მოძრაობის დამფუძნებელი, ეგვიპტის უდაბნოს მანათობელი, წმინდა ანტონი დიდი (250-355/6 წ.წ.): "ეშმაკებიც ხომ ნებელობითი არჩევანით გახდნენ ბოროტნი, ისევე როგორც ადამიანთაგან უმრავლესნი" ("შეგონებანი ადამიანთა ზნეობისა და სასიკეთო მოღვაწეობის შესახებ"; თარგმანი ე. ჭელიძისა; "სათნობათმოყვარეობა", I, თბილისი, 2006, გვ. 29).

მართლაც, ჩვენი პირველქმნილი მშობლებისგან განსხვავებით, მას არც მატერიალური სხეული გააჩნდა ("[რომელსა] არარაა აქუს მიწიერი სიმძიმე",), რათა საჭიროება ჰქონოდა ნივთიერი რამ შემტკიცებისა (რაც ვაშლის სახით დაბრკოლებად ექცა ადამიანს); ამიტომ, "იგი, როგორც უსხეულო, სინანულის ვერმიძღვია, მაშინ როცა ადამიანმა სხეულის უძღურების გამო ჰპოვა სინანული" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი მეჩვიდმეტე, გვ. 344; შდრ. წმ. ექვთიმე მთაწმინდლის თავისუფალი თარგმანი მის ცნობილ კომპილაციურ თხზულებაში "წინამძღუარი": "ხოლო სინანულისა არა შემწყნარებელ არს ბუნებად მათი (ეშმაკთა, ი. გ.), რამეთუ უკორცო არიან. რამეთუ სინანული კაცთადა ოდენ მოცემულ არს უძღურებისათვის ჯორცთადას");

არც, დატევნისამებრ, ცოდნის ნაკლებობას განიცდიდა (რაც პოტენციურად გააჩნდათ, მაგრამ ჯერ კიდევ, სულიერი ზრდის წიაღ, მოსამუშაკებელი ჰქონდათ ადამსა და ევას), "რადგან დაბადებული იყო შემოქმედისგან მბრწყინავ და ნათელ ანგელოზად" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი ოთხმოცდამეცამეტე, გვ. 454); "და კუალად წერილიცა (=ბიბლია, ი. გ.) ესაიაÁს მიერ «გონებად დიდად» უწოდს მთავრად ბაბილოვნისა მას (νοῦς μέγας ὁ ἀρχαῖος Βαβυλωνος), რომელი-იგი ანგელოზყოფისა წილ იქმნა ეშმაკ" ("ანგელოზურ ძალთა შესახებ", დასახ. გამოცემა, გვ. 122); მისი მხრიდან ეს იყო სრულიად გაცნობიერებული ნაბიჯი, მოკლებული ყოველგვარ გაურკვეველობას (განსხვავებით ადამიანისაგან, რომელმაც გაუაზრებლად შესცოდა, რაც გადმოიცემა ბერძნული ტერმინით "ἀγνοῖα"); და არც საცთური იყო მის ირგვლივ (რაც გველის სახით მოველინა პირველმშობლებს), რადგან სასუფეველში მკვიდრობდა. ამიტომაც, ასე რჯულმდებლობს დამასკელი ღვთისმეტყველი: "გვმართებს ვიცოდეთ, რომ რაც არის ადამიანებისთვის სიკვდილი,

იგივე ანგელოზებისთვის დაცემა, რადგან დაცემის შემდეგ არ არის მათთვის სინანული, ისევე როგორც არც ადამიანებისთვის – სიკვდილის შემდეგ" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი მეთვრამეტე, გვ. 346).

ევესელთა მიმართ ეპისტოლის (6:12) განმარტებისას დაცემულ ანგელოზებზე სწავლებას აჯამებს კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი, წმინდა იოანე ოქროპირი: "ხოლო «ცასა ქუემეობითა» ზეცით გარდამოვრდომილობასა და ვერლა მუნ (=იქ, ი. გ.) აღმავლობასა მათსა (ემშაკთა, ი. გ.) აჩუენებს (წმ. პავლე მოციქული, ი. გ.), რომლისათჳს წინაგანწყობილ (=მებრძოლნი, ი. გ.) არიან და სცვენ ჰაერსა ცად აღსავალსა, რადთა არა მუნ აღვიდეთ ჩუენ, ვინაჲ (=საიდანაც, ი. გ.) იგინი გარდამოცვეს" (სამოციქულოს განმარტება II, დასახ. გამოცემა, გვ. 590).

XXIX. იგულისხმება ანგელოზთა გალობად შერაცხილი ლოცვა: "წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგვიწყალე ჩუენ". საეკლესიო გადმოცემით, უხილავ ანგელოზთა მიერ ხილულად იქნა გაცხადებული ეს სამწმინდა საგალობელი (ბერძნ. ὁ τρισάγιος ἕμνος). მოვუსმინოთ ღირს იოანე დამასკელს: "საეკლესიო ისტორიის შემდგენლები ამბობენ: კონსტანტინეპოლში, ერის ლიტანიობისას, ღვთივმოვლენილი რამ ზავთის გამო (რაც მოხდა პროკლეს მთავარეპისკოპოსობის დროს), ზეატაცებული იქნა ხალხისგან ზავში და ასე გაენდო მას ანგელოზური რამ მოძღვრების მიერ სამწმინდა საგალობელი: "წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკუდავო, შეგვიწყალე ჩვენ". კვლავ დაბრუნებული იქნა რა ზავში, გააცხადა მან ნამესაიდუმლები და მთელმა სიმრავლემ იგალობა ეს საგალობელი, რითაც დაცხრა ზავით" ("მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი ორმოცდამეთოთხმეტე, გვ. 392).

წმინდა გერმანე პატრიარქი გადმოგვცემს სამწმინდა საგალობლის სახისმეტყველებას: "ხოლო «წმიდაო ღმერთო» გალობად არს ანგელოზთა... და გალობასა უჯორცოთასა უღადადებთ: «წმიდაო ღმერთო» - მამაო ყოვლისა მყრობელო, «წმიდაო ძლიერო» - ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, რომელმან განაქარვე ჯუართა ძალი სიკუდილისაჲ და მომეც ჩუენ ძლევაჲ და დათრგუნვაჲ ყოველთაჲ მზაკუარებათა მისთა, «წმიდაო უკუდაო» - სულო ცხოველსმყოფელო, რომლისა მიერ ყოველი სული და ყოველი დაბადებული ქმნულ არს და ჰგიეს; და ღადადებს: «შეგვიწყალე ჩუენ»" ("განმარტებაჲ საიდუმლოთა კათოლიკე ეკლესიისათა", დასახ. გამოცემა, გვ. 125-126).

XXX. იგულისხმება წმინდა ბასილი დიდი (ბერძნ. ὁ ἄγιος Βασίλειος ὁ Μέγας; 329/330 - 1/01/379 წ.წ.; ხსენება 1/01 და 30/01), კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი, მსოფლიო ეკლესიის მოძღვარი და მასწავლებელი.

წმ. ბასილის მიერ გაკეთებულ მტრედზე საუბარია მის გვიანდელ "ცხოვრებაში" (VII ს.): "როდესაც მან (=ბასილიმ, ი. გ.) განყო პური (ანუ სეფისკვერი, ი. გ.) სამ ნაწილად... მესამედს ათავსებს ოქროს მტრედში, რომელიც მან ჩამოკიდა" (Acta Sanctorum. June, T. 2, col. 943; Antwerpen, 1698). აქ მითითებაა ე. წ. "ეკქარისტიულ მტრედზე", რომელიც წმინდა ნაწილების შესანახად გამოიყენებოდა. მას, როგორც წესი, ტრაპეზის ზემოთ ჯაჭვებით ჰკიდებდნენ, ანდა ტრაპეზზე სპეციალურ კოშკისებურ მოწყობილობაზე დგამდნენ. მტრედის ფორმის ეს სანაწილე ვერცხლის ან ოქროს მეტალისგან მზადდებოდა და სიმბოლურად განასახიერებდა სულიწმინდის ცხოველ თანამოქმედებას ეკქარისტიულ საიდუმლოში.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული "ცხოვრება" მკვლევართა მიერ აპოკრიფულად მიიჩნევა, წმ. გერმანეს გარდა, ამ ტრადიციის არსებობას ადასტურებს თავად ეკლესიის ისტორიაც. მაგ., ანასტასი ბიბლიოთეკარი († 877/879 წ.წ.) გვაუწყებს, რომ "მარადიული ქალაქის" მწყემსმთავარმა, ჰილარიუსმა (461-468 წ.წ.), რომის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარში, სხვა საგნებთან ერთად, ოქროს "ეკქარისტიული მტრედიც" შეიტანა (P.L. 128, col. 347-348).

ასევე, VII მსოფლიო კრების მეხუთე სხდომაზე წაიკითხეს დოკუმენტი, სადაც ანტიოქიის მრევლი საგანგაშო ცნობით მიმართავდა კონსტანტინეპოლის იმდროინდელ (VI ს.) კრებას. ისინი იუწყებოდნენ, რომ ანტიოქიის მწვალებელმა პატრიარქმა, ცნობილმა მონოფიზიტმა თეოლოგმა, სევეროზ ანტიოქიელმა (512-518 წ.წ., † 538 წ.), ამ ქალაქის ეკლესიებიდან გამოიტანა და მიისაკუთრა სულიწმინდისადმი შეწირული ოქროსა და ვერცხლის მტრედები, ანუ "ეკქარისტიული მტრედები" (Православная энциклопедия. Т. IX, Москва, 2005, с. 651).

როგორც ჩანს, ამ სიახლის დამამკვიდრებელი სწორედ წმინდა ბასილი დიდი უნდა ყოფილიყო. შუასაუკუნეებში "ეკქარისტიული მტრედის" გამოყენების ტრადიცია დასავლეთ ეკლესიაში ფართოდ იყო გავრცელებული, შემდეგ კი თანდათან ხმარებიდან გამოვიდა. ხოლო აღმოსავლეთში მსგავსმა პრაქტიკამ მაიცდამაინც ფეხი ვერ მოიკიდა.

XXXI. იგულისხმება ღირსი მარიამ ეგვიპტელი (ბერძნ. ὁσία Μαρία ἡ Αἴγυπτία; დაახლ. † 522 წ.; ხსენება დიდმარხვის V კვირას და 1/04). როგორც მისი ჰაგიოგრაფიიდან არის ცნობილი (საიდანაც ვიგებთ მოქცევამდე მარიამის უზნეო ცხოვრების შესახებ), იერუსალიმში ჯვართამაღლების დღესასწაულზე ჩასული წმინდა მარიამი აღდგომის ტაძრის წინ მდგომი ევედრა მეოხებას ღვთისმშობლის ხატს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო უფლება ტაძარში შესვლისა და ცხოველმყოფელი ჯვრის თაყვანისცემისა (P.G. t. 87, 3, col. 3713A-F. წმ. სოფრონ იერუსალიმელი, "ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა", თარგმანილია წმ. ექვთიმე ათონელის მიერ, ხელნ. A 272, A 1104).

შდრ. დიდი მეფის ნაგალობებს: "ცოდვილთა მოქცევასა ანიშებ (=ნიშნას აძლევ, ი. გ.) მის (ღვთისმშობელი მისი ხატის, ი. გ.) მიერ, ვითარცა ცხად-ჰყოფს თეატროდ (=სანახაობა, ი. გ.) იგი მრჩობლთა (=ორგვარი, ი. გ.) სოფელთადა (=ქვეყნისა, ი. გ.), სიკეთე (=მშვენიერება, ი. გ.) ეგვიპტისადა, ღირსი მარიამ" (წმინდა დავით აღმაშენებელი (1073-1125 წ.წ.), "გალობანი სინანულისანი"; ქართული მწერლობა, ტ. II, თბილისი, 1987, გვ. 204).

სხვათა შორის, გერმანეს მსგავსად ეგვიპ არგუმენტი მოჰყავს წმ. იოანე დამასკელს ხატთა დასაცავად დაწერილ თავის სახელგანთქმულ პირველ სიტყვაში (იხ. P.G. t. 94, col. 1280A).

XXXII. "რჯულის აჩრდილის წარჯდომასი" იგულისხმება ძველი აღთქმის დასრულება, ხოლო "მადლის მოსლვაში" ახალი აღთქმის სუფევის დადგომა, როგორც ამას წმინდა მახარებელი გვაუწყებს: "სჯული მოსესგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭემმარტებაჲ ქრისტე იესუმს მიერ იქმნა" (იოვანე 1:17).

XXXIII. ქალწულისგან მიღებულ, ანუ განკაცებულ, პირმშოსახეში იგულისხმება ძე ღმერთი. ამ მცნების გადმომცემი ბერძნული საღვთისმეტყველო ტერმინები "ἀρχέτυπος" და "πρωτότυπος" ქართულად მრავალგვარად ითარგმნებოდა: "პირმშოდ სახე", "პირმშოდ ხატი", "პირველი სახედა", ეფრემისგან იშვიათად ხმარებული "პირმშოდ მაგალითი" და "ძუელი მაგალითი", მისგანვე დამკვიდრებული "სახისდასაბამი" და გელათური "დასაბამსახედა" (იხ. ე. ჭელიძე, "მართლმადიდებლური ხატმეტყველება", გვ. 38-39).

ამ უღრმესი შინაარსის ტერმინებით გადმოიცემა შემდეგი მოძღვრება, რომ, ერთი მხრივ, ღმრთეების უწმინდეს წიაღში თავად მამა ღმერთი გახლავთ არქეტიპი თავისი ბუნებითი ხატისა - ძე ღმერთისა; მეორე მხრივ, მთლიანად ყოვლადწმინდა სამება, სამივე პირისთვის ზოგადი ბუნებითი თვისებებით, პროტოტიპია ადამიანის ბუნებისა, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ უზენაესის ხატად და მსგავსად შეიქმნა; ხოლო, მესამე მხრივ, სამების მეორე პირია, ძე ღმერთია თავისი ჰიპოსტასური, ანუ ბუნებითი ძეობის თვისებით (რაც სამების პირთაგან მხოლოდ მისთვის არის ნიშნული), არქეტიპი, პროტოტიპი ადამიანისა, როგორც მადლისმიერი ღვთის შვილისა, ანუ ძეობილისა (იხ. შენ. V). ესე იგი, ქალწულისგან შობილში ბუნებითად განიჭვრიტება ის გვამოვნებითი მახასიათებელი, რაც ნათელღებულ მორწმუნეებს მომადლებითად გვაქვს ბოძებული. წმინდა გერმანე სწორედ ამ მესამე მნიშვნელობით იმორწმუნებს "პირმშოდ სახეს".

ვნახოთ, როგორ განმარტავს საღვთო ლოგოსის ადამიანისადმი არქეტიპულობის (ეფრემისებრ "პირმშოდსახეობის") საკითხს მართლმადიდებელი ეკლესია. კასტანას მონასტრის წინამძღვარი ერთ-ერთ სქოლიოში გვასწავლის: "უცვალებელ ხატ ღმრთისა მამისა არს მხოლოდმობილი ძე, ვითარცა პირმშოდ ხატი, ხოლო ჩუენ ხატებრ, ესე იგი არს, პირმშოდსა მის ხატისა ხატადლა ქმნილ ვართ, რომელი-იგი ბუნებით ძე არს, ხოლო ჩუენ მადლით მოგუცემს ძეობასა, რაჟამს მივსცეთ ხატსა ხატებადა და ვირწმუნოთ ზენადას ყოფადა მისი" (წმინდა ეფრემი მცირე, ხელნ. A 109, 165; ე. ჭელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 123-124). წმინდა არსენ იყალთოელის "დოგმატიკონში" ვკითხულობთ: "ხოლო იქმნა დასაბამსახე (ძე ღმერთი, ე. ჭ.) ბუნებით ხატცა (ადამიანიც, ე. ჭ.)" (ფოტო 486.2; P.G. 89, 324D. იქვე, გვ. 39).

ამგვარ საეკლესიო სწავლებას სათავეს უდებს ჯერ კიდევ II-III სს-ში დიდი სწავლული, კლიმენტი ალექსანდრიელი: "ხატი ღვთისა (იგულისხმება "მამა ღმერთისა", ე. ჭ.) არის საღვთო და სამეუფო სიტყვა... ხოლო ხატი ხატისა - კაცობრივი გონება" (στυγαματεΐς, 5. 94. 4-5. "გზა სამეუფო", ე. ჭელიძე, 1994, #1, გვ. 11).

დიდი კაპადოკიელი მამა, წმინდა გრიგოლ ნოსელი, ნაშრომში "სისრულისათვის" შეგვაძეგნებს: "პირმშობცა იგი ხატი (ძე ღმერთი, ი. გ.) უხილავისა ღმრთისა (მამა ღმერთის, ი. გ.), რომელი ქალწულისაგან განკაცნა" (P.G. 46, 269D; A 55, 267v. თარგმანი წმ. გიორგი მთაწმინდლისა; ე. ჭელიძე, "მართლმადიდებლური ხატმეტყველება", დასახ. გამოცემა, გვ. 46). მეორე დიდი კაპადოკიელი, წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი, თავის პირველ ჰომილიაში საიდუმლოდ ღვთისმეტყველებს: "ვანაყოფნეთ (=შევწიროთ, ი. გ.) თავნი თვსნი, უპატიოსნესი და უთვსესი (=უახლოესი, ი. გ.) მონაგები ღმრთისა; უკუნესცეთ (=დავუბრუნოთ, ი. გ.) ხატსა (ე. ი. ღმერთს, ი. გ.) ხატებად (ე. ი. ადამიანური ბუნება, ი. გ.); ვიცნათ პატივი ჩუენი; პატივ-ვსცეთ სახისდასაბამსა (ე. ი. ძე ღმერთს, ი. გ.); ვიცნათ საიდუმლოდსა ძალი და რადასათვის ქრისტე მოკუდა" (თარგმანი წმ. ეფრემ მცირისა, A 109, 188v; Sancti Gregorii..., დასახ. გამოცემა, გვ. 11. ე. ჭელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 126).

ძეობილობასთან დაკავშირებულ კომენტარში (იხ. შენ. V) აღინიშნა, რომ მაცხოვარმა ადამიანი ადადგინა დაცემადელ, სამოთხისეულ მდგომარეობაში. ნისის მღვდელმთავარი გვმოდგრავს: "და გყოს (ქრისტემ, ი. გ.) შენ ხატ პირმშობსა მის სიკეთისა კულად, რადათა იქმნე რად იგი იყავ პირველითგან... რადათა ვიქმნეთ ხატ ხატისა მის საუფლოდსა, გამოწულილვით მიმსგავსებითა და, რაოდენცა შეუძლოთ, პირმშობსა ხატისა სიკეთე (ე. ი. პირმშობხატის მშვენიერება, ე. ჭ.) თავთა შორის ჩუენთა გამოვჩინოთ" (წმ. გრიგოლ ნოსელი, "სისრულისათვის", A 55, 267v1. იქვე, გვ. 46).

ანტიოქიის სკოლის დიდი ღვთისმეტყველი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი († 459/66 წ.წ.), ასე რჯულმდებლობს: "ესოდენია ყოველთა ღმერთის მზრუნველობა ადამიანზე. ესოდენი წინაგანგება აღასრულა შემოქმედმა უმადური ქმნილების მიმართ, ესოდენია განგება პირმშობხატისა (ძე ღმერთისა, ი. გ.) თავისი ხატის (ადამიანის, ი. გ.) მიმართ... განახლა, უკუმიაბრუნა თავდაპირველი კეთილმშვენიერებისკენ, უკუმისცა მას ძველი კეთილხატოვნება და გამოაჩინა ძეებად, რომლებიც აღარ იყვნენ ღირსნი მონობისა" ("წინაგანგების შესახებ", 10-ე ქადაგება, P.G. 83, 761-764. იქვე, გვ. 86).

თავისი წარუვალი ღირსების ჰომილიებში წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ტერმინ "კეთილშობილებას" (ბერძნ. εὐχέλεια) ღვთისმშობლიერად განჭვრეტს და მის არქეტიპთან ურთიერთკავშირზე ქადაგებს: "კეთილშობილება ესაა ხატის დაცვა და პირმშობხატისადმი მიმსგავსება, რასაც მოქმედებს სიტყვა, სათნოება და წმინდა სურვილი, რაც მარადის უფრო და უფრო ღვთისებრ ხატყვოფს ზენათა ნამდვილ მესაიდუმლოთ. ესაა, აგრეთვე, ცოდნა იმისა, თუ საიდან და ვინ ვართ და რისთვის შევიქმენით" (Or. 8.6; Sources Chrétiennes, t. 405, p. 256. ე. ჭელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139). "ამრიგად, - დაასკვნის ყოვლადსამღვდელო მეუფე, - ერთი მხრივ, კეთილშობილია ყველა, ვინც ეს (საღვთო შთაბერვა, ი. გ.) დაიცვა სათნოებისა და არქეტიპისადმი მიდრეკის შედეგად, ხოლო ბოროტშობილია ყველა, ვინც კი უკეთურებას აღერია და სხვა ხატი, - გველისა, - შემოაცვა თავის თავს" (Or. 33, P.G. 36, 229A-B. იქვე).

ზემოთქმულის ერთგვარ ბეჭედდადებად იქნება არაერთგზის ციტირებული შრომა "სატფურებისათვის", სადაც წმ. იოანე დამასკელი კვლავაც საღვთოდ დიდებისმეტყველებს: "სიკეთე იგი პირმშობსა მის ხატისა (ე. ი. ძე ღმერთის მშვენიერება, ი. გ.) ეტრფიალა თვსსა მას პირველშექმნულსა ხატსა (ე. ი. ადამიანურ ბუნებას, ი. გ.), მოდრიკნა ცანი და მისა მიმართ გარდამოჭდა, აღილო ქუემდებარეობისაგან და მალლად აღჰყვანდა განმარისხებელი იგი (განმარისხებელი სამოთხისეული შეცოდების გამო, ი. გ.), ექმნა მას შუამდგომელ და დამაგებელ (=შემრიგებელი, ი. გ.) ღმრთისა მამისა, რაჟამს თავისა თვსისად მიიჩემა უკუნანასკნელი უბადრუკებად ბუნებისა ჩემისა (ე. ი. მთლიანად მიიღო დაცემული კაცება, გარდა ცოდვისა, ი. გ.). კეთილ (=კარგია, ი. გ.), ჰ სიტყუაო ღმრთისაო, მხოლოდშობილო, კეთილ, ვითარ დამიკვრდების (=როგორ გავოცდები, ი. გ.) მე სახიერებისა (=სიკეთისა, ი. გ.) შენისათვის" (ძველი მეტაფრასული კრებულები, დასახ. გამოცემა, გვ. 219).

XXXIV. სარწმუნოებრივი ცხოვრებისთვის სამომავლო სასყიდლის უკუგების თემახშირია წმინდა წერილშიც (მაგ.: "გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა" , და სხვა) და მამათა თხზულებებშიც და არაეკლესიური ცნობიერებისთვის, უმეტესწილად, არამართებული ინტერპრეტირების საგანი ხდება. მართლაც, გარეშე თვალისთვის იქმნება საცთური იმ აზრის გაჩენისა, რომ არა მხოლოდ ამ სოფლის მკვიდრნი, რომელნიც ამქვეყნიურ მოსაგებელს გამოდევნებიან, არამედ ქრისტიანებიც იღვწიან (თუმცა ზეციური, მაგრამ მაინც) უბრალოდ ჯილდოსათვის. მაშ, რითღა განსხვავდებიან ეს უკანასკნელნი (ქრისტიანები) პირველთაგან (ურწმუნოთაგან)? ამ ლოგიკით ორივე კატეგორიის ადამიანები ხომ ანგარნი გამოდიან?!

წმ. იოანე ოქროპირის მხურვალე დამცველი, დიდი საეკლესიო მოღვაწე, წმ. ისიდორე პელუზიელი (IV-V სს.), საღვთო ჯილდოსა და წინასწარგანზრახული ნაცვალების შესახებ საუბრისას, ასეთ არგუმენტს წარმოგვიდგენს:

იმაზე მეტი საზღაური რა გინდა, როცა ადამიანი ღვთის მსგავსი ხდება! აქ საუბარია შემდეგ საღვთისმეტყველო დებულებაზე, რომ ღმერთი თავისი თვისებების ბუნებითი მფლობელია, განსხვავებით ქმნილებისაგან, რომელსაც ყოველივე მადლით აქვს მინიჭებული. აღასრულებს რა ადამიანი ამა თუ იმ სათნოებას (მაგ.: სამართლიანობას, სიწმინდეს, ქველმოქმედებას და ა. შ.), ამით ის, დატევსისამებრ, უფლის თანამზამძველი და მასთან თანამეარსებული (ბერძნ. μετουσία) ხდება, რაც არის კიდევ ყველაზე დიდი სულიერი მისაგებელი. ესე იგი, წმინდა ისიდორეს სწავლებით, ადამიანისთვის "კმა არს" მისთვის ბოძებული საღვთო ხატებისა და მსგავსების აღდგენა-განახლება და სრულყოფა და, ამ გზით, სასუფევლის დამკვიდრება. "მხოლოდ სათნოება (ბერძნ. ἡ ἀρετή), - დასკვნის დიდი მოძღვარი, - თვითკმარია მისი მფლობელის შესამკობად. მართლაც, ჩინოსანთაგან არავის აქვს ღირსება თავისთავად, არამედ ისინი ქვეშევრდომებში იძენენ პატივს, სათნოებისმოყვარეს კი თავის თავში აქვს სახელოვნება წარუხოცელად" (პეტრესადმი, ეპისტოლე 1310, Isidore de Péluse, Lettres, t. I, ed. par P. Euieux, Sources Chrétiennes, t. 422, Paris, 1997, p. 346. თბილისის სასულიერო აკადემიის..., დასახ. გამოცემა, თარგმანი ე. ჭელიძისა, გვ. 84).

თავად მსოფლიო ეკლესიის მასწავლებელი, წმინდა იოანე ოქროპირი, მსახურებისა და სასყიდლის საკითხს ეხება VII ფსალმუნის კომენტარებისას. წმინდა მამას მოჰყავს სამი ებრაელი ყრმის თავგანწირვის (დანელი III თ.) ანალოგია და გვეუბნება: რომ შევკითხვოდით მათ, რისი იმედით სწირავთ თავსო, ოქრომესიტყვე მღვდელმთავრის რწმუნებით, სამივე ყრმა გვიპასუხებდა - "ჩვენთვის უდიდესი ჯილდოა (ბერძნ. τὸ ἄθλον) სიკვდილი ღვთისათვის~ (Св. Иоанн Златоуст, Беседы на Псалмы, Прав. Свято-Тихоновский богословский институт, Москва, 2003, стр. 101). "ასევე ჩვენც, - გვმოდღვრავს კონსტანტინეპოლის მწყემსმთავარი, - ყოველივე უნდა დავითმინოთ არა სასუფევლისა და წაირფერი ჯილდოს მოლოდინით, არამედ თავად ღვთისათვის" (იქვე). ოდნავ ქვემოთ წმინდა იოანე რჯულმდებლობს: "გვიყვარდეს ღმერთი არა მისი წყალობისთვის, არამედ თავად მისთვის" (იქვე, გვ. 102).

ამგვარად, კეთილმორწმუნე ქრისტიანის ყოველი ქმედება უნდა ემსახურებოდეს თვით უფლის დიდებას, როგორც ამას წმინდა პავლე მოციქული ღაღადებს: "გინა თუ სჯამდეთ, გინა თუ ჰსუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდით, ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა იქმოდეთ" (I კორ. 10:31). მსგავსადვე ღვთისმეტყველებს კონსტანტინეპოლის მღვდელმთავარი, წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი: "დასაბამ და დასასრულ ყოვლისა საქმისა და სიტყვისა შენისა ღმერთი იყავნ" ("იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი", (1), მასალა შეკრიბა და შეადგინა დოდო ღლონტმა, თბილისი, 2003, სატიტულო გვერდი).

თვითონ ტერმინ "სასყიდლის" (ბერძნ. ὁ μισθός) საღვთისმეტყველო განმარტებას ანტიოქიიდან აღმობრწყინებული ვარსკვლავი, წმინდა იოანე ოქროპირი, გადმოგვცემს რომაელთა მიმართ ეპისტოლის (6:23) ეგზეგეზისას. მისი თქმით, სასყიდელი ადამიანს მიეცემა ოდენ ცოდვითი ცხოვრების საზღაურად, ხოლო საუკუნო ნეტარება - წყალობა ღვთისა. აი, დიდი მამის სიბრძნით განჩინებულები: "საგზალი, ესე იგი არს სასყიდელი ცოდვისა - სიკუდილი არს, ხოლო სიმართლისა არდარა სასყიდელი, არამედ ნიჭი ღმრთისა მიერი, ცხოვრება საუკუნო, რომელი-იგი არა სასყიდლად, არამედ ნიჭად და მადლით მიეცემის ყოველთა" (სამოციქულოს განმარტება II, დასახ. გამოცემა, გვ. 62-63).

აქ არ უნდა დაგვაზნოს ერთგვარმა ზედაპირულმა წინააღმდეგობამ, რაც შეიძლება, მოგვეჩვენოს მაცხოვრისეულ "სასყიდლის აღთქმასა" და მისი მონიჭების ოქროპირისეულ განმარტებას შორის. წმინდა იოანე გულისხმობს, რომ, პირდაპირი მნიშვნელობით, დამსახურებული საზღაური მხოლოდ ცოდვით დაცემას მოჰყვება, ანუ იმას, რაც თავად პიროვნებამ ისურვა. რაც შეეხება საღვთო სასუფეველს, ადამიანმა ჯერ არნახული და არგაგონილი სათნოებითი სასწაულებიც რომ მოიღვაწოს, მარადიული ნეტარება მაინც უფლისმიერი უკიდევანო სახიერების საბოძვარი, საჩუქარი, მომადლება იქნება მის კვალს შემდგარი კაცობრიობისათვის და არა მის (ადამიანის) მიერ დამსახურებული გარდაუვალი გასამრჯელო.

ისევე, როგორც თავდაპირველი წყევლისაგან გამოხსნილნი ვართ არა ჩვენეული საქმეების დამსახურებათა გამო, არამედ ყოვლადწმინდა სამების უზენაესი კაცთმოყვარებითი ნებით იესო ქრისტეს მიერ, როგორც ამას წარმართთა მოციქული, პავლე, ღაღადებს და განგვიცხადებს: "მადლითა ხართ გამოჯსნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს: არა საქმეთაგან, რათა არავინ იქადოს" (ეფეს. 2:8-9). "ხოლო თვთ სარწმუნოება იგი, - დაამტკიცებს წმინდა იოანე ოქროპირი, - მომატყუებელი (შემძენი, ი. გ.) ყოველთა კეთილთა, არა თავით თვით მოვიგეთ, არამედ ღმერთმან მოგუანაიჭა. არათუ არავის მიუშუებდა ღმერთი საქმეთა მიერ განმართლებად, არამედ შეუძლებელ იყო ვისგანცა კაცთაგანისა თვსთა საქმეთაგან განმართლებად" (სამოციქულოს განმარტება II, დასახ. გამოცემა, გვ. 549).

უფრო ვრცლად ეხება ნაცვალგების საკითხს ალექსანდრიის კატეხიზმური სკოლის მეწინამძღვრე, კლიმენტი ალექსანდრიელი. თავის ცნობილ ნაშრომებში, "აღმზრდელსა" (Παιδαγωγός) და "ნაირგვარობაში" (στρωματείς), უპირისპირებს რა ერთმანეთს "უბრალო" და "მცოდნე", ანუ "გნოსტიკოს" (ბერძნ. სიტყვიდან ἡ γνῶσις = ცოდნა; შდრ. ძვ. ქართ. "ცნობაჲ, მეცნიერებაჲ") ქრისტიანებს, ნეტარი კლიმენტი ამ უკანასკნელთ ხარისხობრივ, აქსიომატურ უპირატესობას განუკუთვნებს.

ალექსანდრიელი ხუცესის აზრით, ლიტონ (ბერძნ. ψιλῆ) მორწმუნეებში ზნეობა განპირობებულია დასჯის შიშითა და ჯილდოს მიღების მოტივაციით. რწმენა სასჯელისა და ჯილდოსი ბადებს შიშსა და იმედს. ისინი კი აღძრავენ ადამიანს, მოინანიოს უკვე ჩადენილი ცოდვები და წინ აღუდგეს ახალთ.

ბევრად აღმატებულია ჭეშმარიტი "მცოდნეების", ანუ ჭეშმარიტი "გნოსტიკოსების" (ამ სიტყვის ეკლესიური გაგებით, განსხვავებით ერეტიკოს, ცრუ გნოსტიკოსთაგან) ეთიკა. მათ ქმედებაში ზნეობა, უტილიტარიზმის საპირისპიროდ, განსაზღვრულია სიკეთისადმი უანგარო სიყვარულით. "გავბედავ და ვიტყვი, - გვმოდვრავს საეკლესიო ზნეთმეტყველების ფუძემდებელი, კლიმენტი ალექსანდრიელი, - რომ არა მხოლოდ გადარჩენის სურვილით უნდა იღვწოდეს ადამიანი უფლის შესაცნობად, არამედ უნდა იღებდეს და ითვისებდეს ამას საღვთო მშვენიერებისა და წმინდამყოფელობის სიდიადისთვის" (Профессор И. В. Попов. Патрология, Краткий курс, Москва, 2003, стр. 113).

ეგვეს გვასწავლის თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II: "ადამიანში უნდა გაჩნდეს სულიერი განწმენდის მძაფრი სურვილი, გამოწვეული შინაგანი დაუოკებელი მოთხოვნილებით და არა შიშის მიზეზით ანდა ჯილდოს იმედით. თუ ჩვენს მოქმედებას ჯილდო ან სასჯელი განსაზღვრავს, ეს მეტყველებს ზნეობის დაბალ დონეზე" (საახალწლო ეპისტოლე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1989, გვ. IV). ესე იგი, ჩვენი სულიერი ორიენტირი უნდა იყოს არა უბრალოდ საბოლოო შედეგი, არამედ თავად მისკენ მიმავალი მხსნელი გზა, რაც ყოველი მორწმუნის მოვალეობას წარმოადგენს, როგორც ამას მაცხოვარი შეგვაგონებს: "ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უკმარნი; რომელი თანაგუედვა ყოვად, ვყავთ" (ლუკა 17:10).

ასკეტური თეოლოგიის, კერძოდ, მისი ყველაზე აღმატებული სახეობის - განდევნილური ღვთისმეტყველების მესამირველის, წმ. მაკარი ეგვიპტელის (300-390 წ.წ.), "სწავლათა" XXII თავი იწყება მოძღვრებით "სასყიდლის" შესახებ (მაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, თარგმნილი წმ. ექვთიმე მთაწმინდლის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბილისი, 1982). წმინდა ბერის თქმით, ჭეშმარიტი ღვთისმოყვარენი არა უბრალოდ სასუფევლის დამკვიდრებისთვის, არა მხოლოდ ჯოჯოხეთის შიშისათვის, არა ნაირგვარი ჯილდოსათვის, "არამედ თვთ მისისა სიყუარულისათჳს" ემსახურებიან შემოქმედს, როგორც "მონანი" (იქვე, გვ. 383).

წმინდა მაკარი დიდი გვასწავლის, თუ როგორ ახოვნად უხმთ მორწმუნეთ ჭირთა თმენა, რომლებიც "არა განეშორებიან უფლისაგან, არამედ სიყუარულითა მისითა იწუებიან" (იქვე). მაგრამ ამ გზაზე მავალს დიდი სიფრთხილე მართებს, ვინაიდან გამოუცდელ სულს ყოველივე დაბრკოლებად შეიძლება გამოუჩნდეს: სიგლახაკეც და სიმდიდრეც, უპატიობაც და გინებაც, პატივიც და დიდებაც, სენნიც და ვნებანიც. ეს კიდევ არაფერი - მთავარი საცთური კიდევ წინ არის.

აქ უდიდესი ასკეტი "გულისკმის-ყოფით" (ბერძნ. τῆ συνεσει) მოსმენისაკენ გვაწვევს, რადგან არა მარტო ზემოხსენებული ვნებანი, არამედ ის წყალობაც, "რომელი მადლისა მიერ მოიწვევის სულსა ზედა" (იქვე), დაბრკოლებად შეიძლება გადაექცეს კაცს; ანუ სულიწმინდისეული მადლიც "დამახრწველი" (=შემფერხებელი, ი. გ.) მისი იქმნების" (იქვე), თუკი ჯეროვანი თავმდაბლობითა და მადლიერებით არ იქნება ის მიღებული. ღვთივგაბრძნობილი მაკარი ასე აღგვიწერს ამ პროცესს: "უკეთური იგი (ე. ი. ეშმაკი, ი. გ.) მადლისა მიზეზითა დაიმორჩილებს და აცთუნებს მას (ე. ი. მორწმუნეს, ი. გ.) დაქსნილობისა (=მოშვების, მოღუწების, ი. გ.) მიმართ და, სიმაღლითა მცირედისა მის განსუენებისადთა (=მოსვენების მცირედი აღმატებულებით, ი. გ.), ამპარტავანებად და უურველობად მოიყვანებს (=უზრუნველობისაკენ მიდრეკს, ი. გ.)" (იქვე).

ამასვე გვასწავლის ეგვიპტელი ბერის უმცროსი თანამედროვე, წმ. იოანე ოქროპირი, ეფესელთა მიმართ ეპისტოლის (6:13-14) განმარტებისას: "მრავალთა, შემდგომად ძლევისა მტერთაჲსა, კუალად თვთცა დაცემად შეემთხვა უკრძალველ და უზრუნველ ქმნითა" (სამოციქულოს განმარტება II, დასახ. გამოცემა, გვ. 590).

ამიტომაც, ქრისტიანისთვის სავალდებულოა საღვთო მადლის გონივრულად შეწყნარება და მისი შესაბამისი ნაყოფის მომუშაობა.

ამგვარად, როგორც საეშმაკო ხრიკები, ასევე სულიწმინდის წყალობაც მორწმუნის სულიერი მდგრადობის გამოსაცდელია; მაგრამ, თუკი უგუნურს ეს გამოცდა დაბრკოლებად გადაეცემა, ეგვე განსაცდელნი ბრძენს საუკუნო ცხოვრების ღირსად წარმოაჩენს. ღვთისგან ადამიანის ეს "ორითავე საქმითა" გამოცდა იმისთვისაა საჭირო, რათა სარწმუნოდ გაცხადდეს, სასყიდლისათვის ("შესამინელისათვის") უყვარს კაცს ღმერთი თუ "თვთ მისისა მეუფებისათვის, რომელი-იგი ფრიადისა პატივისა და სიყუარულისა ღირს არს" (მაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, დასახ. გამოცემა, გვ. 384), - დასკვნის უდიდესი ანაქორეტი მოღვაწე.

"იყვინთ თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს" (მათე 5:48), - მაცხოვრის ამ მარადიულ მოწოდებაში საცნაურდება მთელი ქრისტიანული მოღვაწეობის მიზეზიცა და მიზანიც. აი, რატომ არ გახლავთ ანგარება საღვთო მუშაობა!

XXXV. ხატის შესახებ მართებული სწავლების უტყუარ საბუთად ამავე ამონარიდს წმ. ბასილი დიდის თხზულებიდან იმოწმებს წმ. იოანე დამასკელიც ზემონახსენებ პირველ (იხ. P.G. 94, ცოლ. 1256A, 1261D) და მესამე (იხ. P.G. 94, col. 1252D) "სიტყვსსაგებელში"; ასევე, "მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემაში" (დასახ. გამოცემა, თავი ოთხმოცდამეორე, გვ. 263, 265, 443, 444).

ასევე, იხ. წმ. დავით აღმაშენებლის აღსარებული: "საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უბრწუნლო ქალწულო, და გურწამს, ვითარმედ პატივი ხატისა შენისაა შენდამო წიაღმოვალს, ღმრთისმეტყუელთაებრ" ("გალობანი სინანულისანი", დასახ. გამოცემა, გვ. 204).

XXXVI. იგულისხმება იესო ქრისტეს ხატი.

XXXVII. ჰეროდე მეფის ხსენება აშკარად ალუზიაა იმპ. ლეონზე.

XXXVIII. მოგვიანებით იმპ. კონსტანტინე კოპრონიმმა გამოიგონა ე. წ. "საყოველთაო ფიცი", რითაც თავის ქვეშევრდომებს აიძულებდა, ცენტრალურ მოედანზე ჯვრის, სახარებისა და წმინდა ევქარისტის წინ სახალხოდ დაეფიცათ, რომ ისინი ხატებს არ ეთაყვანებოდნენ. ამ დამამცირებელ რიტუალში მონაწილეობდა კონსტანტინე პატრიარქიც (754-766 წ.წ.). წმ. თეოფანე ქრონოგრაფი გვაუწყებს: "ის (იმპერატორი, ი. გ.) სამეფოში ყველას ფიცის დადებით ავალდებულებდა თაყვანი არ ეცათ ხატებისათვის და თვით ფსევდოპატრიარქი კონსტანტინეც აიძულა, ასულიყო ამბიონზე, აღემართა პატიოსანი და ცხოველმყოფელი ძელი და დაეფიცებინა, რომ ის არ მიეკუთვნებოდა ხატთაყვანისმცემელთა რიცხვს" («Летопись византийца Феофана», в переводе с греческого В. И. Оболенского и Ф. А. Терновского, с предисловием О. М. Бодянского, Москва, 1884, с. 320). უნდა ითქვას, რომ იერარქს ამგვარმა მკრეხელობამაც კი არ უშველა. მიუხედავად ესოდენ მონური ერთგულებისა, ეჭვიანმა ავტოკრატორმა პატრ. კონსტანტინე II მაინც წამებით მოაკვლევინა.

წმ. გერმანეს უწყება, რომ ლეონის დროსაც არსებობდა რაღაც მსგავსი ფიცის დადების პრაქტიკა, როგორც უკვე ითქვა, ჩვენთვის სხვა ისტორიული წყაროებიდან უცნობია და თვითმხილველი პატრიარქის ქადაგება ამ მხრივაც ანგარიშგასაწევია.

XXXIX. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ წმ. გერმანე ხატმებრძოლთა სწავლებას რჯულებით, დოგმატურ მნიშვნელობას ანიჭებდა. მის მიერ წმ. იაკობ მოციქულის სიტყვათა დამოწმებაც ამის მაუწყებელია.

მართლაც, მართლმადიდებლური მოძღვრებით, დოგმატთა შორის თუნდაც "უმცირესის" დარღვევა, ბუნებრივად იწვევს მთელი რჯულის დაშლასაც, რასაც თავად უფალი გვამცნებს: "უკუეთუ ვინმე დაჰკვნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთა და ასწაოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ყოს და ასწაოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა" (მათე 5:19). აქ რომ ოდენ მეტაფორულად არის ნათქვამი, მიუხედავად უმცირესი მცნების დახსნისა, უმცირესთა მიერ სასუფეველის დამკვიდრებაზე, მაცხოვარი იქვე გააცხადებს: "ხოლო გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა აღმატოს სიმართლე თქუენი უფროდს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა" (მათე 5:20). ეს იმიტომ, რომ თუნდაც "უმცირესი ამათგანიც" ერთი ღმერთის მთლიანი ნების წარმომჩენია და რომელიმე ერთი მცნების "გარდამავალიც", ზოგადად, საღვთო ნების "დამკსნელია".

აქ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ წმ. გიორგი მთაწმინდლის სიტყვისგება ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსი (1057 წ. - 1059 წ. შემდეგ) III მიმართ. სირიის პირველიერარქის მოთხოვნაზე, ანტიოქიის საპატრიარქოსადმი საქართველოს ეკლესიის დამორჩილების შესახებ, ათონელმა მნათობმა უპასუხა: "წმიდაო მეუფეო, რომელნი-ეგე ჩვენ უმეცრად და სუბუქად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან. იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა (იგულისხმება ბიზანტია, ი. გ.) შინა მართლმადიდებლობა არა იპოებოდა და იოანე, გუთელ ეპისკოპოსი (წმინდანი; VIII ს.), მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სჯნაქსარსა" (გიორგი ხუცესმონაზონი, "ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა", ქართული მწერლობა, ტ. II, თბილისი, 1987, გვ. 105).

ასე რომ, წმ. გიორგი ათონელი იმჟამად ბიზანტიის ეკლესიაში გაბატონებული ხატმებრძოლობის გამო, საერთოდ მართლმადიდებლობის უქონლობად რაცხს იმპერიაში აღსარებულ სარწმუნოებას.

XL. მართლმადიდებლობა გვასწავლის, რომ აღდგომისას წმინდანები არა მარტო სულიერად, არამედ ხორციელადაც გაბრწყინდებიან. ამის წინასახეა თაბორის მთაზე თავად მესიისაგან აღსრულებული ფერისცვალების სასწაული (იხ. მათე 17:1-8; მარკოზი 9:2-8; ლუკა 9:28-36).

ამ მისტიკური მოვლენის წვდომას არაერთი ღვთისმეტყველი ცდილობდა. ბასილი დიდის უმცროსი ძმა, წმინდა გრიგოლ ნოსელი, გვასწავლის სამომავლო ადამიანური ხორციელი ბუნების სრულყოფილებას. მისი მოძღვრებით, აღდგომისას მოიხსნება ასაკის საკითხი, ყმაწვილური უმწიფობისა და მოხუცებულობის უძლურებისა, ავადმყოფობისა თუ სიგონჯისა. ამასთან, აღარ იქნება საჭირო სხეულის ის ორგანოები და ნაწილები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კვებისა და, ზოგადად, შობადობისა და ზრდადობის ფუნქციასთან. ნისის ეპისკოპოსის თქმით: "ყველაფერი ეს ჩვენში ბიწიერებასთან ერთად შემოიჭრა" (Георгий Флоровский. Восточные отцы церкви, Москва, 2003, ст. 251); ფერი, გარეგნობა, ფორმა და სხვა თვისებები "გარდაიქმნებიან რაღაც ღვთაებრივში" (იქვე). მისი განჭკვრეტით, ერთადერთი, რაც აღდგომისას ხორციელად განასხვავებს ერთმანეთისაგან პიროვნებებს - იქნება ამქვეყნადვე დაუნჯებული ცოდვა-მადლი: "ყოველი ადამიანის განმასხვავებელ იერს გვაუწყებენ არა სტიქიონები, არამედ მანკიერებათა და სათნოებათა განსაკუთრებულობა" (იქვე), - დაასკვნის დიდი მოძღვარი. ამგვარად, სხეული მიაღწევს თავის უმთავრეს დანიშნულებას - იყოს სარკე სულისა.

საბაწმინდელი მოძღვრის უწყებითაც, საბოლოო სამსჯავროს შემდეგ ურჯულონი და ცოდვის მოქმედნი საუკუნო ცეცხლს მიეცემიან, ხოლო "სიკეთის მოქმედნი კი გამობრწყინდებიან, როგორც მზე, ანგელოზებითურთ, საუკუნო ცხოვრებისათვის ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან" (წმ. იოანე დამასკელი, "მართლმადიდებლური...", დასახ. ნაშრომი, თავი მეასე, გვ. 465).

ეგევს რჯულმდებლობს წმინდა მაკარი დიდი. ეგვიპტელი მოსაგრის სწავლებით, ქარიზმატული გარდაქმნის სისავსე მხოლოდ საყოველთაო აღდგომისას იქნება შესაძლებელი. ესქატოლოგიურ ჟამს ადამიანისაგან ამსოფლადაც მოხვეჭილი სულიერი ნაყოფები "ჯორცთა ზედა მისთა გამოჩნდებიან" (მაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, დასახ. გამოცემა, თავი XXIII, გვ. 388). თუკი წმინდანთა სხეულები ზეციური ნათლით გასხივოსნდებიან, ცოდვილთა სხეულები "ბნელ და უშუერ და სავსე სირცხვლითა გამოჩნდენ გარეგან" (იქვე). ფაქტობრივად, ადამიანი თავად არის თავისსავე მსჯავრზე თვითუფლებრივი, "რამეთუ რაღცა ვინ აქა შინაგან დაიუნჯოს, იგივე მუნ გარეგნით გამოჩნდების" (იქვე).

ღვთაებრივი პავლე გვაუწყებს: "რაღცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს. რამეთუ რომელმან სთესოს ჯორცთა შინა თვსთა, ჯორცთა მიერ თვსთა მოიმკოს ხრწნილებად; ხოლო რომელმან სთესოს სულსა თვსსა, სულისაგან თვსისა მოიმკოს ცხოვრებად საუკუნოდ" (გალ. 6:7-8). რამდენადაც დაუღვენელია საუნჯე, იმდენადვე გაცხადდება ეს სამომავლო ნათლიერ სამოსში.

ამიტომაც მოგვიწოდებს მაკარი დიდი და მასთან ერთად მთელი საეკლესიო კრებული, რომ წმინდა სარწმუნოებითა და მცნებათა აღსრულებით - "მცირესა ამას ჟამსა კეთილად ვიღუაწოთ" (იქვე) და, ბოროტ ვნებათაგან განთავისუფლებულნი, უფლის მეორედ მოსვლისას, სპეტაკ სამოსში გაბრწყინებულნი - "ქრისტეს თანა ვსუფევდეთ (=ვმეფობდეთ, ი. გ.) განსუენებითა საუკუნოდთა" (იქვე, გვ. 389).

* * *

ლექსიკონი

(არაბული ციფრებით მითითებულია ქადაგების ტექსტის თავების ნუმერაცია, სადაც ესა თუ ის განსამარტავი სიტყვა გვხვდება)

ა

ამბორის-ყოფა (ამბორს-უყოფდეთ) 34 - მიაღერსება (მივეაღერსოთ).

ამენ 35 - ჭეშმარიტად, დაე იყოს ასე (ებრ. ׀א; ბერძნ. ἄμην; ლათ. ამენ); შდრ.: "ამინ მოასწავებს: იქმენინ; ვითარ ზედადამბეჭ-დველი რამდე დალოცვად" (წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, "მოთხრობად ეკლე-სიაებრივი და საიდუმლოებითი"; გვ. 161).

ანუ 15 - ან.

ანუ (არა) 172 - განა.

ანუ (ყოველნივე) 17 - ანდა.

არათუმცა 3 - რომ არა.

არა თქუმა (იტყვან) 5 - ვერ ლაპარაკი.

არამცირედ 1 - დიდად.

არაოდეს 8 - არასდროს.

არარა 13 - არაფერი.

არასადა 14 - არასდროს.

არა სამართალი 13 - არამართებული, არასწორი.

არა უღირს-ჩენა 6 - უღირსად არმიჩნევა.

არა უწყება (უწყიან) 5 - არცოდნა.

არაფუცვად 32 - არდაფიცება.

არა ცემა (ეცეს) 23 - არმიცემა.

არა ცნობა (უცნობიეს, ცანწ) 133 - ვერშეცნობა, ვერმიხვედრა, ვერგაგება.

არაწმიდა 2 - უწმინდური.

აღებაჲ პირისა 1 - პირის გაღება, გახსნა.

აღმართება (აღმართენით) 25 - ადგომა, გასწორება.

აღმართებული 13, იხ. "ჯუარისსახედ აღმართებული".

აღმასრულებელად წინადასწარმეტყულებისა 20 - წინასწარმეტყველების შესასრულებლად.

აღმოკოდა (აღმოკოდების) 13 - მოკვეთა, ამოძირკვა.

აღსაარებაჲ 12 - აღიარება (სარწმუნოების).

აღსრულებაჲ 32 - შესრულება; იხ. "საქმით აღსრულებაჲ".

აღუვსებელობაჲ 24, იხ. "ნებებათა აღუვსებელობაჲ".

აღუტოცელი 9, იხ. "მოსაკსენებელი აღუტოცელი".

აღშურვება (აღგაშურვებ) 25 - შემურება.

აღშფოთების-მნებებელი 1 - შემფოთების, არეულობის მოსურნე//მოსურვე.

აღწევა (აღიწევის) 29 - გადასვლა, აწევა.

აღტოცა (აღტოცოთ) 20 - განადგურება, მოსპობა.

აჩრდილი 26 - ჩრდილი.

აჩრდილი შჯულისა 29 - ძველი აღთქმის აჩრდილი.

აწ 3 - ახლა.

აწ და მარადის 35 - ამჟამადაც და მარადიულადაც, მუდამ.

აწვე 1 - ახლავე.

ბ

ბარძიმი 17 - წმინდა ზიარების სასმისი.

ბელიარი 24, იხ. "ბოროტდასაბამი ბელიარი".

ბორგა (ჰბორგოთ) 13 - გაგიჟება, გაცოფება, გაშმაგება, გახელება, ჭკუიდან შემლა.

ბოროტადმადიდებელი 35 - ბოროტმადიდებელი, სხვადმადიდებელი, უცხოდმადიდებელი; არამართლმადიდებლურად მოაზროვნე.

ბოროტდასაბამი ბელიარი 24 - ბოროტების წყარო, მომგონი ეშმაკი.

ბრალი 32, იხ. "საზარელეზა ბრალისა".

ბჭეთა წშულთა შესლვად 7 - დაკეტილ კარებში შესვლა.

ბჭობად სამართლისა 4 - სამართლიანი განსჯა.

ბ

გამოსახვითი 12 - გამოხატული, გამოსახული.

გამოწერად 9 - გამოსახვა.

გამოხატვა 6 - გამოსახვა.

გამოხატვად 9 - გამოსახვა.

გამოხატული 34 - გამოსახული.

გამოხატულობად 14 - გამოსახვა.

განბერილი 13 - გაბლენძილი, გათავხედებული.

განბჭობა 19, იხ. "ესრესახედ განბჭობა".

განვრცობა 10 - აქ: გაგრძელება (სიტყვისა).

განზრქომილი ამპარტავანებითა 25 - ამპარტავანებით გათავხედებული, განლაღებული.

განკაცვად 2 - ადამიანური ბუნების მიღება, შეთვისება; ხორცშესხმა (ძე ღმერთისა).

განკაცვებული ღმერთი 29 - ხორცშესხმული ღმერთი (იესო ქრისტე).

განკრთომილება 18, იხ. "საზარელი განკრთომილება".

განკუთნვილი 34 - მიკუთვნებული, განწესებული, განჩინებული.

განმართება 13 - გასწორება.

განმართებად 25 - გასწორება.

განპყრობად კელთა 11 - ხელების გაშლა.

განრინება (განერნენ) 32 - თავის დაღწევა, გადარჩენა, ხსნა.

განსაკრთომელი მოსლვად 29 - საკვირველი მოსვლა (მეორედ მოსვლა).

განსწავლად წინააღმდეგომთა 33 - მოწინააღმდეგეები დამოდვრა, სწავლა.

განუყოფელი 8 - დაუცალკევებელი, დაუყოფელი.

განფრთხობა (განიფრთხვეთ) მთრვალობისაგან 25 - სიმთვრალისაგან გამოფხიზლება.

განქარვება ზრახვისა 24 - განზრახვის, ჩანაფიქრის გაუჩინარება, გაქრობა, მოსპობა.

განქიქება (განაქიქნა) 3 - შერცხვენა; გაკიცხვა.

განყოფილი 8 - განცალკევებული, დაყოფილი.

განშჯად 19, იხ. "სიმართლით განშჯად სოფლისა".

განჩინება 18, იხ. "განცემა განჩინებისა".

განცდა (განვიცდით) 8 - განჭვრეტა, შეცნობა, შეგრძნობა, აღქმა.

განცემა (განსცის) განჩინებისა 18 - განაჩენის გამოტანა; ბრძანების გაცემა.

განცოფებული 2 - გაგიჟებული, გაცოფებული, გახლებული.

განწვალებული 1, იხ. "უმეცრებით განწვალებული".

განჭრად ხატთა 24 - ხატების დაშორება, გათიშვა, განცალკევება.

განჯორციელება (განჯორციელდა) 8 - ხორცშესხმა, განკაცება, ადამიანად გახდომა (ძე ღმერთისა).

განჯორციელებად ღმერთისა სიტყვსა 21 - საღვთო ლოგოსის, ძე ღმერთის ხორცშესხმა, ადამიანად გახდომა, განკაცება.

გარდამოცდომა 27 - გადმოსვლა, ჩამოსვლა.

გარემიქცევა ზრახვისა 24² - განზრახვის, ჩანაფიქრის უკუგდება, უარყოფა (შდრ. წმინდა გიორგი მთაწმინდლის რედაქცია: "შეურაცხ-ყვნის გულისსიტყუანი... შეურაცხ-ყვნის ზრახვანი" (ფს. 32.10); შდრ. ბერძნ. ἄμετεῖ δὲ λιοιτισμὸς... ἄμετεῖ βουλήδ LXX).

გარეშეუწერელად 6 - შემოუსაზღვრელად.

გარეშეუწერილი ღმერთი 26 - შემოუსაზღვრელი ღმერთი.

გარეშეწერილქმნად 6 - შემოსაზღვრულობა.

გარნა 23 - გარდა.

გება (ეგო) 6 - ყოფნა, დარჩენა (დარჩა).

გებულნი საკურთხეველნი 15 - შექმნილი, აშენებული საკურთხეველები.

გესლიანი შჯულისდება 1 - გესლიანი, შხამიანი რჯულდება, კანონი.

გინა 15² - ან, ანდა.

გინებულ-ყოფა (გინებულ-მყავთ) 18 - შეურაცხყოფა (შეურაცხმყავით).

გიხაროდენი 30 - მისაღმების ფორმულა (შდრ. ბერძნ. χαίρειν II იოვანე 1.10-11).

გონება 2 - გონება, ფიქრი, მიჩნევა.

გონებად მოლება 32 - აქ: გახსენება; გააზრება, გაცნობიერება.

გონება 12 - გონება, აზროვნება, ცნობიერება; იხ. "გონებად მოღება"; "კული გონებისა".

გუამნი წმიდათანი 35 - წმინდანთა სხეულები.

გუამოვნება 35 - ჰიპოსტასი, პირი (ერთი ღმერთის სამპიროვნების განმსაზღვრელი ცნება; ბერძნ. ἡ ὑπόστασις, ლათ. persona).

გულება (ეგულების) 20 - დაპირება (აპირებს), მოლოდება.

დ

დაბადება 14, იხ. "ნებებით დაბადება".

დადგრომა 35 - შეჩერება, დაყენება.

დადგრომილი 30, იხ. "მოუქცეველად დადგრომილი".

დადება (დავდვათ) 13 - დაწესება.

დაზულება 29 - დაშლა, დარღვევა.

დათრგუნვა (დასთრგუნვდით) 21 - გათელვა.

დაკვრება (ნუ დაგიკვრდების) 30 - გაოცება, გაკვირება (ნუ გაოცდები, ნუ გაკვირდება).

დაკუთება 25 - დანარცხება, დაცემა.

დამოკიდებული ძელსა 33 - ხის ძელზე ჩამოკიდებული.

დამოცვნება (დამოცვოდინ) 29 - ჩამოცვნა.

დამტვებელი 25 - დამტოვებელი.

დამტვენელი 9 - მიმღები, შემწყნარებელი.

დამტკიცება (დავამტკიცე, დამიმტკიცებებს) 31³ - დადასტურება.

დამშჟალვად 4 - მილურსმვა.

დამშჟალული 2 - მილურსმული.

დამჟება (დაამჟა) 11 - დამხოვა, დამარცხება, განადგურება.

დატეება (დაუტევეთ) 34 - მიტოვება, ზურგის შექცევა.

დატენად 26 - მიღება, შეწყნარება.

დაუპრობელი პირი 18 - შეუკავებელი, შეუჩერებელი პირი.

დაუწყნარებელი და უცნობოქმული 32 - მშფოთვარე და გონებადაკარგული, უგუნური.

დაფლვად 4 - დამარხვა, დასაფლავება.

დაღათუ 13 - თუნდაც.

დაღაცათუ 2 - თუმცა.

დაღაცათუ 32 - თუნდაც.

დაყოფა (დაიყვედ) 8 - დახურვა, დახშვა, მოკეტვა.

დაცემულეზა 25 - დაცემა, დავარდნა (სულიერი).

დაცემული 22, იხ. "მძუნვარედ დაცემული".

დგმა (ათქს) 5 - ქონა (აქვთ).

დგომამ 22 - დადგომა.

დედა 342, იხ. "ლუაწლითშემოსილი დედა"; "ჯორციელად დედა".

დედობრივი 34 - ქალური, დედაკაცური.

ე

ეგევითარი 31 - ასეთი, მაგნიარი.

ეგრეთვე 11 - ასევე.

ეგრეთლა 30 - შემდგომლა.

ელენი 7 - წარმართი (იხ. შენ. IX).

ერთბამობითი ზედაობამ 34 - საერთო ძალისხმევა.

ესევითარი 12 - ასეთი, ამგვარი.

ესოდენ 18 - იმდენად.

ესოდენი თავსმდეზობამ 27 - იმდენი შუამდგომლობა.

ესრეთ 18 - ამგვარად, ამნაირად.

ესრესახედ განზჭობა (განიზჭობვის) 19 - ამგვარად, ასე განსჯა, განჩინება, გადაწყვეტა.

ეჰა 18 - ვაი.

ვ

ვაცი 9 - მამალი თხა; ერთი წლის თიკანი.

ვერარა 15 - ვერაფერი.

ვიდრე 30, 32 - ვიდრე.

ვიდრე 35 - თითქოს.

ვიდრემდის 18 - სანამდე.

ვიეთნიმე მათგანი 31 - რომელიმე მათგანი.

ვიეთნიმე 35 - ზოგიერთი.

ვითარ 5 - როგორ.

ვითარ-ესე 2 - როგორც.

ვითარ-იგი 23 - როგორც.

ვითარმედ 22 - რომ.

ვითარცა 11² - როგორც.

ვინამთგან 1 - რადგანაც.

ვინაიცა 30, 32 - ამის გამო.

ვისდამე მიმართ 31 - ვინმეს მიმართ.

ვისმე 30 - ვინმე, რომელიმე.

ვნება 7, იხ. "ჯუარისამიერი ვნება".

ზ

ზედაობა 34, იხ. "ერთბამობითი ზედაობა".

ზენა 23 - ზემოთა, ზეციური.

ზეშთა სიწმიდე 3 - ზეციური, უზენაესი სიწმინდე.

ზიარება 30 - მოზიარება, მეგობრობა, ერთობა, თანამონაწილეობა.

ზრახვა (ეზრახებოდა, ეზრახა) 16, 27 - საუბარი, ლაპარაკი, განდობა.

ზრახვა 24⁴, იხ. "განქარვება ზრახვისა"; "გარემიქცევა ზრახვისა".

ზუარაკი 9 - ხბო.

ზღვს-მყოფი 9 - ზღვის ბინადარი.

თ

თავსმდებობა 27, იხ. "ესოდენი თავსმდებობა".

თანააღრევა (თანააღრეევით) 30 - შერევა, შეთქვევა.

თანადულსაბამო 82 - უსაწყისო, მარადიული.

თანაღმობა 33, იხ. "მიზეზი თანაღმობისა".

თანამდები 35 - მოვალე, პასუხისმგებელი (შდრ. ბერძნ. ἔνοχος).

თანამზრახველი 24 - თანამზრახველი, თანამჭობელი, თანამოაზრე.

თანაწარსავალი სიტყვა 24 - საუბრის, ჰომილიის, ქადაგების ძირითადი თემის გვერდის ავლა, გამოცვლა.

თითოსახეთა ძელთაგან შექმნულნი 16 - სხვადასხვა ხისგან გაკეთებული.

თვითარგმანებული 9, იხ. "წიგნი თვითარგმანებული".

თვნიერ საოცარყოფისა 12 - მოჩვენების გარეშე.

თვსებით მსახურ-ქმნა (მსახურ-ვექმნენით) 35 - თვისობრივად მსახურება (ვემსახუროთ).

თქუნებრ 13 - თქვენსავით.

თქუნმიერცა 4 - თქვენგანაც, თქვენი მხრიდანაც.

თქუმული 9, იხ. "წინამთვე თქუმული".

კ

კადნიერებით 21 - თავხედურად.

კათოლიკე ეკლესია 1 - საყოველთაო, მსოფლიო ეკლესია (იხ. შენ. II).

კაპანთა ყვანება 28 - უფსკრულებში წყვანა.

კაცი 62 - ადამიანი.

კაცისსახე ხატი 4 - ადამიანის მსგავსი ხატი.

კაცობრივი 11 - ადამიანური.

კეთილი 34 - სიკეთე.

კერძოვირი 9 - ჯორი.

კითხვა 11 - შეკითხვა.

კითხვად 1, იხ. "მდაბიორი კითხვად".

კვრიაკე სათაურში, იხ. "პირველი კვრიაკე".

კულად 7 - კვლავ.

კულად 10, 14 - ისევ.

კულად 26 - კიდევ.

კულად 29 - შემდეგ.

კულად-გება (კულად-გუაგებს) 35 - უკუმიგება, სამაგიეროს მიზღვა, დაბრუნება.

კულადქცევად 30, იხ. "მრავალგზის კულადქცევად".

კული გონებისა 6 - აზროვნების გზაკვალი.

კუთება 24 - შებრძოლება, შერკინება.

კურთხევად შეცვალება (შეიცვალა) 4 - აქ: ნაკურთხად გახდომა.

კურო 9 - ხარი.

ლ

ლოცვა (გლოცავ) 12, 25 - დალოცვა (დაგლოცავთ).

მ

მამა 26, 34² - წინაპარი; სასულიერო პირი; მამაკაცი.

მამათმთავარი 26 - პატრიარქი (ბიბლიური).

მარადის 35, იხ. "აწ და მარადის".

მართლ 13 - სწორად, პირდაპირ.

მართლგანმკუთვლოზად 5 - სამართლიანი განსჯა.

მარტო 4 - მხოლოდ, მარტო.

მარტოდ 30 - ცალკე.

მაფუცებელი 32, იხ. "უსამართლოდ მაფუცებელი".

მაცხოვარი 10 - მხსნელი, გადამრჩენი, ცხოვრების, ცხოვნების მომნიჭებელი (იესო ქრისტე).

მახლობელი 18 - ახლოს მყოფი.

მგმობარი 19 - მლანძღველი.

მდაბიორი კითხვად 1 - მდაბიო შეკითხვა.

მემრუშე 23², იხ. "ნათესავი ბოროტი და მემრუშე".

მეოხება 35 - შუამდგომლობა, შემწეობა.

მერმე 35 - მომავალი, შემდგომი.

მერმეცა 1 - ასევე, შემდეგ, კიდევ.

მეცნიერება ჭეშმარიტებისა 30 - ჭეშმარიტების ცოდნა, მიხვედრა, გაგება.

მეხდატეხილობითი სიტყვა 1 - მეხდაცემული სიტყვა, სწავლება, მოძღვრება.

მთრვალობა 25, იხ. "განფრთხობა მთრვალობისაგან".

მთხრებლი 28 - ორმო.

მიგება 19 - მიზღვა.

მიდგომილება 7 - ჩასახვა.

მიერთგან 25 - მას შემდეგ.

მიერკერძო ჯუარი 2 - მიღმიერი ჯვარი.

მიზეზ-დგმა (მიზეზ-იდგამთ) 14 - მომიზეზება (იმიზეზებთ).

მიზეზი თანაღმობისა 33 - თანაგრძნობის მიზეზი.

მიმადლება 17 - მინიჭება.

მიმართ სათაურში - წინააღმდეგ; იხ. "ვისდამე მიმართ".

მიმთხუევა (მიემთხვა) 27 - მიღწევა, მიახლება (მიადწია, მიეახლა).

მიმოყვანება უსწავლელობითი 10 - უცოდინარი წაყვან-წამოყვანა.

მიმქუმელად მიყვანება (მიიყვანა) 27 - შუამდგომლად წაყვანა.

მინიჭება (მიენიჭენ) 24 - ბოძება (ებოძოს).

მისდავე მსგავსად 11 - ამნაირადვე.

მიქცევა (მიიქცეს) 32 - მიბრუნება, დაბრუნება (მიუბრუნდეს, დაუბრუნდეს).

მიყვანება 27, იხ. "მიმქუმელად მიყვანება".

მიძღუანება (მიუძღვთ) 6 - გაძღოლა, წაყვანა.

მიწვენა 32, იხ. "სიკუდიდმდე მიწვენა".

მიწისაგანი 14 - მიწიერი, მატერიალური, ნივთიერი.

მკითხველი 12 - შემკითხველი.

მლიქნელობა 24 - პირმოთნეობა, პირფერობა.

მნებებელი 21, იხ. "აღმფოთების-მნებებელი".

მოაქამდე 14 - აქამდე, ამ დრომდე.

მოკუდინება (მოაკუდინებს) 5 - მოკვლა (კლავს).

მოკუეთა (მოეკუეთენ) 13 - მოჭრა, მოკვეთა (მოიჭრას, მოიკვეთოს).

მომატყუებელიცა გვრგვინთა 34 - გვირგვინთა შემქმენიც; გვირგვინთა მომასწავებელიც.

მომგონებელი 22 - მომფიქრებელი.

მომსრველი 22, იხ. "წარპარვად მომსრველისა".

მორწმუნეყოფად საგონებელი 35 - მორწმუნედ მისაჩნევი, საფიქრებელი.

მოსათხრობელი შემოკლებითად 9 - მოკლედ განმარტებული, გადმოცემული, ნაუწყები.

მოსასრველად 18 - მოსასპობად, ამოსახოცად.

მოსაწესნებელად 7 - გასახსენებლად, მოსაგონრად.

მოსაწესნებელი აღუკოცელი 9 - წაუშლელი, დაუვიწყებელი მოსაგონარი, გასახსენებელი.

მოსურნე 16 - მსურველი.

მოუქცევლად დადგრომილი 30 - (სარწმუნოებაზე) მოუბრუნებლად დარჩენილი.

მოქცევა (მოიქცეინ) 13 - მობრუნება, შემობრუნება, მოტრიალება (სარწმუნოებაზე).

მოქცევაჲ 32 - მობრუნება, შემობრუნება, მოტრიალება (სარწმუნოებაზე).

მოღება (მოვილოთ) 2 - დაბრუნება (დავიბრუნოთ; შდრ. ბერძნ. ἀπολάβωμεν, საწყ. ფორმა ἀπολαμβάνω, გალ. 4.5).

მოღება (მოვილოთ) 29 - მიღება (მივილოთ); იხ. "გონებად მოღება".

მოძაგება (მოვიძაგოთ) 35 - მოძულება.

მოცსენება (მოგაცსენე) 30 - გახსენება; შეტყობინება.

მრავალგზის კულადქცევაჲ 30 - მრავალჯერ მიბრუნება.

მრავალი 29 - ბევრი.

მსახველობაჲ 15 - გამოსახვა, გამოხატვა.

მსახურ-ქმნა 35, იხ. "თვსებით მსახურქმნა".

მსგავსებითა ურთიერთას 23 - ერთმანეთის მსგავსებით.

მსოფლელი 9 - მდაბიო.

მუნ 23 - იქ.

მშჯავრი სიმართლისა 31 - სამართლიანი განაჩენი (შდრ. გიორგისეული რედაქცია: "განკითხვანი სიმართლისა შენისანი" ; ბერძნ. τὰ κρίματα τῆς δικαιοσύνης σου).

მცირედი 29 - ცოტა.

მცნება (ამცნებთ) 2 - დამომღვრა, სწავლება, შეტყობინება.

მძლე-ქმნა (მძლე-ვექმნეთ) 34 - დაძლევა, დამარცხება, გამარჯვების მოპოვება.

მძვინვარედ დაცემული 22 - საშინლად დამხობილი, დავარდნილი (სულიერად).

მწარედ 18 - სასტიკად.

მწვალებელი სათაურში, იხ. "ყრმისგონება მწვალებელი".

მხოლო 14 - მხოლოდ, მარტო.

ნ

ნაბერწყალი ურწმუნობისა 12 - ურწმუნობისნაპერწყალი.

ნათესავი ბოროტი და მემრუშე 23² - ბოროტი და მრუში მოდგმა, ჯიში, ტომი, ხალხი, ერი; იხ. `ულმრთო ნათესავი~.

ნათლის-ღება 27 - მონათვლა.

ნამდვლვე 13 - ნამდვილად.

ნამუშაკვეი 17 - შექმნილი, გაკეთებული.

ნაქმნევი 7, იხ. "ფერით ნაქმნევი".

ნება (ჰნებაეს) 5 - სურვილი, ნდომა.

ნებებათა აღუვსებლობა 24 - სურვილთა დაუკმაყოფილებლობა.

ნებებით დაბადება (დაჰბადა) 14 - ნებაყოფლობით, თავისუფალი ნებელობით, სურვილით შექმნა, გაჩენა, წარმოშობა (სამყაროსი).

ნებსით 4 - ნებით.

ნერწყუვა (ჰნერწყუევდით) 21 - შეფურთხება.

ნივთი 6 - მატერია; ფიზიკური, მატერიალური აგანი.

ნივთიერი ხატი 29² - მატერიალური, ფიზიკური, ხილვადი ხატი.

ნივთ საუკუნოისა ცეცხლისა 32 - მარადიული ცეცხლის საგანი, ობიექტი.

ნიში 7 - ნიშანი.

ნუუკუე 28 - ვაითუ.

ნუუკუე არა 17 - განა არა.

ნულარადთ 28 - ნულარაფრით.

ნუცა 30² - ნურც.

ო

ოდენ 13 - მარტო, მხოლოდ.

ოდესცა 12 - ოდესმე.

ორღანო სიკუდილისა სამდლითისა 2 - სამდლიანი სიკვდილის იარაღი, ინსტრუმენტი (შდრ. ბერძნ. τὸ ὄργανον; ლათ. ინსტრუმენტუმ; რუს. орудие).

პ

პირველ 8, 15⁴, 35 - უწინარეს, ადრე.

პირველად 30 - უპირველესად, უწინარესად.

პირველთქუმულთავეთანა 17 - ადრე, ზემონათქვამთან ერთად.

პირველი 34 - ადრინდელი, თავდაპირველი.

პირველი კვრიაკე სათაურში - პირველი კვირადღე (დიდმარხვის).

პირველი მამა 14 - პირველმშობელი.

პირი (ერთი) 8, 35 - ჰიპოსტასი, გვამოვნება; იხ. "გვამოვნება".

პირშომასა სახისა აღწევა (აღიწევის) 29 - არქეტიპამდე, პროტოტიპამდე აწევა, გადასვლა, მიწევნა.

პირშომასა სახისა სიკეთე 29 - პროტოტიპის, არქეტიპის მშვენიერება.

პირუტყუებაჲ 34, იხ. "წარმართებითი პირუტყუებაჲ".

პოვნა (ეპოვნენ) 16 - პოვნა.

პოვნა (იპოვების) 17 - გამოჩენა, აღმოჩენა.

პურისა წილ 17 - პურის ნაცვლად, მაგივრად.

პური წინადაგებისა 17 - შესაწირი პური.

ჟ

ჟამი 23 - დრო, ხანი.

ჟამისწირვამ 17, იხ. "ჭურჭელნი ჟამისწირვისა".

რ

რამეთუ 2 - რადგან.

რამთა 1 - რომ.

რამ-მე 19 - რა (კითხვ. ნაცვალ.).

რამსა 11 - რატომ.

რამსათვს 12 - რატომ.

რამსათვსდა 4 - რაღატომ.

რამსმე 29 - რამე.

რაჟამს 19 - როცა, რა დროსაც.

რასმე 35 - რამე.

რეცა საგონებლობით და უცნებაყოფით 24 - თითქოს საეჭვოდ და მოჩვენებითობით.

რეცა ცუდ საგონებელქმნა 23- თითქოს ცუდად მისაჩნევი.

რვალი 17 - ბრინჯაო.

რომელი 2 - ვინც.

რომელი 5 - რომელიც.

რომელი-ესე 11 - რომელიც, რაც.

რომელი-იგი 14 - რომელიც.

რომელისა ჯერისათვს 2 - რისთვის.

რომელნიმე 17² - ზოგიერთი.

რქუმა (მარქუთ) 12 - თქმა (მითხარით).

რწმენა (გურწმენეს) 23 - დაჯერება (დავიჯეროთ).

რწმუნება 17, იხ. "უცთომელად რწმუნება".

ს

საგონებელი 12, იხ. "მორწმუნეყოფად საგონებელი".

საგონებლობა 24, იხ. "რეცა საგონებლობით და უცნებაყოფით".

საგონებელქმნა 23, იხ. "რეცა ცუდ საგონებელქმნა".

სადმე 2 - იქნებ; შეიძლება.

საეჭუ 12 - საეჭვო.

საზარელება ბრალისა 32 - დანაშაულის საშინელება, სისამაგლე.

საზარელი განკრთომილება 18 - სამაგელი შეშინება.

სათნოყოფა 32 - მოწონება.

სათნოყოფილი 35, იხ. "საუკუნითგან ღმრთისა სათნოყოფილი".

საკუთრება 34 - კუთვნილება.

სალმობიერი ჭირი 20 - მტკივნეული გაჭირვება.

სამართალი 4, იხ. "ბჭობად სამართლისა"; "არა სამართალი".

სამართლად 7 - სამართლიანად, მართებულად.

სამდლითი 2, იხ. "ორღანო სიკუდილისა სამდლითისა".

სამე 21 - მაშ.

სამკაულყოფად 9 - შეშვება, გამშვენება.

სამსახურებელი ხატი 1 - თავყანსაცემი, მსახურებული ხატი.

სამსახურებელი 17 - მოსახმარი.

სამდღელო ჭურჭელი 34 - წმინდა, საეკლესიო ჭურჭელი.

სამწმიდა 26 - წმინდა სამება ღმერთი.

სამწმიდაობითი ქება 26 - წმინდა სამების საგალობელი.

საოცარყოფად 12, იხ. "თვნიერ საოცარყოფისა".

სარო 2 - კიპარისი.

სარწმუნო 29² - სანდო.

სარწმუნოყოფად 13 - სანდოდ, სარწმუნოდ.

სასოებით 18 - იმედიანად.

სასყიდელი 29 - საზღაური, მისაგებელი, სამაგიერო, გასამრჯელო.

სასწაული 7 - სასწაული.

სასწაული ხატისა 23^{2v}- ხატის ნიშანი.

სატანა 24 - ეშმაკი, ბელიარი, ბელზებული, ლუციფერი, დაცემული ანგელოზი (იხ. შენ. XXVI).

საუკუნითგან ღმრთისა სათნოყოფილი 35 - დასაბამიდან ღვთისთვის მოსაწონი.

საუკუნო 32, იხ. "ნივთ საუკუნოფსა ცეცხლისა".

საქმე 7, 23 - საქმიანობა.

საქმე 11, 13 - ამბავი.

საქმეთაებრ 19 - საქმიანობის, მოღვაწეობის შესატყვისად, შესაბამისად.

საქმით აღსრულებად 9 - საქმედ ქცევა, ქმედებაში მოყვანა, რეალიზება.

საქრისტეანო ხატი 5 - ქრისტიანული ხატი.

საჩუენებელ-ყოფა (საჩუენებელ-ყვნა) 3 - გაცხადება, წარმოჩენა (გააცხადა, წარმოაჩინა).

საცთურენი და უღმრთოებითი შჯული 35 - მცდარი და უღმერთო დოგმატი.

საცნაური ქერობინი 26 - სულიერი, გონისმიერი, ნოეტური, უნივთო, არამატერიალური ქერუბიმი (იხ. შენ. XIV).

საცხორებელი 17 - საცხონებელი.

საწარმართო კერპი 5 - წარმართული კერპი.

საწყალობელი 32 - საცოდავი.

საჭირო 9 - აუცილებელი.

საჭურველი 2 - იარაღი.

სახე 29², იხ. "პირმშომსა სახისა აღწევა"; "პირმშომსა სახისა სიკეთე".

სახე ტრედისა 27 - მტრედის ნიმუში.

სახით 26 - სახეობრივად, ტროპულად, სიმბოლურად, ალეგორიულად.

სახითა ტრედისადათა 27 - მტრედის მსგავსად, სახით.

საჯმარი 9 - გამოსადეგი, საჭირო.

სიბორგილეთა ურგებობა 14 - სიცოფეთა, სიგიჟეთა უსარგებლობა, გამოუსადეგრობა.

სიკეთე 29, იხ. "პირმშომსა სახისა სიკეთე".

სიკუდიდმდე მიწეენა (მიიწეოდა) 32 - სიკვდილამდე მისვლა, მიღწევა.

სიმართლით განშჯად სოფლისა 19 - სამყაროს სამართლიანი განკითხვა, გასამართლება.

სიმტკიცე 35 - სიმყარე, სიმაგრე.

სირცხვლეულ-ქმნა (სირცხვლეულ-იქმნენდ) 8 - შერცხვენა (შერცხვეთ, რცხვენოდეთ).

სიტყვერება 34, იხ. "ქრისტეანებრითი სიტყვერება".

სიტყვსგებად 1, იხ. "წინააღმდგომითი სიტყვსგებად".

სიტყვსთხოობა 9 - გადმოცემა, უწყება.

სიტყვს-ყოფა (სიტყუა-ვყოთ) 1 - კამათი, დავა.

სიტყუა სათაურში - ქადაგება, ჰომილია; იხ. "თანაწარსავალი სიტყვსა".

სიტყუა 1 - სიტყვა.

სიტყუა (ვითხოვოთ) 1, იხ. "განჯორციელებად ღმრთისა სიტყვსა".

სიქადული 22 - სიამაყე.

სიწმიდეთა უზეშთაესი 26 - სიწმინდეზე უზენაესი, აღმატებული.

სვიპტრა 3 - სამეფო ჯოხი, ქართულად "ფაენი" ჰქვიან; ესე არს სამეფო კვერთხი (ჯოხი), რომელსა თავსა ზედა არს სვირი (და ჯვარი მცირე); სამეფო კვერთხი, როგორც მეფის ძალაუფლების ნიშანი (ქეგლ-ი, ტ. VI); შდრ. ბერძნ. τὸ σκῆπτρον.

სოფელი 14, იხ. "ყოველი სოფელი"; "სიმართლით განშჯად სოფლისა".

სრულ-ყოფა (სრულ-ყო) 14 - სრულქმნა.

სულთა წარწყმედაი 34 - სულთა დაღუპვა.

სურველი 14 - მოსურნე, მსურველი.

სწავლა (გვსწავიეს) 2 - სწავლა.

სწავლაი 23 - მოძღვრება, სწავლება.

სწავლული 29, იხ. "წინააღდგომით სწავლული".

სხმა (ასხენ) 52 - ქონა (აქვთ).

სხვთი-სხუად 10 - ერთიდან მეორეზე.

ტ

ტაკუკი 17 - პატარა სახელურიანი საეკლესიო ჭურჭელი ბარძიმში ღვინისა და მღვდარების ჩასასხმელად.

უ

უბრალო 21 - უდანაშაულო.

უეჭუელად 2 - დაუეჭვებლად.

უზეშთაესი 26, იხ. "სიწმიდეთა უზეშთაესი".

უკუე 12 - მამ.

უკუეთუ 8 - თუ, თუკი.

უკუეთუმცა 21 - თუკი.

უკუნითი-უკუნისამდე 28 - სამარადისოდ.

უმეცრებაი 25, იხ. "ჰრული უმეცრებისა".

უმეცრებით განწვალებული 1 - უგუნურებით, უმეცრებით სქიზმაში მყოფი, განხეთქილი.

უმეცრებითი ურწმუნობაი 34 - უმეცრული, უგუნური ურწმუნობა.

უნაკლული 9 - უნაკლო.

უნივთო ბუნება 6 - არამატერიალური, არაფიზიკური, უქმნელი ბუნება.

უპატივო 18 - შეურაცხყოფილი, პატივახდილი, აბუჩად აგდებული.

უპატიოება 18 - შეურაცხყოფა.

ურგებობა 24, იხ. "სიბორგილეთა ურგებობა".

ურთიერთას 23, იხ. "მსგავსებითა ურთიერთას".

ურწმუნო 23 - არასანდო.

უსაკუთრესი 9 - უმჯობესი.

უსამართლოდ მაფუცებელი 32 - უსამართლოდ დამაფიცებელი.

უსრულესი 10 - უფრო სრულყოფილი.

უსულო ძელი 2 - მატერიალური, ნივთიერი ხე.

უსწავლელი წიგნისკითხვისა 9 - წერაკითხვის უცოდინარი.

უსწავლელობა 10 - უცოდინრობა.

უსწავლელობითი 1, იხ. "მიმოყვანებად უსწავლელობითი".

უტყუველი ღმერთი 14 - უტყუარი, მართალი ღმერთი (ბერძნ. ὁ ἀψευδῆς θεός).

უფრომსღა 5 - უფრო მეტად.

უფრომსად კურთხეული 35 - უმეტესად კურთხეული.

უფსკრული 7, 21 - სიღრმე.

უქცევლად 8 - უცვლელად.

უღირს-ჩენა 6, იხ. "არა უღირს-ჩენა".

ულმერთო ნათესავი 7 - ულმერთო მოდგმა, ჯიში, ტომი, ხალხი, ერი;

უჩინო-ქმნა (უჩინო-იქმნებოდის) 29 - გაუჩინარება, გაქრობა.

უჩინოყოფა 21 - გაუჩინარება, გაქრობა.

უცვალებლად 8 - შეუცვლელად.

უცთომელად რწმუნება (ირწმუნების) 17 - შეუმცთარად დაჯერება.

უცთომელობა 34 - შეუმცდარობა.

უცნებაყოფა 24, იხ. "რეცა საგონებლობით და უცნებაყოფით".

უცნობოქმნული 32, იხ. "დაუწყნარებელი და უცნობოქმნული".

უწესოებად 7 - უსამართლობა, უკანონობა.

უწინააღმდეგომესი 12 - უმეტესად მოწინააღმდეგე.

უწყება 5, იხ. "არა უწყება".

უხილავი 7 - არამატერიალური, გონისეული, სულიერი, ნოეტური; ზეგრძნობადი, დაუნახავი, უჩინარი.

ფ

ფერება 6 - ფერი, ფეროვნება.

ფერით ნაქმნევი 7 - საღებავით გაკეთებული, შექმნილი.

ფერკომეცანებელი შეუცთომელად 9 - შეუმცდარად, უცდომელად წამყვანი, მიმყვანი.

ფუცვა 31³ - დაფიცება.

ფუცვამ 31 - დაფიცება.

ქ

ქებად 26, იხ. "სამწმიდაობითი ქებად".

ქერობინი 16, იხ. "საცნაური ქერობინი".

ქმნა (იქმნა) 2 - ყოფნა (გახდა).

ქმნა (იქმნებიან) 15 - კეთება (კეთდებიან).

ქმნად არს (არიან) 17 - გაკეთდება, შეიქმნება.

ქმნამ 15 - კეთება.

ქმნული 5 - გაკეთებული.

ქრისტეანებრითი სიტყვებება 34 - ქრისტიანული გონიერება, სულიერება.

ქრისტესმიერი ღუაწლი 35 - ქრისტესმიერი შრომა, გარჯა.

ქუნა 23 - ქვემოთა, ამქვეყნიური, მატერიალური.

ქუეყანა 7, 23, 29 - მიწა.

ქუეყანასა ზედა 26 - ამქვეყნად.

ქუეყანით ცხოველთა 20 - ცოცხალთა მიწიდან (შდრ. ბერძნ. ἀπὸ γῆς ζώντων ἱερ. 11:19>).

ქუეყნიერი მეფე 18 - ამქვეყნიური, მიწიერი მეფე.

ღ

ღაღადებამ 4 - მახილი.

ღირს-ქმნა (ღირს-იქმნენ) 35 - ღირსად გახდომა (ღირსნი გახდნენ).

ღმრთეება 29 - საღვთო ბუნება.

ღმრთივგანზრძობილი 8 - საღვთოდ, ღვთისაგან განსწავლული, ბრძნად ქცეული.

ღუაწლი 34, იხ. "ქრისტესმიერი ღუაწლი".

ღუაწლითშემოსილი დედა 34 - ღვაწლმოსილი, დაუღალავი დედაკაცი.

ყ

ყვანება 28, იხ. "კაპანთა ყვანება".

ყოველი 18 - ყველაფერი.

ყოველი სოფელი 14 - მთელი ქვეყანა.

ყოველი ძალი 2 - ყველა ძალა.

ყოვლად 1 - სრულიად, მთლიანად.

ყოფა (იყავნ) 3 - ყოფნა (იყოს).

ყოფა (ნუ იყოფინ) 7 - ქმნა (ნუ იქნება, ნუ მოხდება).

ყოფამ 17 - ყოფნა.

ყრმისგონება მწვალებელი 23 - ბავშვის ჭკუის მქონე ერეტიკოსი.

შ

შემზადებული 2 - მომზადებული.

შემთხვევა (შეემთხვევის) 10 - შემთხვევა, მოსვლა.

შემოკლებითად 9, იხ. "მოსათხრობელი შემოკლებითად".

შემოქმედი 7 - შემქმნელი.

შემოწერა (შემოვსწერთ) 7 - შემოსაზღვრა.

შემუსრვამ 21 - გათელვა, დამსხვრევა, მოსპობა, განადგურება.

შემძლებელი 5, იხ. "ხედვად შემძლებელი".

შერაცხვა (შეირაცხო) 22 - მითვლა, ჩათვლა, მიჩნევა.

შერაცხილი 6 - მიჩნეული, ჩათვლილი.

შერაცხილი 20 - მითვლილი, ჩათვლილი.

შერთვა (შეურთოთ) 20 - დაგდება, შერევა (დავაგდოთ, შევურიოთ; ბერძნ. **ἐμβάλλωμεν**, იერ. 11.19; საწყ. ფორმა **ἐμβάλλω**).

შეტკბობა (შევიტკბობთ) 34 - მიღება, შეწყნარება.

შეუორგულებელად 2 - დაუქვევებლად.

შეუცთომელად 9, იხ. "ფერკთმყვანებელი შეუცთომელად".

შექმნა 27 - გაკეთება.

შექმნული 17, იხ. "თითოსახეთა ძელთაგან შექმნულნი".

შეცვალება (შეცვალეს) 34 - შეცვლა; იხ. "კურთხევად შეცვალება".

შეცვალებად 17 - გარდაქმნა, ცვალებადობა.

შეცხობა (შეიცხობვის) 17 - გამოცხობა.

შეძრვა (შეიძრნენ) 29 - შერყევა.

შეძრწუნება (შეძრწუნდი) 22 - შეშინება.

შეწევნა 27 - დახმარება.

შეწუვა (შესწუავს) 12 - დაწვა.

შეწყნარება (შეიწყნარებთ) 42 - მიღება.

შეწყნარებად 34 - მიღება.

შვილებად 2 - ძეობილობა.

შინებად 32 - შიში.

შობილი 22 - დაბადებული.

შორიელი 18 - შორსმყოფი, შორეული.

შურის-გება (შურ-იგის) 18 - შურისძიება.

შჯული 29, იხ. "აჩრდილი შჯულისა"; "საცთურენი და უღმრთოებითი შჯული".

შჯულისდებად 1, იხ. "გესლიანი შჯულისდებად".

ჩ

ჩენა (გიჩნს) 12 - მიჩნევა (მიგაჩნიათ).

ჩუენდა-მომართი 8 - ჩვენდამი.

ჩუენება (აჩუენა, აჩუენებდაა?) 12² - ჩვენება, წარმოჩენა, გაცხადება.

ჩუნება 14 - საჩვენებელი.

ჩუნმიერცა 4 - ჩვენგანაც, ჩვენი მხრიდანაც.

ც

ცემა 23, იხ. "არა ცემა".

ცნობა 133, იხ. "არა ცნობა".

ცრუფიცების საშჯელი 32 - ცრუდაფიცების სასჯელი.

ცუნდრუკი 25 - ავცია.

ცხად-ყოფა (ცხად-ყო) 11 - გაცხადება, გამოაშკარავება.

ცხოველი 20, იხ. "ქუეყანით ცხოველთა".

ცხოველსყოფელი 2 - ცხოვრების, ცხოვნების მომცემი; მაცოცხლებელი, მაცხოვნებელი.

ცხოვნება (აცხოვნებს) 5 - გაცოცხლება (აცოცხლებს; შდრ. ბერძნ. ζῳοποιεῖν კორ. 3:6>; საწყ. ფორმა ζῳοποιεῖν (პირ. "ცოცხალ-ვყოფ").

ცხოვნება (ცხოვნი) 22 - გადარჩენა, ხსნა.

ძ

ძალი 2, იხ. "ყოველი ძალი".

ძალნი ცათანი 29 - ზეციური, სულიერი, სპირიტუალური, გონითი, ნოეტური არსებები.

ძალნი წინააღმდეგომნი 2 - მოწინააღმდეგე ძალები.

ძალ-დება (ძალ-გიც) 25 - შეძლება (შეგიძლიათ).

ძელი 2, იხ. "უსულო ძელი"; "დამოკიდებული ძელსა"; "თითოსახეთა ძელთაგან შექმნულნი".

ძრწოლად 20 - კანკალი.

ძუელ 21 - ადრე, წინათ.

წ

წარგრაგნა (წარიგრაგნებოდის) 29 - გახვევა, შეხვევა.

წარმართებითი პირუტყუება 34 - წარმართული უგუნურება.

წარმოსაჩინებლად 10 - წარმოსაჩენად, გამოსაჩენად, გასაცხადებლად.

წარპარვამ მომსრველისა 22 - მკვლელის, მომსპობის, გამანადგურებლის მიერ მიტაცება.

წარსლვა (წარვედ) 7 - წასვლა, გაცლა, მოშორება (აქ: განშორდი).

წარწყმედა (წარსწყმდეთ) 28 - დაღუპვა.

წარწყმედა (წარწყმდეს) 29, 35 - დაკარგვა.

წარწყმედა 34, იხ. "სულთა წარწყმედა".

წარჯდომა (წარჯდა) 29² - დარღვევა, მოსპობა.

წახნაგება 15 - გამოქანდაკება.

წევნა 20 - მოწვევა, დაწვევა.

წერილ არს 3 - დაწერილია.

წვალება 34 - ერესი, მწვალელობა.

წიაღვლა (წიაღვალს) 35 - აწევა, გადასვლა (გადადის, აიწევა).

წიგნი 5 - ასო, ნაწერი (ბერძნ. τὸ γράμμα, II კორ. 3.6; შდრ. რუს. буква; სლავ. ПИСМЯ; შდრ. ევრემისეული განმარტება: "ღრამმა წერილად გამოითარგმანების", ქრონიკები, I, გვ. 219).

წიგნი თვითარგმანებული 9 - თვითგანმარტებული წიგნი, ნაწერი.

წიგნისკითხვა 9, იხ. "უსწავლელი წიგნისკითხვისა".

წილ 17, იხ. "პურისა წილ".

წინააღდგომა (წინააღდგებით) 28 - წინააღმდეგობა, შეწინააღმდეგება, ცილობა.

წინააღდგომით სწავლული 29 - წინააღმდეგობით, ცილობით ნასწავლი.

წინააღმდგომი 2, იხ. "ძალნი წინააღმდგომნი"; "განსწავლა წინააღმდგომთა".

წინააღმდგომითი სიტყვსგება 1 - საწინააღმდეგო, საცილო შეპასუხება, პასუხის გაცემა.

წინაგამოსახვა 11 - წინასწარ ჩვენება; მოსწავება.

წინაგამოცხადება 20, იხ. "წინამხედველობით წინაგამოცხადება".

წინადაგება 17, იხ. "პური წინადაგებისა".

წინამხედველობით წინაგამოცხადება (წინაგამოცხადა) 20 - წინასწარჭვრეტით წინაუწყება (წინასწარ ეუწყა).

წინათვე თქუმული 9 - ადრევე, ზემოთვე ნათქვამი.

წმიდათმოზელი 13 - სიწმინდეების შემლესავი.

წური 12 - წვერო.

წყევამ 22 - წყევლა.

წყეული 32 - დაწყევლილი.

წყლულება 35 - ჭრილობა.

წყურიელი 30 - მწყურვალე//მწყურვალი.

ჭ

ჭირი 20, იხ. "სალმობიერი ჭირი".

ჭურჭელნი ჟამისწირვისა 17 - წირვის, ლიტურგიის ჭურჭელი.

ხ

ხატმლეწელი 13 - ხატების დამლეწი//დამლეწავი, დამმსხვრევი.

ხატით 26 - სახეობრივად, ტროპულად.

ხედვად შემძლებელი 5 - დანახვის შემძლე.

ხილვა (იხილეთ) 5 - დანახვა.

ხილვად 13 - დანახვა.

ხილვად 29 - ხილვადობა.

ხილული 7 - მატერიალური, ფიზიკური, ნივთიერი.

ხილული 11² - ხილვადი.

ხოლო სათაურში - მარტო, მხოლოდ.

ხოლო 42 - ხოლო.

ჯ

ჯამს (უჯმდა) 32 - საჭიროა (ესაჭიროებოდათ).

ჯელითქმნელი სათაურში - არა ადამიანის ხელით გაკეთებული, შექმნილი.

ჯელითქმნულვად 15 - ადამიანის ხელით შექმნა, კეთება.

ჯელითქმნული სათაურში - ადამიანის ხელით გაკეთებული, შექმნილი.

ჯელ-წიფება (ვერ ჯელ-ეწიფოს) 10 - შემღება (ვერ შემღონ).

ჯმისაებრ 4 - სიტყვით, სიტყვისაებრ, თქმით, თქმისაებრ.

ჯმის-ყოფა (ჯმა-ჰყავთ-მცა) 21 - დაყვირება, შემახება (დაიყვირეთ, შესმახეთ).

ჯორციელად დედა 34 - ხორციელი, სხეულით დედა.

ჯშული 7, იხ. "ბჭეთა ჯშულთა შესლვად".

ჯ

ჯერეთ 30 - ჯერ კიდევ.

ჯერისათვის 2, იხ. "რომელისა ჯერისათვის".

ჯერ-ყოფა (ჯერ-არს) 13 - შესაფერისობა, საჭიროება, აუცილებლობა, მართებულობა, შესაბამისობა.

ჯუარისამიერი ვნებაჲ 7 - ჯვრისმიერი, ჯვრით გამოწვეული ტანჯვა, ზიანი.

ჯუარისსახედ აღმართებული 13 - ჯვრის მსგავსად აღმართული.

ჯუარს-ცუმა (ჯუარს-აცუ) 20 - ჯვარცმა, ჯვარზე გაკვრა.

ჯუარცუმაჲ 4 - ჯვარცმა.

ჰ

ჰჳ 12 - დიახ, კი, ხო

ჰრული უმეცრებისა 25 - უგუნურების, უვიცობის, უცოდინრობის ძილი.

ჰურია 7 - ებრაელი.

ჰურიაებრ 21 - ებრაელთა მსგავსად

ჟ

ჟ 2 - ჰოი, თჰ.

საკუთარ, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა სამიებელი*

აბრაჰამი (მამამთავარი; ებრ. აბრაჰამ, 'abrāhām, "აბრაჰამ"; ბერძნ. Ἀβραάμ) 15².

ადამი (პირველმამა; ებრ. אָדָם, 'ādām; ბერძნ. Ἀδὰμ) 14.

ამალეკი (დასავლეთსემიტური ტომი; ებრ. אֱמֹרִי, 'amālēq; ბერძნ. ὁ Ἀμαλῆκ) 11.

ბასილი (დიდი; იხ. შენ. XXX) 27.

ბელიარი (ეშმაკი; იხ. შენ. XXVI) 24.

გერმანოსი (კონსტანტინეპოლის პატრიარქი; ბერძნ. Γερμανός) სათაურში.

დავითი (მეფე და მეფსალმუნე; ებრ. דָּוִד; ბერძნ. Δαυΐδ) 4, 52 .

ელენი (წარმართი; იხ. შენ. IX) 7.

ეშმაკი (ბერძნ. ὁ θιάβιλος; ὁ θιάμυν) 2, 22, 24⁵.

თაზორი (დაახლ. 600 მეტრ. მთა პალესტინაში, ქ. ნაზარეთის აღმოსავლეთით; მაცხოვრის ფერისცვალების ადგილი; ბერძნ. Θαζάρ) 7.

იესუ (მაცხოვარი; იხ. "იესუ ქრისტე"; "ქრისტე") 2, 11², 12², 23, 27.

იესუ ქრისტე (ბერძნ. Ἰησοῦς Χριστός; იხ. "იესუ"; "ქრისტე") 2, 6, 10, 12, 14, 18, 34.

იორდანე (მდინარე პალესტინაში; მაცხოვრის ნათლისღების ადგილი; ებრ. יַרְדֵּן , iardén; ბერძნ. Ἰορδάνης) 27.

იოსებ (მამამთავარი, იაკობის ძე; ებრ. יוֹסֵף , ioséf; ბერძნ. Ἰωσήφ) 12².

მარიამი (ღვთისმშობელი; ბერძნ. Μαρία) 8, 35.

მარიამი (ეგვიპტელი; იხ. შენ. XXXI) 27.

მოსე (რჯულმდებელი; ებრ. מֹשֶׁה , mosh é, "მოშე"; ბერძნ. Μωϋσῆς) 11, 13, 15², 16.

ნოვე (მამამთავარი; ებრ, נֹחַ , nōach, "ნოახ"; ბერძნ. Νῶε) 15².

პილატე (პონტოელი; იუდეის მეხუთე პრეფექტი 26-36 წლებში; ბერძნ. Πιλάτος; ლათ. Pilatus) 20, 21.

სატანა (ეშმაკი; იხ. შენ. XXVII) 24.

სიონი (მცირე მთა იერუსალიმში; ებრ. צִיּוֹן , ციიონ, "ციიონ"; ბერძნ. Σιών) 7.

სოლომონი (მეფე, ბრძენი, დავითის ძე; ებრ. שְׁלֹמֹה "შელომო, შლომო"; ბერძნ. Σολομών) 152, 16.

ქერობინი (ანგელოზი; იხ. შენ. XV) 16, 26.

ქრისტე (ცხებული; იხ. "იესუ"; "იესუ ქრისტე") 3, 4.

ჰეროდე (ანტიპა; ჰეროდე დიდის ვაჟიშვილი; 4-39 წლებში გალილეის მმართველი; ბერძნ. Ἡρώδης) 32.

ჰურია (ებრაელი, იუდეველი; ბერძნ. Ἑβραῖος, არამეული 'ebrāy-დან; ბერძნ. Ἰουδαῖος; ებრ. יִשְׂרָאֵל , yisrā'ēl, "ისრაელ", ისრაელი, ისრაიტელი, ბერძნ. Ἰσραήλ) 7, 20, 21, 22, 23.

* არაბული ციფრებით აღნიშნულია ჰომილიის თავების ნუმერაცია, სადაც ესა თუ ის სახელი გვხვდება.